

„ხარს ვგეგარ ნაილაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლუღუნებ.“ (ვაჟა)



თავისუფლება

ტრიბუნა

825 /2
1982

საქართველოს ბანთაპისუფლებიანთა მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue georgienne

№38 PARIS OCTOBRE 1982 ოქტომბერი პარიზი №38

გამოცემის მერვე წელი

სამარადუამო დიდება სამშობლოს
განთავისუფლების ბრძოლებში
დაღუპულ მამუღიშვილებს!






შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 ფხიზლად და გაბედულად მოწინავე
- .3 სამშობლოს ბოეზიის ნიმუშები :
საქართველო მუხრან მაქავარიანი
- .4 ქართული ახალგაზრდობისათვის(1978 წ. 14 აპრილი)
მიხეილ ჯავახიშვილს უცნობი ავტორი
- .5 დილოგი 6 წლის შვილთან მორის ფოცხიშვილი
- .6 რუსეთის ბოლშევიზმი და ქართული იდეა იორამ ქემერტელიძე
- .8 დღესასწაულობა (სსრკ შექმნის 60 წლისთავის გამო) ალექსანდრე მანველიშვილი
- .14 აგვისტოს აჯანყების 58 წლისთავი პაპუნა ლუბაშვილი
- .17 დასავლეთის დემოკრატია და რუსეთი თამაზ ნასყიდაშვილი
- .19 სასიკვდილო განაჩენები საქართველოში დავით ვაშაძე
- .20 საქართველოს საფინანსო სამინისტროს სკანდალი თ.ტ.
- .21 ფიქრები ქართულ ფეხბურთზე ზურაბ ნარსია
- .22 „დათა თუთაშვიას“ შესახებ ნუგზარ შარია და დავით თაბორიძე
- .23 სამგლოვიარო განყოფილება ჩემო სიყრმის შეგობარო სანა ელიზბარ მყაუშვილი
- .24 ილია ჯაბადარი გოგი წერეთელი
- .25 ანნა წერეთლის ძვირფას ხსოვნას გოგი წერეთელი
- .26 ილია სალუქვაძის და ირენ ანთაძის გარდაცვალების განცხადებები
სამშობლოს ქრონიკა გრიგოლ წერეთელი
- .29 „ჩასაფიქრებელის“ კომენტარი გიორგი წერეთელი
- .31 სამოცი წლის ემიგრაცია ლუბა აბდუშელი
- .34 ბაზორკა ამილახვარის გმირულად დაღუპვის 40 წლისთავი
- .35 დიმიტრი ამილახვარი მორის როსტანი
- 60 წლის ემიგრანტების 2 ლექსი :
ალიარება ბახტრიონელი
- .36 მართალი სიზმარი დიმიტრი მახარაშვილი
- 2 წერილი გრ. რობაქიძის შესახებ. გარდაცვალების 20 წლისთავი. დავით აჯიაშვილი და როზა აბნერაშვილი
- .38 ჩვენი ფონდი; ამბავი, რომელიც შეიძლება ცუდად დამ-
თავრებულყოფ ანუ ბადრი ქელიძის თავგადასავალი ირაკლი მენთეშაშვილი
- .39 აღამიანები და წიგნები თ.ტ.

307X

Responsable de la publication, Georges Tsereteli, 8, Rue des Marchais.
75019 Paris. Tel. 607-08-14
Edition hors commerce





ჩვენ ვიმყოფებით მწვავე საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებაში. პრეზიდენტობის მთავრობის ენერგიული პოლიტიკა ერთნახევარ წელიწადში საკმარისი გახდა საბჭოთა სამხედრო უზრატესობის მითის გასაფხვრებად. ლიბანში ისრაელის სომარამა ოპერაციებმა საჯაროდ გამოამჟღავნა საბჭოთა იარაღის დაბალი ხარისხი და სტრატეგიის სიდანაბეზღე. საბჭოთა ჯარისკაცებისა და იარაღის ზარალი მნიშვნელოვანია ავღანისტანში. საქართველოდან მიღებულ ცნობებით: „ამ უკანასკნელ სამი თვის მანძილზე (მაისი, ივნისი, ივლისი) ავღანეთიდან ხუთასამდე ქართველ ყმაწვილის ნეშტი ჩამოასვენეს.“ ისტორია თითქოს მეორდება: სპარსელებიც ხომ ქართველ მხედრებს უღეტდნენ აჯანყებულ ავღანელებს წინააღმდეგ! მოსკოვი, ჩეხოსლოვაკიის მსაგვსად, პლონეთში სიტანკო დივიზიებით შესევასაც ვეღარ ბედავს და ბრეჟნევი საბჭოთა ჯარების მეთაურებს ახსენებს, რომ საბჭოთა კავშირი ჩამორჩება, როგორც სამხედრო ტექნიკის, ისე საბრძოლო მზადების დონეთი და, რომ საჭიროა ამის დაუყოვნებლივ დაძლევა. თუ ამას დაეფუძნებთ მის მწვავე ეკონომიურ კრიზისს, რომელიც მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობით კი არაა გამოწვეული, არამედ საბჭოთა სისტემის უფარგისობით, მაშინ ცხადია, რომ საბჭოთა სტრატეგებმა გამოსავალი შეიძლება ეძიონ მთლიურდნელ სამხედრო ავანტიურაში და კაცობრიობის ბედი სასწორზე შეავლონ. ამიტომ, არა მარტო ხელისუფალთ, არამედ ყველა მოქალაქესაც გემართებს სიხიზლე და გაბედულობა.

დამატების სახით ამ ნომერს თან ვატანთ სამშობლოდან მოსულ თვითგამოცემის დოკუმენტებს, რომელთა გაცნობა, ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესო იქნება. მათი საშუალებით თქვენ გაეცნობით კერძო მავალთებს, რომლებიც ცხადყოფენ ჩვენი ხალხის მდგომარეობას, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 60 წლისთავზე, რომლის აღსანიშნავადაც უზარმაზარი კამპანია გაჩაღებული. კრემლის ვაჟბატონები მარტო საბჭოთა კავშირით როდი კმაყოფილდებიან, მათი პროპაგანდა გაჩაღებულია მთელ მსოფლიოში. იერიში განსაკუთრებით მოაქვთ საფრანგეთს, სადაც ჯერ კიდევ ვაისმის თავისუფალ ქართველების ყიფნა რუსეთის მპყრობელობის წინააღმდეგ.

„საფრანგეთ-სსრკ საზოგადოების“ კადრებში საბჭოთა კავშირი აწყობს ქართველი ხალხის მატერიალური და კულტურული დიზებულეების ჩვენებას, სადაც ყველა და ყველაფერი ხტის და ღდაღდება ბრეჟნევის დღეშაზე.

იქ, სამშობლოში, ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ მას ძალით ახვევენ ამ ზეიშს, რომ ეს მისი საღმრთო საფუძველი დღე არაა, პირიქით, მაგრამ რა ქნას? დროს ელის, მანამდე კი გულში ღიღინებს: „სამშობლო — დედის ძუძუთ არ გაიცვლების სხვაზედა... როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა.“ ეს დღღღი გუგუნად იქცევა და მიწისძვრის ბიძგებით დაამხობს იმ ხუხულას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება. კრემლის დღღღეები და ვერც ატომბირთვები ვერ ჩაახშობენ ამ ეროვნულ-განმთავისუფლებელ სტიქიურ ძალებს. „არა და ვერა!“

სხვა ჩვენი, უცხოეთში გადმობეჭვილი ქართველების მდგომარეობა. ჩვენ ვერავინ ვერ გვაიძულებს ხმა ჩავიწყვიტოთ, ვერავინ ვერ აგვიკრძალებს ხმამაღლა დავცხოთ სამშობლოს სადიდებელი ჰიმნი, ჰიმნი სამშობლოს თავისუფლების. ჩვენი უბედურება ზოგჯერ სხვაგანაა, — ესაა გულ-გატეხილობა, უმწიფობის და უიმედობის განცდა და ზოგჯერ საბჭოთა ხრიკებით გაურკვევლობა.

ეს უკანასკნელი არაა ვასაკვირი, მთ უთვალავი საშუალება აქვთ ჩვენს გასაბრძოლებლად, მაგრამ ფხიზლად, სულ ფხიზლად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება უიმედობის და უსუსურობის განცდას, მართალია, ჩვენ მცირერიცხოვანი და სუსტნი ვართ ფიზიკურად, მაგრამ ამათ არ უნდა შეგვაშინოს: სიმართლე, სიყვარული, კეთილობა და სათნოება ჩვენს მხარესა და ისინი ჩვენს მოქმედებაში ფრთებს გამოგავსამენ. ჩვენ კიდევაც რომ დავმარცხდეთ, ხომ ვიცით, რომ ჩვენი საბჭოთა-სამშობლოს განთავისუფლების საქმე-დაუფარცხებელია. მაშ სიმძირე ნუ დავგალონებს. მოვიგონოთ მავალთები, როცა დიდ და მტკიცე გადაწყვეტილების მქონე პატარა გუნდებს სასწაულები მოუხდენიათ. იესო ქრისტე-მაცხოვარის მხოლოდ 12 მიმდევარი-მოწაფე ჰყვოდა, — და გაიმარჯვა.

საბჭოები აწყობენ რა თავიანთ საპროპაგანდო ტრიბუნებს, ჩვენი ვალია ამ ტრიბუნების ჩვენი, ქართული საქმისათვის გამოყენება. თუ ამას არ ვცდით და არ ვგვაკეთებთ, მაშინ ჩვენზე იქნება ნათქვამი: „ფურთხის ღირსი ხარ შე ქვეყნის ვლახა.“

მ უ ხ რ ა ნ მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მაშ, თქვენ გგონიათ, არ ჰყოლია მტერი რუსთაველს,
 არ გაჰქცევია სამშობლოდან სულთამხუთავეებს
 და მართოდენ უიმედო ტრფობის ბრალია,
 რომ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია...

*

იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მოლექსე,
 თეიმურაზი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე,
 საბა სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
 ძვალთსამყოფელი დაუქარგა ბესიკ გაბაშვილს!

*

იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა ტყვია,
 და მაჩაბელსაც ჰკრა სიკდილმა ხელი სამიწე.
 იქნებ იმასაც სიყვარული ჰქვია სახელად,
 რამაც შეშალა მთის არწივი მოჩხუბარიძე!...

*

არა! — ქართველთა გზა არ არის ასე იოლი,
 თვითმკვლელობაა ჩვენში დიდი საქმის დაწყება,
 კარებს გააღებს ამღვრეული გალაქტიონი
 და შურდულივით ქვაფენილზე დაენარცხება...

*

თქვენ ფიქრობთ: — დადუმდეს ენა.
 ვერ მოესწრებით, არა და ვერა!
 მეფე ერეკლე ხომ არ გგონივართ
 თანხმობა ვითხრათ. არა და ვერა!...

*

სოსო რომ არა, ტატო რომ არა, შოთა რომ არა...
 მაშინ ხომ!... მაგრამ ესენი როა?... ესენი როა?...
 ახლა კი დროა!...

სოლომონ რომა კვლავ დაიქუხოს საქართველომა,
 ირიყრაუებს დილა მოვა კრიალა!...
 ტოროლა ცას შეასკდება იალა...

კელიანა, ლელიანა, ტყიანა,
 ბუჩქიანა, ჩირგვიანა, ხიანა
 საქართველო ჰყვავის ყველაფრიანად!...

*

რა ძნელია რუსთაველო, მეტეხო და დიდმის ველო
 მოდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო!-..
 გაუმარჯოს საქართველოს რუსეთისას კი არა,
 გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფიალას!...



ივერიას გაშლილი აქვს ფრთები
სისხლი დუღს და სული იწვის მზისებერ,

და ალგეთზე, ღვთის მადლით და
მგლის ლეკვები იზრდებიან ისევ.

მორის ფოცხიშვილი


იორამ ქემერტელიძე

დილოგორწლის შვილთან

-მგელი ხო ბატანს იპარავს?
-კი.
-მელა?
-მელა - ქათამს.
-თევზსა და კარაქს,
ყველს და რძეს
ვინ გვპარავს ხოლმე?
-კატა.
-კატაც, მგელიც და მელიაც
სამივე საძაგელია.
ცხვარი თუ მგელმა მოგვტაცა,
ქათამი კიდევ - მელიამ,
კატამაც - რძე და კარაქი,-
ხო ყველა გამოგველია?
-კი, შვილო, მართლაც ასეა,
მაგრამ ქვეყანა ჭრელია:
ცოტაა ამ ქვეყანაზე
დათვი, მგელი და მელია?
-ბევრია!
-ბევრი რომ არი,
უნდა ფიქრობდე ამასაც:
დათვსაც,
მელსაც,
ტურასაც,-
სუყველას უნდა ჭამა-სმა.
ხომ არ გგონია ჩვენსავით
შექამენ, რასაც მიუტან!
ამ მგლის და დათვის შვილებსაც
ჭამა ხომ უნდათ?
-კი უნდათ!
-ჰოდა, ეს ჩენი ტურები,
ეს მელები და დათვები
გგონია ხელებს ისვრიან?
ჩანგალს ხმარობენ თათებით.
რა გეცინება?
-არ მჯერა!
-ვინდ დიაჯერე, ვინდ არა.
ჭა ხომ ღრმა არი,
წყალს სვამენ,
წარმოიდგინე, ჭიდანაც.
როგორ სვამენ და,
უბრალოდ,
მოხერხებულნი გახლავან;

თუ მოახელთეს,
ერთმანეთს
ძვალსაც სტაცებენ სახრავად.
იციან,
მიდი, იციან...
ყველი ხომ გემრიელია?
ქათამიც გიყვარს?
-კი მიყვარს!
-რას ერჩი, აბა, მელიას?
სახეა მთელი ქვეყანა
მგლებით, მელეებით, ტურებით,
რომ არ მოგვპარონ საკმელი,
ამოწყვდებოდნენ სრულებით.
ბუნებას თავის წესი აქვს,
დაუდგენია განგებას:
მელამაც უნდა იცხოვროს,
დათვმაც,
ტურამაც და მგელმაც.
მაშ, რა გგონია!
აგერ, ა,
უღარიცხვოდ და ჟრიგოდ
სახლებიც ჩამოგვურიგეთ
ამ შენს მგელსა და ტურიკოს.
-სახლები?
-ღიახ, სახლები!
მოდი და, ავწონ-დავწონოთ:
ზოოპარკში ხომ დადიხარ?
ყველა სახლებში არ ცხოვრობს?
ვახსოვს, დათვი რომ გაგვეჭტა?
შედ გადაგყვებით კინაღამ.
მარტო სახლები რა არის,
ვაქმევთ, ვასმევთ და ვინახავთ.
არც გასტრონომში დარბიან,
არც ზურზუტობენ ბაზართან.
ერთი, გვ მგელი გენახა,
გარეთ რომ იყო, რას გავდა.
ახლა რა უჭირს, ბინა აქვს,
საკმელ-სასმელიც მიუღის,
ექიმიცა ჰყავს უფასო-
თავისი კონსილიუმით.
მნახველიც ბევრი დაუღის,
ცხოვრობს განგების იმედით;
ისე ვერ ნახავ, კარებში

თუ არ აჩვენებ ბილეთი.
-ლობიდან შევალ!
-აჰ, შვილო,
რაზე ვიყბედე ამდენი!
ეგრე თუ გაძვერ-გამომძვერ,
მაშინ რა შენ და რა მგელი.
ეგ ზოოპარკი არ არი,-
თითო-ორულა მგელ-დათვი!
აი, ნაკრძალი რომ ნახო,
იმდენ მგელს ნახავ, ვერ დათ
დაშლივინებენ ნებივრად
დალამებიდან დილამდე,
ბუზსაც ვერაგინ აუფრენს
ამ ნაკრძალების ბინადრებს.
შიგა აქვთ სორო-ბუნაგიც,
სასმელ-საკმელიც, რაც უნდათ
დაწეპი, გინდა ადექი,
ცხოვრობენ ბატონკაცურად.
-ნაკრძალი რაა?
-ადგილი,
ტყე, ველი შემოდობილი.
ვერც ფეხით შეხვალ,
ვერც - ცხენით,
ვერც შენი ავტომობილით.
არ მითხრა ახლნ,
ადგები
და აქაც შეხვალ ლობიდან!
მხეცი ნაკრძალში მხეცია,
შედი, თუ შექემა მოვინდა!
ჯერ ერთი, ყარაულიც ჰყავს,
დარაჯი ნაირ-ნაირი,
შეხვალ კი არა, თუ უნდათ
ვერც ახლომახლო გაივლი.
-რატომ?
-რატომ და...ვერც მიტქვამს,
მიტომ რომ არ... რაამე!
ყველაფერს ხომ არ გიამბობ,
რომ გაიზრდები გააგებ.
ჯერ პატარა ხარ... მანამდე
დაე, გიყვარდეს მგელი-
შენი ტყისა და ველების
ყველანიირი ცხოველი.



რედაქციის განმარტება. ზემოდ დაბეჭდილი ლექსები ფოსტით გადმოგივზავნა ერთმა ჩვენმა კორესპონდენტმა და ავტორებმა ამის შესახებ არაფერი იციან. პოეტ მ. მაქაველიშვილის ნის ეს ლექსი არ ვიცი თუ უკვე იყო გამოქვეყნებული სამშობლოში, მ. ფოცხიშვილის „მიხეილ ჯავახიშვილს“, ავტორს წაუქითხავს წამებული მწერლის საიუბილეო საღამოზე თბილისში და დამსწრეთა მხურვალე ოვაცია დაუმსახურებია. რაც შეეხება ი. ქემერტელიძის ივავ-არაკს, ის დაბეჭდილი იყო საბავშვო ჟურნალ „დილაში“, რომელსაც იგივე პოეტი მ. მაქავარიანი რედაქტობდა. ავტორი „ქართველი ახალგაზრდობისადმი“ ჩვენთვის უცნობია.

*** * * * *

რუსეთის ბოლშევიზმი და ქართული იდეა
(დასასრული, იხ. წინა ნომერი)

ასეთი ხალხი და ასეთი ერი მოველინა საქართველოს მის უკანასკნელ დამპყრობელად. და ცხადია, რომ, რადგან ქართველი ერი ყველა თავისი ძირითადი იდეებით განსხვავდება რადიკალურად დამპყრობელისაგან, რა დიდი ვნება უნდა მოეტანა და მოაქვს ჩვენი ერის სულიერი გარდაქმნისა და სრული ასიმილაციისათვის. წინასწარ შეიძლება ვაღიაროთ წარსულისა და აწმყოს გამოცდლების მიხედვით, რომ არც ერთ დამპყრობელს არ შეეძლო ისეთი ნების მიყენება ქართველი ერისადმი, როგორც ეს შეეძლო და შეუძლია რუსეთის დაპყრობას.

ქართველი ერის სულიერი სტრუქტურაც ჩამოყალიბდა მისი ისტორიით დროში და გეოგრაფიულ სივრცეში, რითაც ის რადიკალურად განსხვავდება რუსეთის როგორც ისტორიის ისე სივრცისაგან. მუდმივ გარეშე მტერთაგან გარშემორტყმული, მასში განმტკიცდა ძლიერი თავდაცვის ინსტრუქტი და შეგნება „ქართველთა ნათესავის“ ერთობისა. მართკ ამით გამოირიყნა ქართველი ერის შეგნებიდან ყოველგვარი მიტაცების იდეა უცხო მიწებისა. მისთვის უცხო დარჩა რუსეთისებური იმპერიალიზმი და ტოტალიტარიზმი. საქართველომ თავისი დიდების ხანაშიც ვერ მიიღო ეს იდეა. მაშინ როდესაც საშუალო საუკუნეებში და უფრო ადრეც დაპყრობითი პოლიტიკა შედარებით ნაკლებ ცოდვით იყო მიჩნეული სახელმწიფოთათვის...

საქართველოს ბუნებისა და კულტურისაგან, მისი მშვენიერებით, რომლის ყოველი კუთხე თითქოს დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს შედარებით საკუთარი საზღვრებით და საკუთარი კლიმატით, არ წააგავდა რუსეთის ერთფეროვან და დაუსრულებელ სტეპებს. ამ მოვლენამ ქართველ ერში განავითარა ესტეტიური გრძნობა, ამქვეყნიური დიდებისადმი სიყვარული, ოპტიმიზმი, კატომოყვარე ბუნება და ერთგვარი რაინდული სული. ხოლო ის განამტკიცა მისმა მრავალათასწლოვანმა ისტორიამ და მთელი მისი სულიერი კულტურის ავლადიდება ჩამოყალიბდა შედარებით ხანგრძლივობის მქონე ადათ-ჩვეულებებში.

ასე ჩამოყალიბდა ქართველი ერის ბუნება, მისი ძირითადი და მამოძრავებელი იდეა. ეს იყო იდეა ერის თვითმყოფობისა, გარეშე ყოველგვარი შერწყმისა სხვა ხალხებთან. მეორე იყო სარწმუნოება და კერძოდ ქრისტიანობა, რომელიც 1500 წლის მანძილზე გაივრცებულ იყო ერის იდეასთან, და სარწმუნოების დაცვა ითვლებოდა ერის არსებობის დაცვად, მესამე იყო პოლიტიკური იდეა-მონარქია.

დაიფუცოთ უკანასკნელით. ეს იდეა შედარებით წარმატალია, მაგრამ დიდი იყო ის ხანა, როდესაც ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ის საფუძვლად ედო. მონარქიის იდეა უშუალო სამსახურში იყო ერის იდეასთან. ამიტომ იყო რომ ბაგრატიონების ათასწლოვან დინასტიას, მიუხედავად მრავალნაირი ბრძოლებისა დიდ ფეოდალებთან, არც ერთი გვარი მეფობაში მას არ შეეცდებოდა, და პირველთა შორის პირველობა მათ საქმიანად დაამტკიცეს. ქართველი მეფეები არა მარტო განაგებდნენ და იცავდნენ მას გარეშე მტერთაგან, არამედ მეფე იყო ერის ერთობისა და მთლიანობის სიმბოლო. გარდა ამისა, ბაგრატიონთა დინასტიამ მოგვცა მრავალი კულტურისანი მეფე, მრავალი გმირი და მათ შორის სამშობლოსათვის წამებულიც. თუნდაც გაციხენოთ დიმიტრი თავდადებულის მოქმედება. როდესაც მონგოლებმა ის ურდოში მოიხიზვეს, ყოველმა ქართველმა იცოდა რომ მას თავის მოკვება არ ასცდებოდა. მთელი ერი და კათალიკური ეხვეწებოდა: ნუ წახვალ, მთიანეთში თავი შეაფარე და ჩვენ დაგიცავთო. მეფე კი გრძნობდა, თუ ის თავს გადაირჩენდა, ქვეყანას აოხრება მოელოდა. ამიტომ განაცხადა: „მე დავსდებ თავსა ჩემსა ერისა ჩემისათვის და არ მოვიშლი ურდოსა წასვლასო.“ კიდევ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება ქართველ მეფეთა გმირობისა და მამულიშვილობისა. ისინი



იყენენ თავმდაბალი და უბრალონი ხალხთან. მათი მეფობის ხანა იყო უმთავრესად ფეოდალური რეჟიმის ხანა, თეთი მეფეებიც ფეოდალები იყვნენ, მაგრამ, რაც კი ამავე პერიოდში იყო შესაძლებელი, მადამო წრებდაც ესარჩლებოდნენ და ცილობდნენ სამართლიანობის დაცვა ისინი იცავდნენ ხალხს ფეოდალთა ძალმომრობისაგან, რადგან ხალხი იყო ერის საფუძველი. მეფე არჩაბდა თქვა: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს.“ ასეთივე სულით იყო გამსჭვალული მეფე ერეკლე და სხვები. ამიტომ ხალხი მათ პატივს სცემდა.

რუსეთმა დაამხო ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტია და ფიზიკურადაც გაანადგურა. ეს ერთი ძირი მოესპო საქართველოს, რომელიც სხვა დაპყრობათა დროს კიდევ განაგრძობდა ბრძოლას ერის თავისუფლებისათვის. ამის შემდეგ ორი საუკუნე ვავიდა და ამ ტრადიციას ერთვავა რად საფუძველი გამოეცალა, მაგრამ თავისუფალი საქართველო მის ნაცვლად ნახავს და შექმნა ახალ ტრადიციას, რომელიც ახალი დროის მოთხოვნილებათა მიხედვით ქვეყანას გაუძღვება.

არანაკლებ ძლიერი იყო ქართველ ერში სარწმუნოება და კერძოდ ქრისტიანობა. ათას ხუთასი წლის განმავლობაში ქრისტიანობა იყო ქართველი ერის სულიერი და ზნეობრივი ცხოვრებისათვის დამფუძნებელი, დღეს ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელიც ქრისტიანობის როლს ქართველი ერის ცხოვრებაში უარყოფითად ახასიათებენ. მართალია, ქართველ სამღვდლოებაშიც მართალ უწყს ებას ჰქონია ავადი, მაგრამ სარწმუნოების როლი, დიდი ეროვნული თავდაცვითი როლი მაინც ფაქტია. სამღვდლოებაშიც იყვნენ, და უფრო ძლიერნი და გავლენიანი, რომელნიც ზრუნავდნენ არა მარტო ხალხის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისათვის, არამედ ხმალით ხელში იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად. სარწმუნოება რომ გაიგივებული იყო ერთან და მის ინტერესებს სდარაჯობდა, მრავალგანან მოვიგონო ქეთევან დედოფლის უღეთი წამება, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად ჩაირიცხა. განა ძნელი იყო, რომ ქეთევანს გარეგნულად მაინც მუსულმანობა მიეღო და წამება თავიდან აეცილებია?! ამას ეხვეწებოდა მას მისივე მწამებელი, ტომით ქართველი იმამ-ყუბანანი, მაგრამ დიდი მუხრანბატონის ქალმა ეს წინადადება არ მიიღო და სახელის გახურებული რკინით დაშანთვა არჩია.


რა იქნებოდა, რომ დედოფალს ამ წამებაზე უარი ეთქვა? ეს იქნებოდა ბაგრატიონთა გვარის შერცხვენა და ლახვარის ჩაცემა ქართველი ერის გულში. დიდმა დედოფალმა, მსგავსად დიმიტრი თავდადებულისა, თავის გაწირვა არჩია და ქართული ეროვნული გრძნობის სიმტკიცეს გაცილებით მეტი შესძინა, ვიდრე მრავალმა გმირებმა თავიანთი ხმლებით...

ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა ქართველთა გაერთიანების საქმეშიც. მისი წყალობით დასავლეთ საქართველომ გაერთიანებამდე ერთი საუკუნით ადრე შეძლო ბერძნული გავლენის თავიდან მოცილება, და მისი ეკლესია ქართლის საკათალიკოსოს დაუმორჩილა. მაშასადამე ეკლესიის გაერთიანება ერთი საუკუნით წინ უსწრებდა ქართული მიწა-წყლის ეროვნულ გაერთიანებას.

რა საერთო ჰქონდა ქართულ ქრისტიანობას რუსთა ქრისტიანობასთან? მხოლოდ სახელი! იოანე მრისხანე რომის პაპს ეხევეწებოდა, ოღონდ პოლონეთთან ხელსაყრელი ზავი დამადებინე, კათოლიკობაზე გადმოვალ და თქვენი სურვილით თურქებს შევებრძობლებო. ერთი რუსი ისტორიკოსი წერდა: რუსის მუჟიკს „კრესტიანინი“ შეარქვეს, მაგრამ მისმა სულმა ქრისტეს მადალი მცნება არ მიიკარა და გულით ისევ წარმართი დარჩაო. ამიტომ არ უნდა ვაგვივირდეს, რომ რუსის სამღვდლოება გაცილებით მეტი მძარცველი იყო ქართული ეკლესიისა, ვიდრე წარმართი მონგოლები და მუსულმანი არაბები.

მესამე და მთავარი იდეა იყო თეთი ერის იდეა. სანამ ქართველი ერის საბოლოო გაერთიანება მოხდებოდა ეს სიტყვა სხვას ნიშნავდა, მაგრამ ქართველი ხალხის „ერის“ ცნება არსებობდა და ის სხვა სიტყვებით გამოიხატებოდა. ეს იყო „ნათესავი ქართველთა“. რა მშვენიერად ასახავს ეს ფორმულა ქართველი ხალხის სულიერ და ხორციელ ერთობას! ის მშვენიერად გამოხატავდა ქართველი ტომების სულიერ და სხეულბრივ საერთო საწყისებს. ძალიან შორეულ წარსულში უნდა წარმოშობილიყო ეს ცნება; ასევე შორეულ წარსულში საგულისხმო ქართველთა ნათესავის“ გაერთიანების იდეები, დაწყებული სულ ცოტა ფარნავაზის მეფობით, საბოლოო გაერთიანება მოხდა მეათე საუკუნის ბოლოს, რომელშიც დიდი როლი ითამაშა კულტურულმა და საეკლესიო ფაქტორებმა.

სიტყვა „ქართველი“ დღეხანს ეთნოგრაფიული სახელწოდება იყო. ის ეწოდებოდა უმთავრესად ქართლისა და მესხეთის მცხოვრებთ. ხოლო გაერთიანების დღიდან ის ვახდა მთელი „ქართველთა ნათესავის“ სახელი. ამაზე წერდა მეათე საუკუნის გამოჩენილი მწერალი გიორგი მერჩულე: ქა-



როლად იწოდება მთელი ის ქვეყანა სადაც წირვა და ლოცვა ქართულ ენაზე სრულდება. სხვათა შორის, მეფეთა ტიტულატურასაც შერჩა ძველი ეთნიური სახელები. რადგან ზრუნველ მესამე პირველად აფხაზეთში გამეფდა, ანუ დასავლეთ საქართველოში, ის იწოდა მეფედ აფხაზეთა, შემდეგ ქართველთა, კახთა, რანთა და სხვა.

ეს სამი მთავარი იდეა დაელო საფუძვლად ქართველი ერის კულტურულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

მაგრამ იყვნენ გამომწევი და დამასუსტებელი ფაქტორებიც. ესეც იმავე ბუნებრივი ფაქტორების წყალობით. საქართველო გამოკვეთილ პროვინციებისაგან შესდგება; ეს ხელს უწყობდა პარტიკულარიზმის სიმტკიცეს. ამავე დროს ჩვენ უმთავრესად ვცხოვრობდით ფეოდალიზმის ხანაში. ამ რეჟიმისათვის აგრეთვე დამახასიათებელი იყო განკერძოების პოლიტიკა. ამან შექმნა საქართველოში ის ფსიქოლოგია, რომელიც არჩილ მეფემ კარგად გამოთქვა: „ასე სჭირთ საქართველოსას დიდებულთ ვინდა მცირეთა, აზვადებდით იტყვიან: „უჩემოდ ვინ იმღეროსა.“

დიდი პატრიოტი მუფე გრძნობდა, რომ ყოველი ფეოდალი განკერძოებისა და აღწევებისაკენ მიისწრაფოდა. ის გმობდა მას, რადგან ეს იყო ქვეყნისათვის დამღუპავი. ერთმანეთში ქიშპობა, ერთმეორის დასუსტებაში ვერ ხედავდნენ საერთო დასუსტებას. ხშირად, თავიანთი მოძმის დაჩაგვრაში გარეშე მტრის ძალებსაც იშველებდნენ. (ასე არ მოიქცნენ ქართველი კომუნისტები, რომელნიც დღესაც უსიტყვილოდ აცხადებენ, რომ ჩვენს ბოძალში რუსი ამხანაგბრ მოვიშველიეთ!) ამ ნიადაგზე ხშირი იყო ღალატის შემთხვევებიც. გარეშე მტერი ამით საბრგებლობდა, არღვევდა ჩვენს ერთობასა და სიმტკიცეს. მაგრამ ფიზიკის კანონი გვასწავლის: სადაც დიდია წნევა, იქ დიდია წინააღმდეგობაც, საბოლოო ჯამში კერძობითი გრძნობა დამარცხდა საერთო ეროვნული გრძნობის წინაშე და მეფეების სათავეში, რომელთაც მხარს უჭერდა დაბალი წრე და წვრილი აზნაურობაც, ეროვნულმა პოლიტიკამ გაიმარჯვა. ერთობის პოლიტიკას მხარს უჭერდა მრავალი იმავე მაღალი წრისგან გამოსული მამულიშვილი და ეროვნულ ერთობას მეთაურობას უწყვედნენ; განა ქართლის ერისთავი იოანე მარუშიძე არ იყო, რომ ინიციატივა აიღო თავზე საქართველოს გაერთიანებისა და ღირსეულადაც შეასრულა! კიდევ მრავალი გიბრის დასახელება შეიძლება იმავე ფეოდალურ წრისგან გამოსული. განა ჩვენი დროის ორი დიდი ქართველი, და აკაკი იმავე თავადების წრეს არ ეკუთვნოდნენ! და რომელ პირშავს წამოცდება მათ პარტიკულარიზმი დასწამოს! რუსთაველმაც სამართლიანად დასძინა:

„კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია.“

აღიქსანდრე მანველიშვილი

სან ფრანცისკო, იანვარი 1982 წელი.

დ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ბ ა ნ ა

ს.ს.რ. კავშირის შექმნის 60 წლისთავის გამო

საბჭოთა კავშირში საიუბილეო დღესასწაულები ისეა გახშირებული როგორც ჩინ-მენდალ-ორდენები. ეს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი, ეს ჩეკის დაარსების, ეს წითელი არმიის შექმნის... და ვინ მოთვლის სხვა რამდენი. ყველა რომ ჩამოვთვალოთ, ჩვენი კუთრალი მთლიანად არ გვეყოფილა იქნება.

„ოდეს ტურფა გაიადფეს, აღარა ღირს არცა ჩირად.“ – ამბობს ჩვენი გენიოსი პოეტი. თუ შოთას სიბრძნე ტურფას, მშვენიერს, ლამაზს ეხება, მაშინ რაღა უნდა იყოს მისი უკიდურესი მოწინააღმდეგე მახინჯი? რაღა უნდა ღირდეს გაიაფებული სიმახინჯე?

როგორც მოგხსენებთ, საიუბილეო დღესასწაულებში ხან საქავშირო ხასიათისაა, ხარ რესპუბლიკური. მაგალითად, გასულ წელს დიდი ამბით იზვიმეს საქართველოს რესპუბლიკის „გასაბჭოების“, ესე იგი დაპყრობის, 60 წლისთავი. ამ წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებთან, ხოლო მომავალ წლისთვის განზრახული აქვთ ასევე ზარზემით აღნიშნონ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავი, რომელიც მიზეზი გახდა საქართველოს სახელმწიფოს მოსპობისა, მეფის რუსეთის მიერ მისი ანექსიისა.

საწყალო ქართველო კაცო! ყველა ეს დღესასწაულობანა ემსახურება, რათა შენ ქართველობა დაგვიწყდეს, რათა შენ შეგაყვაროს ყველაფერი ის, რამაც ძირი გამოუთხარა და დასცა შენი ერის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

გასულ წელში სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოცა ბრძანება და



დირექტივები სსრ კავშირის შექმნის თარიღის 60 წლისთავის განსაკუთრებით მქუხარებად და ბრწყინვალეობით ჩასატარებლად. ერთი წლის განმავლობაში, მთელ უშველემლო სახელმწიფოში მობილიზებულია უზარმაზარი საბრძოლველი აპარატი: პრესა, რადიო, ტელევიზია, ბეჭდვითი გამოცემლობა, სკოლა, აკადემია, პროფკავშირისა და ადმინისტრაციული აპარატი და ა.შ. კომპარტიის საერთო ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით. მთელი ამ ზარ-ზუთის დანიშნულება უღრუბლო დღესავით ნათელია. საბჭოთა მესვეურებს სურთ, თავიანთ მოქალაქეებს და მსოფლიო საზოგადოებასაც ჩაუნერგონ: ა) სსრკ შეიქმნა სრულუფლებიან და თანასწორუფლებიან საბჭოთა რესპუბლიკების ნება-სურვილით, ამ რესპუბლიკებში ცხოვრობენ ერების სრული თანხმობითა და მოწონებით. ბ) და რომ სსრკ-ს შექმნა იყო უარღვევად პროგრესიული, ისტორიაში ჯერ არ ნახული მოვლენა, რადგანაც ააღორძინა და ააყვავა საბჭოთა ხალხების ეკონომიკა და კულტურა, მაიი მშვიდობიანი, ძმური ცხოვრება და სხვადასხვა... გ) და ბოლოს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მოდელი, რომლის მიხედვითაც მომავალში უნდა განხორციელდეს მთელი მსოფლიოს ფედერალური ერთობა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს საბჭოთა სახელმწიფოს სამოცი წლის ისტორიის აღწერა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, არამედ გვსურს ჩვენს მკითხველებს მოკლედ მოვავლოთ თუ რა პირობებში და როგორ ჩამოყალიბდა მარლად ახალი ტიპის რუსული იმპერია, რომელსაც ეწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ს.ს.რ.კ.-ს შექმნისათვის ოფიციალური მზადება დაიწყო რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობიდან, რომელიც გაიმართა 1921 წლის მარტში და, რომელზედაც, როგორც ეროვნებათა სახალხო კომისარმა, სტალინმა განაცხადა: „კავშირის შექმნის საკითხში მთელი პარტია მოითხოვს ერთსულოვნად ფედერაციის ჩარჩოებს, რომლის მოდელიც იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა და, რომელიც თავის მხრით მოდელი გახდება მომავალში სოციალისტური სახელმწიფოების მსოფლიო ფედერაცია“-ო. სტალინი აქ თავისებურად ტყუილად, არა მთელი პარტია მოითხოვდა ერთი ცენტრალური და ბიუროკრატიული სახელმწიფოს შექმნას, არამედ რუსეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა და მათ შორის ლენინი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელში ამბობდა და წერდა: „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი უჩვენებს, რომ ფედერაცია, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, იქნება ნაბიჯი წინ რუსეთის სხვადასხვა ერების ერთობისა ერთ დემოკრატიულ და ცენტრალურ სახელმწიფოში“-ო.

1922 წლის აგვისტოში შეიქმნა მომავალი საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტისა და ორგანიზაციის კომისია სტალინის, კუბიშვევის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, რაკოსის, სოკოლნიკოვის შემადგენლობით, რომელსაც რესპუბლიკებიდან დაემატენ: პეტროვისკი უკრაინიდან, ჩერვიაკი ბელორუსიდან, აღამალოლი აზერბაიჯანიდან, მისინიკიანი სომხეთიდან და ბუღუ მდივანი საქართველოდან.

რესპუბლიკების წარმომადგენლები, ამ კომისიაში, მხოლოდ ფიგურანტებს წარმომადგენდნენ. მათ არავითარი უფლებები არ გააჩნდათ ეთაშაშთ თავთავიანი რესპუბლიკების წარმომადგენლების როლი. მკაცრი ცენტრალისტური პრინციპებით აბეულ ლენინურ ბოლშევიკურ პარტიაში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონებოდა უმცირესობათა ნების პატივისცემას. უკრაინელი და ქართველი კომუნისტები, რომლებიც ავტონომიის შენარჩუნებას ცდილობდნენ, ან უნდა დამორჩილებოდნენ ცენტრის გადაწყვეტილებას, ანდა უნდა განადგურებულიყვნენ და კიდევაც განადგურდნენ. იმ ხანად, საბჭოთა რუსეთში უკვე ბატონობენ ველოკორუსი „დერჟიმორდები“, როგორც მათ ლენინი ეწოდებოდა. სოციალისტური რევოლუციის ოცნებები ადგილს უთმობენ „მუდმივი რუსეთის“ იმპერიულ იდეებს, ახალი, რევოლუციური, ფრაზოლოგია. ვინც მას წინ აღუდგებოდა, დანდობისა და შეწყველების იმედი არ უნდა ჰქონებოდა. თვით ლენინსაც, რომელიც რევოლუციის პიროვნული განსახიერება იყო, დამარცხების ხირცხვილი არ აცდებოდა, რომ მას დაეცოდა და მისი უჯანსაღი პოლიტიკური განზრახვის, — ქართველ უკლონისტების მხარის დაჭერა, სტალინ-ორჯონიკიძე-ძერჟინსკის წინააღმდეგ, — პრაქტიკული განხორციელება ეცადა. მაგრამ, სწორედ ამ დროს დამბლამ სრულიად წაართვა მეტყველება და ასე ცოცხალ-მკვდარი, თითქმის ერთი წელი სიცოცხლეშიც მუშაობდა იქცა.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის იმპერიის შექმნაში აქტიურ როლს თამაშობენ არარუსი სტალინი, ორჯონიკიძე, ძერჟინსკი, არსებითად არ ცვლის არაფერს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა იმას კი არ აქვს თუ სისხლით რა ხალხის შვილია, არამედ იმას თუ რა ხალ-



ხს ემსახურება და ვის საქმეს აკეთებს. კარდინალი მაზარინი იტალიელი იყო, მაგრამ მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია საფრანგეთის სამეფოს გამატიყცებას და გაძლერებას შეაღწეოდა. მუსულია ისტორიაში როგორც საფრანგეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწე და არა როგორც იტალიისა. ნაპოლეონ ბონაპარტი კორსიკელი იყო და ახალგაზრდობაში კორსიკის პატრიოტიც. ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, გამხდარიყო ჯერ საფრანგეთის პირველი კონსული, შემდეგ იმპერატორი. თავისი დიდება მან დაუკავშირა საფრანგეთის დიდებს, მისი პოლიტიკური ძალაუფლება ეყრდნობოდა ფრანგ ჯარისკაცებს და არა კორსიკელებს, მავალითების მოყვანა უამრავი შეიძლება კაცობრიობის ისტორიიდან, მაგრამ დავეყრდნობოდეთ ამით.

ველიკორუსულმა მესიანისტებმა დაკარგეს რა ყოველი იმედი ცარიტული რუსეთის იმპერიის აღდგენისა, მთელი თავიანთი ყურადღება გადაიტანეს გამარჯვებულ საბჭოთა რეჟიმზე, მის ჩარჩოებში ახალი იმპერიული რუსული სახელმწიფოს შესაქმნელად. თავიდან ინტერნაციონალისტური ლენინურ-ტროცისტული რევოლუცია, თანდათან, მაგრამ გადაჭრით დგებოდა რუსული ნაციონალიზმის პოზიციებზე. ბუღუ მდივანი არ ცდებოდა, როცა მოსკოვიდან წერდა ქავთარაძეს: „საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთი ნაწილი შეუყრობილია ველიკო-რუსული შოვინიზმით.“ ეს „ერთი ნაწილი“ გახდება მისი გაბატონებული მიმდინარეობა, ხოლო სტალინი მისი ოფიციალური წარმომადგენელი. ველიკო-რუსული შოვინიზმისათვის იდეალური იყო არარუსის ხელით ეგვიპტის ის სარგველა ბალახები, რომლებიც რუსული იმპერიალიზმის წერტილს ხელს უშლიდა. აქ უნდა ვეძებოთ გასაღები სტალინის შემდეგი არა ჩვეულებრივი პოლიტიკური კარგიისა.

სანამ საბჭ. კავშირი შეიქმნებოდა, საბჭოთა რუსეთსა და მის მიერ გასაბჭოებულ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა ფორმალურად მოწესრიგებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებებით. კერძოდ, „გასაბჭოებულ“ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელშეკრულება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ დაიდო 1921 წლის 21 მაისს. ასეთივე ხელშეკრულებები არსებობდნენ ერთი მხრით რუსეთსა და მეორე მხრით უკრაინასა, ბელარუსიასა, აზერბაიჯანსა, და სომხეთს შორის. შუა აზიის გასაბჭოებულ მუსულმან ქვეყნები კი იბრძოდნენ სრული დამოუკიდებლობისათვის, მათი საბოლოო დამორჩილება და კავშირში შეყვანა კრულმა შეძლო მხოლოდ 1924-25 წლებში.

მიუხედავად რუსული წითელი არმიის ბატონობისა, ქართველ კომუნისტებს გააჩნდათ მართალია მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ავტონომიური უფლებები. რაც მაყარია, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, თუ ფაქტურად არა, იურდიკულად მაინც სუვერენი სახელმწიფო იყო. მოსკოვს სურდა ამის მოშლაც და სრული ანექსია. ამას ემსახურებოდა ამიერკავკასიის ფედერაციაც და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიც.

ამიერკავკასიის ფედერაციისა და მისი საბჭოთა კავშირში შეყვანის ორგანიზაცია დავალებული ჰქონდა პირადად სერგო ორჯონიკიძეს. ორჯონიკიძეს თავიდან უნდოდა მთელი კავკასიის ფედერაციის შექმნა. ამ მიზნით, 1921 წლის აგვისტოს დასაწყისში, თბილისში, კიდევაც მოიწვიო აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს რესპუბლიკების და დაღესტნის, ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული წარმომადგენლები, მაგრამ ორ სექტემბერს კავშირში მოლოტოვისაგან (საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ც. კომიტეტის მაშინდელი მდივანი) მიიღო ოფიციალური უწყება, რომ დაღესტანი და ჩრდილო კავკასიის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც 1921 წლის 10 იანვრის დეკრეტით შეიქმნა და, რომელშიც გაერთიანდნენ: ინგუშეთი, ოსეთი, ყაბარდო, ბალყარეთი და ყარაჩაი, უნდა შეუერთდეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასო. მაშასადამე, კავშირისა და ორჯონიკიძეს მათზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ და უნდა მხოლოდ ამიერკავკასიით დაკმაყოფილებულიყვნენ.

1921 წლის 3 ნოემბერს კავშირში ბაქოში ქმნის ამიერკავკასიის ფედერაციის საორგანიზაციო კომისიას შალვა ელიავას, ეფენდიევის, მიასნიკიანის და ლეგრენის (საბჭ. რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამიერკავკასიაში) შემადგენლობით. კომისიას თავი არ უტეხია კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად, იგი პირდაპირ გადმოიღო რუსეთის სფსრ-დან და უკვე 25 ნოემბერს გადაცა კავშირის, ჩსფსრ-ს ცენტრალურ კომიტეტს და გამოაქვეყნა ამ კავკასიის რესპუბლიკებში. რესპუბლიკებში რეაქტია სხვადასხვა იყო: აზერბაიჯანელი კომუნისტები მოითხოვდნენ ფედერაციის დედაქალაქი ყოფილიყო ბაქო, მაგრამ როცა მოსკოვმა და კავშირში თბილისი არჩიეს, მათ დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სომხები უადრესად



მიმემ ეკონომიურ და დემოგრაფიულ პირობებში იმყოფებოდენ, თურქეთთან და სამოქალაქო ომებმა მთლად მოშალა მათი ისედაც ღარიბი ეროვნული მეურნეობა, მათ მიმემ ტერიტორიულ ვითარებაში თურქეთთან აყრილი და გამოქცეული სომხობა. სომხეთის მესვეურები ხსნას ელოდენ ამერიკა-კავკასიის ფედერაციაში და რუსეთის სახელმწიფოში. ამიტომ სომეხი კომუნისტები მოკავშირენი აღმოჩნდენ კრემლის ხაზინების.

სულ სხვა მდგომარეობა იყო საქართველოში. ახლად გასაბჭოებული, ის ოაზისივით გამოიყურებოდა ამიერკავკასიაში და მთელ საბჭოეთშიც. ფედერაცია ქართველი ხალხისთვის ნიშნავდა მის კიდევ უფრო გაღარიბებას. ქართველ კომუნისტებს სწორედ ამ ეროვნულ ეგვიზმს უკეთებდენ მოწინააღმდეგე რუსებიცა და სომხებიც. მაგრამ ქართველებისთვის მთავარი ეკონომია კი არ იყო არამედ პოლიტიკა: ამიერკავკასიის ფედერაციით რუსეთის კავშირში შესვლა ნიშნავდა რუსული ენისა, კულტურისა და პოლიტიკის სრულ ბატონობას, საქართველოს ავტონომიური უფლებების სრულ გაქარწყლებას და ამიტომ წინააღმდეგობა საქართველოში საყოველთაო იყო, თვით კომუნისტების ჩათვლით. ქართველი კომუნისტები, როცა ისინი საბჭოთა რუსეთის ჯარებს შემოუძღვენ სამშრომლოში, ირწმუნებოდენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ამით ზიანი არ მოუვდიოდა, რომ საბჭოთა საქართველო დარჩებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუ ახლა დათანხმდებოდენ მის მოსპობას, მაშინ ისინი დაკარგავდენ იმ მინიმუმ გავლენასაც, რომელიც მათ კიდევ გააჩნდათ ქართველი ხალხის ზოგიერთ ჯგუფებში. ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ტრაგედია მით უფრო დიდი იყო, რომ ისინი მოწყვეტილი იყენ ქართველი ხალხის ფართო მასების მხარდაჭერას. ისინი იძულებული იყენ მოხარშულიყვენ პარტიის მინარბძოლის წევრში. ეს ქართველი ოპოზიციონერი კომუნისტები ისტორიაში შევიდენ უკლონისტების სახელით, მათ ბუღისტებსაც უწოდებდენ მათი ყველაზე უფრო გამოჩენილი ლიდერის ბუღუ მდივანის სახელის მიხედვით.

ფედერაციის შექმნის გამოცხადებამ დააჩქარა და გააძლიერა ქართველი პარტიების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეროვნული პარტიების თანამშრომლობით შედგა ინტერპარტიულ კომიტეტი, დამოუკიდებელი სახელწოდებით. პრეზიდენტი შეიქმნა პარტიზანული რაზმები, მათ შორის ყველაზე სახელგანთქმული „შედიცულთა“ რაზმი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით. იწყება მღველვარება და სტიქიური კეთხური აჯანყებები. ქართველი მხედრობა ამზადებს შეთქმულებას, რომელიც საყოველთაო ეროვნულ აჯანყებაში უნდა გადაიზარდოს.

ფედერაციის წინააღმდეგ საჯაროდ ხმას იმალებენ ისეთი პოლიტიკოსი ჯგუფებიც, რომლებმაც ლიბერული თანამშრომლობა გადაწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაგალითად, მემარცხენე სოც. რევოლუციონერების ორგანო „შრომა“, 1921 წ. 13 ნოემბერს, მოითხოვდა კონფედერაციის შექმნას, და არა ფედერაციისას, რადგანაც: „კონფედერაცია უკედ დაიცავს შემადგენელ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, ვიდრე ფედერაციაო.“ იგივე ორგანო 20 ნოემბერს წერდა: „საქ. რევკომი და ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც უფრო ახლან არიან საქართველოს სინამდვილეთან ვიდრე კავშირები, ხელს არ მოაწერენ ისეთ დოკუმენტს, რომელიც სპობს ქვეყნის დამოუკიდებლობას“-ო. მემარცხენე სოც. ფედერალისტების ორგანო „ტრიბუნა“-ში თედო დლონტი წერდა, რომ „ეს უფრო პოლიტიკური სკანდალია, ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციაო.“ იგივე ორგანო ბრალს დებდა რუს და სომეხ კომუნისტებს საქართველოს დამოუკიდებლობის დამზობის შეთქმულებაში. 5 დეკემბერს რკინისგზებთა კრებამ თბილისში გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ფედერაცია ნიშნავს საქართველოს სუვერენობის დაკარგვასო. ასეთივე რეზოლუცია აცხადებს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა ორგანიზაცია და ა.შ... საქართველოს რევკომში დიდი უთანხმოება და შეხლა-შემოხლაა. დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია ბაქოში შედგენილი წესდების და აღშფოთებულია, რომ მას თავს ახვევენ ზვიდან ბრძანებით. კომუნისტ ოპოზიციონერებში ორი მიმდინარეობდა: ფილიპ მახარაძის, რომელიც პრინციპში არ არის წინააღმდეგე, მაგრამ თვლის ნაჩქარავად. საბჭოთა ხელისუფლება ჯერ საკმარის ძლიერი არ არის, ამბობდა ის, ჯერ უნდა გაეძლიერათ ის მშრომელ მასებში, დავრახმით, აუხსნათ, შეეგანებინათ მათ და მხოლოდ შემდეგ განვახორციელოთ ფედერაციაო. მეორე ჯგუფი, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი და გავლენიანი იყო, უფრო შორს მიდიოდა ფედერაციის დამგობაში, ისინი ამბობდენ, რომ აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ეკონომიები არ აესებენ ერთმანეთს, მათი გაერთიანება არავითარი სარგებლობას არ მოიტანს, ზიანს კი დიდლას. მათი წარმომადგენელი ბუღუ მდივანი გაბეღულად აცხადებდა: „ამიერკავკა-



სიის ფედერაცია პირველი ნაბიჯია სრული კოლონიალიზმისაკენ, მის უკან იმალება რუსული შოკინიზმის აპრილიოტი.“

საქ. რევკომში, ორჯონიკიძესა და ოპოზიციის შორის, დავა გადადის ხელჩართულ ცემა-ტყეპაში. ერთთმ კრებაზე, ორჯონიკიძის უხეშობით და დიქტატორობით მოთმინედან გამოსული ძველი ბოლშევიკი კობახიძე ბრალს დებს მას ომის დროს ერთი თეთრი ცხენის მითვისებაში. ვაცეცხლებული ორჯონიკიძე მიეჭრება კობახიძეს და სახეში ძლიერ სილას ვააწნავს. ეს სკანდალი საჯაროდ გახშიანდება და კრემლი იძულებულია საქმის გამოსაძიებლად კომისია გამოაგზავნოს თბილისში ფ. ძერჟინსკის მეთაურობით. ძერჟინსკიმ ორჯონიკიძე გაათვრა, ის სწორად ასრულებდა ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, ხოლო ჩხუბის სკანდალი მიაფუჩეჩა. აბელ ენუჭიძისადმი გაგზავნილ დეპეშაში, უკლონისტებმა სერგო ორჯონიკიძეს ბრალი დასდევს პარტიაში ინკვიზიტორობაში და მოითხოვეს ლენინის პირადი ჩარევა მათ უთანხმოებაში. დეპეშის აგრესიულმა ტონმა აღაშფოთა ლენინი და 1922 წ. 21 ოქტომბერს გამოგზავნილი დეპეშით შეკარად დატუქსა და მოუწოდა დამორჩილონ ორჯონიკიძეს. იმედგაცრუებული საქართველოს რევკომის აღმასრულებელი კომიტეტი პროტესტის ნიშნად კოლექტიურად გადადგება, მათ აღვილას ორჯონიკიძე დანიშნავს უფრო თვინიერ ბოლშევიკებს, რომლებსაც არავითარი ავტორიტეტი არ ჰქონიათ თვით მათ პარტიაში: ცხაკაია, ელიავა, ორახელაშვილი, ლომინაძე, სტურუა და ხანოიანი. ამას მოყვა პარტიისა და კომკავშირის რიგების მასიური წმენდა. კომპარტიიდან გაირიცხა 3.781 წევრი, ე.ი. ეფექტივის 20 პროცენტი და კომკავშირიდან 35 პროცენტი, მაგრამ კრემლში ესეც საკმარისად არ იქნა მიჩნეული და ახალი წმენდის შემდეგ საქ. კპ. წევრთა რიცხვი 11.700-ამდე დაიყვანეს. (ა.კ. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ცნობა, თბილისი 1922) ასე გახედნო კომუნისტებს 1922 წლის ბოლოს ბრძანება მიეცათ საბჭოთა კავშირის და ა.კ. ფედერაციის შექმნის სასარგებლოდ კამპანიის გასაჩაღებლად და საბჭოების დლეგატების ასარჩევად.

მაგრამ, ქართველი უკლონისტები მაინც არ ცხრებოდნენ, ისინი იმედოვნებდნენ: თუ კავშირში შესვლა აუცილებელი იყო, საქართველო იქ პირდაპირ შესულიყო და არა ა.კ. ფედერაციაში, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ისინი მოითხოვდნენ რუსეთის ც.კ. პოლიტიურსა და კერძოდ ლენინის პირად მუყამდგომლობას. ამ დროს ლენინი უკვე მიძიმე ავადმყოფი იყო და პრაქტიკულ საქმიანობას ჩამოშორებული. ლენინი უკვე ცუდადაა განწყობილი სტალინის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც სტალინსა და ნადეჟდა კრუპსკაიას, ლენინის ოჯახობას შორის უსიამოვნება მოხდა. საფიქრებელია, რომ ლენინი ამ დროს ფიქრობდა „ქართული საქმით“ ესარგებლა, რომ სტალინი გენერალური მდივნის თანამდებობიდან მოეშორებია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ 1922 წ. დეკემბერში ლენინმა სტალინს მოთხოვა მისთვის გადაეცა ძერჟინსკის წერილობითი მოხსენება „ქართულ საქმეზე.“ სტალინი უარზე იყო, წერილის საიდუმლო ხასიათის მოტივით, მაგრამ ლენინის დაცინებულ მოთხოვნას ბლოს მაინც დამორჩილა.

1923 წ. 5 მარტს ლენინი თხოვს ტროცკის ხელი მოკვდის „ქართულ საქმის“ დაცვის ც. კომიტეტის მომავალ პლენუმზე, რადგანაცო, ეუბნება ლენინი „ის იქნება დევნილი სტალინისა და ძერჟინსკისაგან და მე არ შემიძლია მათი მიუდგომლობის იმედი შექონდესო, არამედ მოველი მათგან წინააღმდეგო.“ ამავე დროს ლენინმა წერილი გაუგზავნა მდივან-ქავთარაძეს, ხოლო მისი ასლი კამენევს. წერილში ეწერა: „მთელი ჩემი არსებით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს, აღშფოთებული ვარ ორჯონიკიძისა და ძერჟინსკის უხეშობით, ვამზადებ თქვენთვის ჩანაწერებს და მოხსენების ტექსტს.“ ეს იყო უკანასკნელი წერილი, რომელიც ლენინმა უკარნახა მის პირად მდივანს. მეორე დღეს დავლა დაეცა და მეტყველების უნარი დაჰკარგა სრულიად. ტროცკმა ლენინის დავლება არ შეასრულა, პლენუმზე არც ლენინის წერილი გამოუჩენია და არც უკლონისტები დაუთვავს ისე, რომ სტალინ-ძერჟინსკის პოზიციამ ადვილად გაიმარჯვა. ლენინის თეზისები ამ საქმეში მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. მათში სხვათა შორის ნათქვამია: „დიდი დამნაშავე ვარ რუსეთის მუშების წინაშე, რომ საკმარისი ენერჯით არ მოგიკიდე ხელი ავტონომიის პრობლემას, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.“ ზოგნული საკითხი ისე, როგორც ის წყევება, „კავშირიდან გამოსვლის თავისუფლება“, რომელსაც ჩვენ ვამტკიცებთ, ხდის ქალაქის უბრალო ნაგლეჯად და ეროვნულ უმცირესობებს ხელში აძლევს რუსულ შოკინიზმს, რომლითაც ხასიათდება რუსი ბიუროკრატები. საჭიროა უმცირესობის დაცვა რუსი დერჟიმორღებისაგან და სხვა...“ ეს წერილი საინტერესოა მით, რომ თვით ლენინიც კი გრძნობდა საბჭოთა კავშირის წესწყობილებს.

ისე, როგორც მას კომუნისტური პ.ც. კომიტეტი ახორციელებდა, რუსულ ბიუროკრატიულ და შოვინისტურ ხასიათს, გამოხდა მას და საჭიროდ მიაჩნდა მცირე ერთა უფლებების რუსული დერეფნორდებისგან.

როცა, დღეს, საბჭოთა ხელისუფალნი დიდი ამბით ზეიმობენ და ამაყობენ მათი სახელმწიფოს დაარსებით და ამავდროს ლენინს თაყვანს სცემენ, როგორც მათ მამამთავარს, ისინი განგებ იგივეყებენ ლენინს ამ უკანასკნელ პოზიციას. ორში ერთი: ან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო წყობილება, ისე როგორც ის გახორციელდა, იყო ცუდი და მავნე, როგორც ამას ლენინი წერს, ანა ლენინი ცდებოდა და მაშინ, ლენინი კი აღარაა მათი ნაქმები სახელმწიფოს შემოქმედის, არამედ მათ მიერ დაგმობილი და მავნეოლემიდან გაძევებული ოსტეპ ჯულაშვილისტალინი, რომელმაც უწინამძღვრა მისი საფუძვლების ჩაყრას და, რომელმაც მასზე იმეფა სიკვდილამდე, 30 წლის განმავლობაში.

ამით, რა თქმა უნდა, სრულებით არ გვსურს ლენინი გავანთავისუფლოთ იმ მძიმე პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას აწევს ისტორიის წინაშე. ლენინა მთავარი პასუხისმგებელი ბოლშევიკური რევოლუციის, ლენინაა მთავარი პასუხისმგებელი რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატიის მკვლელობისა, ლენინაა მთავარი პასუხისმგებელი ერთპარტიული ცენტრალური წესწარმოების შექმნისა, რომელიც ბუნებრივად უნდა დაგვირგვინებულყო და დაგვირგვინდა კიდევ პიროვნულ ტირანიად, რომელიც „პიროვნების კულტის“ სახელწოდებით მოინათლა.

ანჰქარებელი მარშით


1922 წლის 10 დეკემბერს, ბაქოში ჰკრებენ ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების პირველ გავრთიანებულ ყრილობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ფედერაციის შექმნისას და ამრიგად „აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები გადაიქცენ „ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.“ ყრილობამ აირჩია დელეგაცია, 75 კაცის შემადგენლობით, მოსკოვში საბჭოთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად.

27 დეკემბერს მოსკოვში შეკრბეს რუსეთის ფ.ს. რესპუბლიკის საბჭოების მე-10-ე ყრილობა, რომელმაც დაადასტურა სტალინის მიერ წამოყენებული წინადადება შეიქმნას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.“

30 დეკემბერს კი იქვე მოსკოვში შეკრბეს ს.ს.რ. კავშირის პირველი ყრილობა 1667 დელეგატის მონაწილეობით. ყრილობამ მილიანად და უტყველად მოიწონა სტალინის მიერ წამოყენებული კომისიის რეზოლუცია: „რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკისა, უკრაინის ს.ს. რესპუბლიკისა, ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისაგან შეიქმნას ერთი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.“ ამ სახელმწიფოს საფუძვლად დაედგა იგივე სტალინის განცხადება: „კავშირი დგება თანასწორუფლებიანი რესპუბლიკებისაგან, თანშობის საფუძვლზე. თითოეულ რესპუბლიკას აქვს უფლება თავის ნებაზე გამოვიდეს კავშირიდან, ისევე როგორც ყველა ახალ რესპუბლიკას აქვს უფლება მასში შესვლისა.“ ასეთი უსიარსებლო ტყუილი საფუძვლად დაედგა საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციას და ის უცვლელია დღემდე, მიუხედავად თვით კონსტიტუციათა არა ერთი დიდი ხმაურობით გამოცვლისა.

პრაქტიკულად მთელი საბჭოთა კავშირის მართვა განხორციელდა საბჭოთა რუსეთის მმართველობით. შეიქმნა სამი ტიპის სახალხო კომისარიატები: „საკავშირო“, „ფედერაციული“ და „რესპუბლიკური“. სამხედრო, საგარეო საქმეთა, საზღვაო, სატრანსპორტო, ფოსტა-ტელეგრაფიის კომისარიატები „საკავშიროა“, ე.ი. ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ცენტრს—რუსეთს. „ჩეკა“ საკავშიროა. საფინანსო, მომარაგების, შრომის, ეკონომიის და კონტროლის კომისარიატები არსებობენ რესპუბლიკებშიც და ცენტრშიც, მაგრამ კავშირის კომისარიატები განაგებენ რესპუბლიკების შესაბამის კომისარიატებს. რესპუბლიკების გამგებლობაში დარჩენ: შინაგანი, იუსტიციის და განათლების კომისარიატები. თუ ამას იმასაც დაეუმატებთ, რომ ყველა ამ კომისარებს ნიშნავდა და დირექტივებს აძლევდა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც საბჭოთა კავშირის სახელი დირექტა, მაშინ უდავოა, რომ რუსებმა ხელში ჩაიგდეს მთელი პოლიტიკური ხელისუფლება, რესპუბლიკებს კი დარჩათ მხოლოდ მათი ბრძანებების შესრულება. საბჭოთა კავშირის შექმნის მომენტიდან საქართველომ მილიანად დაჰკარგა დამოუკიდებლობა და ავტონომიაც კი და გახდა, როგორც მეფის რუსეთის დროს, რუსეთის პროვინცია. ამას ზეიმობს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა.

ბოლოქმეა : ქართველი უკლონისტები, მდივანი, ოკუჟაგა, ცინცაძე, ქავთარაძე, დუმბაძე,



საბაშვილი და სხვები დაუყოვნებლივ გადააყენეს საპასუხისმგებლო პოსტებიდან და შემდეგ ყველა დახვრიტეს, როგორც ხალხის მტრები. მათ პარტიულ „ინკვიზიტორს“, სერგო აფანასიანს ძესაც არ აცდა კრემლის მსახვრელი ხელი. საბჭოთა ტერორის უსახელო მსხვერპლი ყველანი, ვინც შემოუძღვენ საქართველოში და გააბატონეს საბჭოები.

საბჭოთა საქართველოს კომპარტიის დღევანდელ ხელმძღვანელებს, ელუარდ შვეარდნაძის ჩათვლით, რომლე ბიც დიდად აქტივობენ სამშობლოს დაპყრობის 60 წლისთავის საღღესასწაულად, მართებთ კარგად ჩაუფიქრდენ მათი პარტიული წინამორბედების ამ მავალითს, რათა იქიდან სათანადო და დროული დასკვნა გააკეთონ.

ბაპუნა ლუბაშვილი

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა : **HELÈNE CARRERE D'ENCAUSSE** : 1. *L'union Soviétique de Lénine à Staline* 1917-1953; Paris 1972, 2. *„L'empire éclaté“* Paris 1978.

SERGE AFANASYAN: *„L'arménie, L'azerbaïdjan et La Géorgie“ de l'indépendance à l'instauration du pouvoir soviétique* Paris 1981.

ALEXANDRE MANVELICHVILI: *„Histoire de Géorgie“* Paris 1951.

ა გ ვ ი ს ტ ო ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს 5 8 წ ლ ი ს თ ა ვ ი

(საფრანგეთში ქართ. საზოგადოების თავმჯდომარის, თამაზ ნასყიდაშვილის მოხსენება)

დღეს, ამ ლევილის შატოში, სადაც უცხოვრიათ დამოუკიდებელი საქართველოს ბევრ გმირს და, სადაც გაუვლია ამდენ დიდ ჩვენ მამულიშვილს, ჩვენ აღვნიშნავთ 1924 წლის აგვისტოს დიდ ეროვნულ აჯანყებას. საქირაა მოვიგონოთ, თუ როგორ მოხდა ეს აჯანყება და ხაზი გავუსვათ მისი მოგონების მნიშვნელობას.

ყველა ჩვენთავანისათვის ცნობილია ის ცბიერება, რომლითაც ხელმძღვანელობდა რუსეთის ბოლშევიკური ჯარების თავდასხმა, რომელმაც შეაძლება საბჭ. რუსეთის ნეო-კოლონიალიზმს მიეზებაძა, გაუარესებულ ფორმაში, ცარიტული რუსეთის იმპერიალიზმისათვის და საქართველოში დამყარებია უხეშობის, ძალმომრეობის და ტირანიის ბატონობა. ამის საპასუხოდ, ჩვენ სამშობლოში, ადგილი ჰქონდა ბევრ სახალხო აჯანყებას, კერძოდ, 1921 - 22 წლებში, სვანეთსა და ლეჩხუმში, კახეთსა და ხევსურეთში. ამ უკანასკნელთ ხელმძღვანელობდა საქართველოს გმირი, ბოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, თავისი განთქმულია „შეფიცულთა“ პარტიზანული რაზმის მონაწილეობით. 1922 წელსივე ადგილი ჰქონდა მხედრების შეთქმულებას, რომელიც ხელისუფლებამ 1923 წლის გაზაფხულზე აღმოაჩინა და 20 მისის დახვრიტა 15 მაღალი რანგის სახელგანთქმული ოფიცერი, მათ შორის: გენერლები: ა. ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, პოლკოვნიკები: როსტომ მუსხელიშვილი, ხიმშიაშვილი, მაჭავარიანი, გულისაშვილი და ჩრდილოე.

ეს კუთხური სტიქიური აჯანყებები და სამხედრო შეთქმულება დამარცხდნენ. ხელისუფლებას ეგონა რომ ამით დამთავრდებოდა, მაგრამ მოსკოვის ჩეკამ მალე შეამჩნია, რომ ქართველი მუშებიც და გლეხებიც არ იყვნენ გულგრილად და, რომ ისინიც თანაუგრძობდნენ მოსამსახურეთა, ინტელიგენტთა და ჯარისკცთა უკმაყოფილებას.

1924 წელში კიდევ ერთმა აჯანყებამ იფეთქა, მაგრამ თუ ადრე აჯანყებები ხდებოდა სტიქიურად, ამჯერად ის წინასწარ, ხანგრძლივად მზადდებოდა. მას ხელმძღვანელობდა ეროვნული პარტიების პარტიტული კომიტეტი, რომელსაც „დამკომი“ ეწოდებოდა. ამ კომიტეტს კავშირი ჰქონდა უცხოეთში გამოხიზნულ ეროვნულ მთავრობასთან.

აჯანყების გამარჯვების შესაძლებლობა დიდი იყო. ის უნდა ერთსა და იმავე დროს დაწებულყო მთელ საქართველოში 17 აგვისტოს. აჯანყების მთავარსარდლობა დაევალა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მის რაზმებს უნდა დაეკავებიათ დედაქალაქი.

აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელების დაპატიმრებამ გურიაში და ბათუმში აიძულა დამკომი, აჯანყების დღე გადაეწია 29 აგვისტოსათვის და აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად უკვე გამოწვეული მებრძოლები დროებით თავთავიანთ სახლებში დააბრუნეს. ეს მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლებას და იწყა შემჩნეულთა მასიური დაპატიმრება. აჯანყების წარმატებას აგრეთვე ხელი შეუშალა ქიათურაში შეცდომით აჯანყების 24 საათით ადრე დაწყებამ,

რომელმაც გააფრთხილა ხელისუფლება. მიუხედავად ამისა აჯანყებამ მოიცვა მთელი ქვეყანა, შემწეობის ბოლშევიკური ხელისუფლება, რომელიც აჯანყებას ვერ უმკლავდება, შურსა; ქართველ იმ პატიმრებზე, რომლებიც უკვე დიდი ხნის წინად მის ხელში იყვნენ და, მაშასადამე, არ შეეძლოთ აჯანყების მონაწილე ან პასუხისმგებელი ყოფილიყვნენ. აჯანყების პირველ დღეებშივე ციხეებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს ასობით პატიმარი. ეს ფაქტები თავის დროს ცნობილი იყო და დაგმობილი მთელ მსოფლიოში, კერძოდ, საფრანგეთში პიერ რენოდელის პატივით. ეს ამბები დროულად მოგვაგონა ჩვენმა მეგობარმა ლევან ფაღვამ „ჩვენი დროშას“ უკანასკნელ ნომერში. ასე იქნენ დახოცილნი: სახალხო გვარდიის ყოფილი უფროსი ვალიკო ჯუღელი, დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრი ნოე ხომერიკი, ჩვენი სათვისტომოს ჩემი წინამორბედის, ვიქტორ ხომერიკის მამა, რომელიც 1923 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს, ე.ი. ერთი წლით ადრე აჯანყებამდე, სალუქვაძე, დამოუკიდებელი საქ. პარლამენტის დეპუტატი, სოციალისტი, გოგიტა ფაღავა, აგრეთვე ყოფილი დეპუტატი დაპატიმრებულნი 1924 წ. იანვარში, შვიდი თვით ადრე აჯანყებამდე, ბენია ჩხიკვიშვილი, თბილისის ყოფილი ქალაქის თავი, დაპატიმრებული იენისი, ე.ი. სამი თვით ადრე აჯანყებამდე, ვ. ნოდია და სხვები...

პ. რენოდელი მართალი იყო, როცა ის დაპარაკობდა პოლიტიკურ მკვლელობაზე. და, მართლაც, დახოციეს ყოველგვარ დაცვას მოკლებული პოლიტპატიმრები.

მაგრამ, აჯანყება სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ფართოვდება და ქართველ გმირებს აქვთ შესაძლებლობა ერთხელ კიდევ გამოაცხადონ თავიანთი სიჯარბული სამშობლოსადმი. ბევრმა სამხედრო მეთაურმა თავი გამოიჩინა. შეუძლებელია ყველა მათგანის ჩამოთვლა, მაგრამ დაუფიქსარი იქნება სამუდამაჟამოდ:

-ხერხი და გაბედულება ქაქუცა ჩოლოყაშვილის,

შეუღრეკლობა პოლკოვნიკ სიმონ წერეთლის,

-სიმეტრია და სიმახაცე პოლკოვნიკ ჩეჩენიძის,

-სიჩაუქე კაპიტან მხეიძის,

-გამძლეობა ლეიტენანტ ჩიქოვანის...

მაგრამ, ბრძოლა იყო უთანასწორო. სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთიდან ბუდიონის სარდლობით მოსწრაფიან რუსეთის ჯარების ბანდები ქართველების ხოცვა-ყლეტვისათვის. მოკავშირე სახელმწიფოთა პრემიერმინისტრებმა ფაქტიური დახმარებით ვერ უპასუხეს პრეზიდენტ ნოე ყორდანას მხურვალე მოწოდებებს და ცხადი იყო, რომ ქართველ პატრიოტ აჯანყებულთა საქმე დროებით წაგებულ იყო. ბრძოლები შეწყდა 12 სექტემბერს, დღეს სწორედ 58 წელიწადი მის შემდეგ.

რეპრესიები იყო საშინელი, სისხლიანი, ბრმა, როგორც ეს კომუნისტებს ჩვევიათ. აჯანყება გახდა მიზეზი მასიური „შემდგების“: ციხირში გადაასახლეს აჯანყების მთელი მეთაურობა, მათ შორის: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, იშხნელი, ბოჰორიშვილი, ჯინორია... მოღალატე ორჯონიკიძისა და მახარაძის ბრძანებით მხეცურად დახვრიტეს ათასობით მამულიშვილი. ბევრი სოფელი გადაწვეს. მაგალითად მხოლოდ ქართლის სოფელ რუისში 50 მცხოვრები ამოხოცეს, მათ შორის, 34 პარიაშვილთა ოჯახის წევრი. არ დაინდევს 21 ბავშვი, 3 წლიანი 16 წლამდე ასაკის და 6 ქალი, რომელთა შორის 2 სამოცდაათი წლისა იყო. გიორგი ჩხოვას ნაჯახით დასხებეს ხელფეხი. ათასობით ნაწამები...

120 წლის განმავლობაში, 1924 წლის აჯანყება იყო რიგით მეცხრე აჯანყება მოსკოვის მპყრობელების წინააღმდეგ, ქართველებისაგან. 1820 წელს ბატონიშვილმა გრიგოლ ბაგრატიონმა საკუთარი სიცოცხლით გადაიხანდა თავისი ბრძოლა თავისუფლებისათვის. 1924 წელს, გარდაფხაძემ, ორმა ძმამ დადანიმა, ხომერიკმა და სხვა 7.000-მა ქართველმა პატრიოტმა შეწირა თავი, რომელსაც უნდა დაემატოს ათასობით ბოლშევიკურ იმპერიის ჩრდილოეთში გადასახლებული, რომელთა სამშობლოში დაბრუნება აღარ ღირსებიათ.

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყება გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების ტერორმა, დაპატიმრებებმა და დახვრეტებმა, რომელთა შესახებაც არსებობენ სათანადო წყაროები. ის იყო სახალხო აჯანყება, მასში მონაწილეობდნენ მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, ინტელიგენტები, ჯარიაკაციები, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები. სტალინიც კი იძულებული იყო ეს ეღიარებინა. გენერალი კროლენკო, რომელიც საქართველოში დამსჯელად გაიგზავნა, 1924 წლის 3 სექტემბერს აღიარებდა, რომ აჯანყება შედეგი იყო უკანასკნელი წლების საქართველოს მდგომარეობით და განსაკუთრებული ისტორიული ყოფით, რითაც ის ადასტურებდა



აჯანყების კანონიერებას..

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა სხვა აჯანყებებსაც. ეს კანონიერება რომ ქართველი ხალხი არ ურიგდება დაპყრობას. ქართველები, რომლებმაც იციან მამაცურად ბრძოლა და სიკვდილი თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის, გულს არ იტეხენ. ბრძოლა გრძელდება! და, ყველა ქართველი ემიგრანტის წმინდა მოვალეობაა მხარი შეამშველოს ამ ბრძოლას. ჩვენ მხარში უნდა ვედგეთ ჩვენ დევნილ ძმებს:

ნაცემ-ნაგვემმა და მის ეკლესიაში დამწყვდეულმა მღვდელმა,

შეურაცხყოფილმა და ნაწამებმა ქართველმა ქალმა,

დაბრწყინებულმა და დაპატიმრებულმა სტუდენტმა,

გავუვადილმა, დამშეულმა და აბუჩად აგდებულმა მუშამ,

მონად ქცეულმა გლეხმა...

ყველამ უნდა იცოდეს, რომ მათი მსხვერპლი უქმი არ არის და, რომ საზღვარგარედ არიან ადამი-

ანები, რომლებიც ზიარებამი არიან მათ დართან და წუხილთან. ეს საციციცხლოა მათთვის!

ესაა მათთვის აუცილებელი მკვებადი! და ჩვენ ვასრულებთ ამ როლს! ეს როლი უმადურია, რადგან-

ნაც შეიძლება ის იაფფასიანად მოგვეჩვენოს, როგორც ისეთი რომ რაც ადვილია და ეს მართალია,

რადგანაც ჩვენ შორს ვართ ბრძოლის ველიდან. მაგრამ ეს მოქმედება ც, ეს ბრძოლაც საქირაო

და აუცილებელი! ისტორია მოწმობს უცხოეთში გაფანტულთა მნიშვნელობას.

საქართველოში ატუსაღებენ, ახასლებენ, ხვრეტენ. ნუ ჩავიძინებთ! ვიფხიზლოთ! ვაცნობოთ

ყველგან, მუდამ, კანონიერების დარღვევები, რომლებიც ჩვენ ვიცით. ეს იქნებ ცოტა რამაა,

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება და ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ! ესაა ჩვენი თავისუფლე-

ბის ფასი. ჩვენი მოქმედების საშუალებები შეზღუდვილია, მაგრამ არ უნდა გავუშვათ არც ერთი

შემთხვევა, რომ ჩვენი სინდისის ხმა არ გავაგონოთ თავისუფალ მსოფლიოს. ნუ მოვასვენებთ

საინფორმაციო საშუალებებს, შევაცუბოზინოთ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, პარტიებს და პოლიტი-

კურ მოღვაწეებს. ეს შედეგს გამოიღებს საბოლოოდ.

დღეს შეიარაღებული მოქმედების დრო აღარ არის. უნდა ვიყოთ რეალისტები და არა მეოცნე-

ბენი. მაგრამ რეალისტურია, რომ მოლიანად გამოვიყენოთ ყველა ის საშუალებები, რომლებიც

ჩვენ გავაჩნია. ვაკეთებთ განა ამას? არა! კიდევ უარესი: არ ვსაღვურდებთ ჩვენ დანაშაუბრივ

თავმინებებაში?!

ბერდიავეს, ამ დიდ ორტოდოქს მწერალს, არ ესმოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყოველგ-

ვარი რუსეთის სიყვარული. ის ამბობდა, რომ ესაა ფრანგული თვალთახედვა, გიყვარდეს და მსა-

ხურებდე შენ ქვეყანას, როგორც არ უნდა იყოს ის. მას ეს აღშფოთებდა. მე სრულიად ვიზი-

არებ ამ თვალსაზრისს: მიყვარს საქართველო და კიდევაც მქონდა განზრახვა მყვარებოლა ყოველ-

გვარი საქართველო. მაგრამ არა! მე აღარ შემიძლია მიყვარდეს ყოველგვარი საქართველო.

გვეამაყება საერთოდ აღებული საქართველო და ქართველობა, ჩვენ სიხარულისა და მღვლვარე-

ბისაგან ვკანკალებთ, როცა ის დღის სინათლეზე პოზიტიურად გამოჩნდება. მაგრამ, ეს ხელს

არ უშლის, რომ დღევანდელი საქართველო, სადაც თავისუფლება და ადამიანური ღირსება შებ-

ღალულია, საქართველო, სადაც ძირითადი ღირებულებანი შევინებულია, საქართველო საბჭოების...

ეს საქართველო იყოს საქართველოს ერზაცი და საქართველო, რომელიც მე მიყვარს, ეს არ არის

ის საქართველო!

მაშ, კმარა თავიანობა ყალბ პატრიოტიზმთან! ვაფიცებთ იმ გმირებს, რომლებსაც დღეს

ვითაყვანებთ. მით უმეტეს, რომ მათი ბრძოლა არ გათავებულა. ის გრძელდება ისევე როგორც

რეპრესია. კიდევ ვიმეორებ, რომ გრძელდება დაპატიმრებები, ვადსახსლებები და დახვრეტები

საქართველოში. ბრძოლა არ წყდება!

1924 წლის სული ეხმარებთ ახალგაზრდებს, თბილისის ქუჩებში გაუმკლავდნენ ტანკებს,

ეს 1924 წლის სულია, როცა იცავენ ქართულ ენას, და ეს მუდამ 1924 წლის სულია, როცა

60 წელზე მეტი ხნის სისხლიანი დაპყრობის შემდეგ, აძლევს ისეთ კეთილშობილ მოქმედების

უნარს, როგორსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს თბილისში პოლონეთისა და თბილისის ფეხბურ-

თელების შეჯიბრების დროს: ათასობით პროკლამაციები იქნა გადაყრილი ფეხბურთის სტადიონზე

და ქალაქში, რომელიც ქართულად, რუსულად, პოლონურად და ინგლისურად მოითხოვდა პოლო-

ნეთის დამოუკიდებლობას.

საქართველო კვლავ ზრდის დიდი სულის ადამიანებს!

და აი, ეს საქართველოა შენ რამ მიყვარს და არა ის, რომელსაც უჩვენებენ „ლიუ-



მინიტეს“ სადღესასწაულო სტენდზე.

ვიყო მტკიცენი, რათა ჩვენი თანამემამულეების ტანჯვა არ იყოს უქმი! დიდება მის გმირებს!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

თამაზ ნასყიდაშვილი

დასავლეთის დემოკრატია და რუსეთი

2. მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა
(გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერი.)

ომის აუცილებლობის თეორიის იმპერიალიზმის ეპოქაში ლენინი იცავდა, როცა ის ამბობდა: „ჩვენი ვეცხოვრობთ არა ერთ სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა სისტემაში და საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა ხანგრძლივად კაპიტალისტურ ქვეყნების გვერდით შეუძლებელია.“ ამავე აზრის იყო სტალინიც და ხრულშროვიც კი, ბურჟუაზიულ ქვეყნებთან „მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის“ პოლიტიკის გამახორციელებელი, დაკაპიწებული სახელოებით, პრიმიტიულად რომ აცხადებდა: „რასაკვირველია უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ სამუდამოდ „კოეპსისტენციის“ მომხრე ვერ ვიქნებით, ერთი ჩვენთაგანი უნდა დასაბარდეს, ჩვენ არ გვინდა და არც დასავლეთს სურს სამარჯო. და რაღა დაგვრჩენია, ჩვენ მთ ხევი უნდა გვრათო.“ სანამ ეს დრო არ მოსულა, საბჭ. რუსეთი ცდილობს თავისი ეკონომიური კრიზისის დაძლევის და არ სირცხვილობს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დახმარებას მიმართოს. ეს უკანასკნელნიც ერთმანეთს ეცილებიან, არა მარტო უახლესი ტექნოლოგიური და ტექნიკური მიღწევებით რუსეთის გულის მოგებას, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ავსებენ რუსეთის ბაზარს, მილიონ ტონობით ყოველი სახის მარცვლეული შეაქვთ ყოველწლიურად ოკეანის გადაღმა ქვეყნებს და „ევროპის საერთო ბაზარიც“ ათას ტონობით კარაქს აწვდის, ტექსტილის ნაწარმით და ფეხსაცმელებითაც ამარაგებს, რომ საბჭოთა არმია ფეხშიშველი არ შეხვდეს ოქტომბრის გადატრიალების იუბილეს წითელ მოედანზე. დასავლეთის საავტომობილო ქარხნებიც არ ჩამორჩენ ამ საერთო ფეხსულს, და თუ რუსეთის ტერიტორიაზე რამე მნიშვნელოვანი ინდუსტრია აშენებულა, ესეც ხომ დასავლეთის კრედიტებითა და სპეციალისტებითაა შექმნილი(იხილეთ ჩემი წერილი „რუსეთის კომუნისტური სამოთხე“ „თ.ტ.“ №31 და 33).

საბჭოთა მთავრობის თანაარსებობისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკა ყალბად გაიგო დასავლეთის დემოკრატია. მათ ეგონათ მოსკოვი ხელს იღებდა იდეოლოგიურ ბრძოლაში და მსოფლიოზე გაბატონების სურვილზე. ვერ დაინახეს მოსკოვის ტაქტიკური მანევრი. დასავლეთელი მშვიდობის რომანტიკოსები იმ აზრისა იყვნენ, რომ დასავლეთის დახმარებით აღმოსავლეთში დასავლეთის ეკონომიური დონეს უნდა მიადწიოს, რადგანაც, მათი აზრით, მხოლოდ მატერიალური თანასწორობაა პირობა ხანგრძლივი მოდიუს ვივენდისა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის. სწორედ ამავე იმედით დაუთმო ამერიკამ რუსეთს გათანასწორება ძირითად სტრატეგიულ შეიარაღებაში და ახლა ჰხედავს, რომ რუსეთს გათანასწორებდიან კიდევაც გადაუსურვია ამერიკისთვის. თუ დასავლეთის გულუბრყვილობას მოსკოვი მაცურდად იყენებს სამხედრო შეიარაღებაში, ამერიკა თავის სამხედრო ძალს 14 მილიონით ამცირებს, სამხედრო ბეგარას აუქმებს, საზღვაო ფლოტი 1939 წლის დონემდე დაჰყავს და თავდაცვისათვის 1976 წლიდან მოყოლებული ნაკლებ ხარჯს იღებს, ვიდრე არასოდეს 1950 წლის შემდეგ. საბჭოები და მასთან ერთად მთელი „გერშავის პაკტი“ კი სწორედ ამ პერიოდიდან იწყებენ მასიურ სამხედრო პროგრამის განხორციელებას და დღეს უნდა ჰყავთ მთელი მილიონი ჯარისკაცი ახალი იარაღით შეიარაღებული. მიუხედავად „სალტ პირველის“ ხელშეკრულებისა, მოსკოვი სამი ახალი ატომ-იარაღის სისტემით ამდიდრებს თავის სამხედრო პოტენციალს და საშუალო მანძილის რაკეტები 600-მდე აჰყავს, რომეთა ნახევარი დასავლეთ ევროპისაკენაა დამიზნებული.

განსაკუთრებით ფედ. გერმანიის ინტერესებში არ შედის მოსკოვთან ეკონომიური ურთიერთობის გაღრმავება, რადგან რუსეთისადმი ფინანსიური და ტექნოლოგიური დახმარება საბოლოოდ ემსახურება დასავლეთ ევროპის და პირველ რიგში გერმანიის დასამარებას.

ფედ. გერმანიაში 1969 წელს მოსული სოც. დემოკრატიული მთავრობა კი პირველი დებს რუსეთთან ხელშეკრულებას(1970 წ. აგვისტო), რასაც მალე აღმოსავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნებიც მოჰყვია. იუგოსლავიის პრეზიდენტი ტიტო, კელნში, შანსელი უნდა ეთან საბურის დროს,



ბონის აღმოსავლეთის პოლიტიკის დიდ საშინაოებელ თვლის და, მართლაც, გერმანიის კანცლერი ხომ პირველი მსხვერპლი გახდა თავისივე აღმოსავლეთის პოლიტიკის და იძულებული გახდა თავისი პოსტი დაეტოვებინა. დასავლეთ გერმანიის მთავრობას, კონსტიტუციის თანახმად, არ ჰქონდა უფლება პოლინეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებისათვის, რომ მას სილუზია, აღმოსავლეთი პრუსია, პომერანია და ბრანდენბურგის ერთი ნაწილი, გერმანიის ტერიტორიის 104 ათასი კვ. კილომეტრი გაესაჩუქრებინა პოლონური ნაციონალიზმისა და საბჭოთა იმპერიალიზმის სისარგებლოდ. როგორც ეს მთვრობის მიკიბულ-მოკიბულ ცნობებითაა დადგენილი, ვარშავის ხელშეკრულების თანახმად, თითქმის ათ მილიონ გერმანელს სამშობლო მოუხსპეს, უსახლკაროდ დატოვეს და გადასახლებაში უტყრა თავი.

პოლიტიკა ფართო მეცნიერების გარდა მართვის დიდი ხელოვნებაც არის, რისი შეთვისება აგრეთვე განცდილ შეიძლება, მაგრამ დასავლეთის პოლიტიკოსებს, რომლებს წინაშე მთელი რიგი საბჭ. კავშირის აგრესიული პოლიტიკა მეთრდება, მინც ვერ შეუტენიათ რუსული კომუნისმის ნამდვილი ბუნება, ვერ ხედავენ მისი საგარეო კურსის ზრახვებს და მის სწრაფვას მსოფლიოზე გასაბატონებლად.

ბრენევიის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გადმოსროლილ მშვიდობიანობის მოძრაობის ანკესზე წამოეგნენ ბოლშევიზმის ბუნების უტოლინარნი, რომლებიც ადრევე ბონის პარლამენტის ტრიბუნიდან ფიცულობდნენ მოსკოვის მშვიდობიანობის სიყვარულზე, რუსეთის უზარმაზარ შეიარაღებას თავდაცვის მიზნით ხსნიდნენ, „ბრენევის ხელზე უკანკალეს ომის გავრცებისას“, რასაც სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე, ვ. ბრადეი გვაუწყებს, მოსკოვიდან დაბრუნებული გერმანიის სოც დემოკრატიული პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი და ახლა პარტიის სამხედრო ექსპერტი ეგონ ბაპრი, ჯერ კიდევ 1976 წლის ნოემბერში, მოსკოვისთვის რომ ესია მოგენებინა, აცხადებდა: „დაძაბულობის შენელების ერა ახლა დაიწყეთ.“ სინამდვილეში, მოსკოვმა სწორედ მაშინ დაიწყო, თავისი სატელიტების დახმარებით, ბატონობა ანგოლა-ეთიოპია-იემენ-კამბოჯა-ვიეტნამზე, ხოლო ავღანისტანში დღესაც სისხლის მორევიში აღჩრბის თავისუფლების მოყვარულ ხალხს.

ყველას მიერ აღიარებულია, რომ მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია დასავლეთის დემოკრატიის გაუთავებელმა დათმობებმა. რეალური მშვიდობა და დაძაბულობის შენელება შესაძლებელია მხოლოდ მილიტარულ წინასწორობაზე აღმოცენდეს, და ეს განსაკუთრებით დღეს, როცა მოსკოვი კიდევ ერთხელ ავღანისტანში გვიჩვენებს, რომ ის სამხედრო ავანტიურას არ გაუბრბის, თუ ეს მისთვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს.

35 წლის განმავლობაში, დასავლეთ გერმანიისათვის სადავო არ იყო, რომ ამერიკა და „ნატო“ გარანტიას წამოადგენდნენ ეროვნული უშიშროებისას, მაგრამ ახლა სოც. დემოკ. პარტიის მემარცხენე ფრთის და ახალგაზრდა თავისუფალ დემოკრატების დაჯერება აღარ ხერხდება და თანდათან იზრდება „პაციფისტური“ განწყობილება. უიმედობა საბჭოების წინააღმდეგ თავდაცვიტ მესაძლებლობაზე იქამდია მისული, რომ: „უკეთესია წილები გავხედო, ვიდრე სიკვდილს მივცეთ თავიო.“

ვინც ევროპის ნეიტრალიზაციას, ფინლიანდიზაციას, ან ატომისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას ესწრაფვის, ის შეგნებულად ნიადაგს უმზადებს მოსკოვის ბატონობის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. მოსკოვის ძალის პოზიციიდან წარმოებულ დიპლომატიკა, იგივე ძალა უნდა დაუბრბისპირდეს, ამის აუცილებლობას კარგად ჰხედავდა ვედ. გერმანიის კანცლერი შმიდტი, ჯერ კიდევ 1977 წელს, როცა მისი აქტიური ჩარევით „ნატოს“ ორმაგი გადაწყვეტილება მიადებინა, მაგრამ მის პრავამატულ პოზიციას უპირდაპირდებია მისივე პარტიის პრეზიდენტის წევრები. ეგონ ბაპრი კი ნეიტრონულ იარაღს „პერვერსიული გონების შედეგად“ აცხადებს, ხოლო მოსკოვის საწამლაგ გაზებს, რომელთა შედეგად უკვე ათასები კვდება, არც კი იხსენიებს. საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა, მარტის შუა რიცხვებში, გამოაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა 73% ამერიკაზე კარგი შეხედულებისაა, მაშინ როცა 77% საბჭოთა სისტემას ცუდად აფასებს და ეს „მიუხედავად ვილი ბრანტისა, ეგონ ბაპრისა, დიდი ყურნალი „შპაგელისა“, ტელხედვისა, ეპალერისა და ლაფონტენისა, ყურნალ „შტერნისა“, ახალგაზრდა სოც. დემოკრატებისა და თავისუფალ დემოკრატებისა, ცნობილი მწერლებისა, გრასის და ენგელმანისა“ წერის კლასზე იაკობი ამ წლის 18 აპრილის „ველტ ამ ზონტაგში.“

ბრენევიის სამშვიდობო პროპაგანდა და მისგან გამოწვეული ხშირი მანიფესტაციები დასავლეთ ევროპაში, უსათუოდ ხელს უშლის ევროპელების ერთიანობას საბჭოთა კავშირის მიმართ.

რის, რეკონსტრუქციის სტატია, რომელშიც სხათა შორის ნათქვამია: „მექრთამეობით იყო შეპყრობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო. საფინანსო-კონტროლის ეს მთავარი ორგანო ფაქტურად გამოეთიშა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის მიმდინარე ბრძოლას და ეს გასაკვირი არაა, რადგან მექრთამეებს სათავეში ედგნენ საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი და ყოფილი ფინანსთა მინისტრი, რომლებიც დაპატიმრებულნი და სამართალში არიან მიცემულნი“-ო.

სსრკ-ს გენერალურმა პროკურორმა რომ ხელში კალამი აიღო მეტყველებს ფარნაოზ ანანი-აშვილისადმი წაყენებულ ბრალდებების სიმძიმეს, მით უმეტეს, რომ გენერალური პროკურორი ამ წერილში აგრეთვე ლაპარაკობს სსრკ-ს თევზის სამინისტროს სკანდალზეც, რის შედეგადაც დაიხვრია მინისტრის მოადგილე ვლადიმერ რიტოვი. საგულისხმოა, რომ საქ. ყოფილ ფინანსთა მინისტრსაც იგივე ბედი ხვდეს. მაგრამ, ამ სიბინძურის შხეფებმა არ შეიძლება არ დასვაროს კოლბინ-შეგარდნაძე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საქ. პარტბელმძღვანელ კადრების

ზურაბ ნარსია

ფიქრები ქართულ ფეხბურთზე I. „ღინამოს“ წარუმატებლობა

ჩვენ სამშობლოს ფეხბურთის უპირველესმა გუნდმა, თბილისის „ღინამომ“ წელს ბელგის „სტანდარტთან“ წააგო თამაში და ამით ევროპის თასის მპყრობელ გუნდთა ასპარეზობას გამოეთიშა. ამ ამბავმა დიდი იმედგაცრუება და შთქმენ-მოთქმა გამოიწვია „ღინამოს“ გულშემატკივართა შორის. მიუხედავად ზოგი კაპიტალისტური სამყაროს ავრესიულობას ასახელებს, ზოგი არ-ბიტრის მიეკრთობას და სხვები კიდევ სხვასა და სხვას... შეიძლება ყველა გამოთქმულ მოსაზრებებში იყონ სიმართლის ელემენტები, მაგრამ არიან სხვა მოსაზრებებიც, რომლებზედაც საბჭოთა საქართველოს პრესა არ ლაპარაკობს და, რომლებიც შეიძლება არა ნაკლები მნიშვნელობისა არიან.

თბილისელი ფეხბურთელების გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ იშვიათი შემთხვევაა ფეხბურთის საერთაშორისო შეჯიბრებებში, როცა ერთი და იგივე გუნდი გამარჯვებული გამოდის ორ წელიწადში ზედიზედ. თბილისის „ღინამომ“ გასულ წელში გაიმარჯვა და ევროპის თასთა თასი მოიპოვა. მაშ, რად უნდა იყოს ტრაგიკული თუ წელსაც ვეღარ გაიმარჯვა?

როცა ქართველ ფეხბურთელთა წარუმატებლობას ვეძებთ, არ უნდა დავივიწყოთ მთავართა მთავარი: თბილისის „ღინამოს“ თითქმის ნახევარი შემადგენლობა, და თავისთავად იგულისხმება, საუკეთესონი, თამაშობენ საბჭოთა კავშირის ნაერტებში, ამან არ შეიძლება არ დაასუსტოს თვით „ღინამოს“ თამაშის ხარისხი და გამძლეობა.

„ღინამოელთა“ გარდა რამდენი სხვა კარგი ქართველი ფეხბურთელი მუდმივად თამაშობს მოსკოვის, კიევის, თუ საბჭოების სხვა დიდ ქალაქების გუნდებში. ყველა ისინიც, რომ საქართველოში თამაშობდნენ, მაშინ მათგან რჩეულთა გუნდი მართლაც იქნებოდა საერთაშორისო კლასისა და, არც თამაშის სილამაზით და არც შედეგებით, არ ჩამორჩენოდნენ იქნება სამხ. ამერიკის ფეხბურთელებს. მაგრამ, რა ქნას ქართულმა სპორტმა, როცა არც ქვეყანა და არც თავი მას არ ეუთუნის?!

2. ესპანეთის „მონდიალ 82“

15 ივნისიდან 15 ივლისამდე ესპანეთში ჩატარდა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია მრგვალი ბურთის მოყვარულთა მრავალმილიონიან მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ პატარა „დიდი ბრიტანეთის სამეფოდან“ სამი გუნდი იბრძოდა პირველობისათვის: ინგლისის, შოტლანდიის და ჩრდილოეთ ირლანდიის, მაშინ, როცა უზარმაზარ საბჭოთა კავშირიდან, რომელიც ოფიციალურად შედგება „15 თანასწორუფლებიან დამოუკიდებელ რესპუბლიკისაგან“, მხოლოდ ერთი გუნდი. მიუხედავად ამისა მან ნახევარ ფინალმდეც კი ვერ გაძლო, მაგრამ ეს როდია ჩემი ფიქრის საგანი.

ორშაბათს, 22 ივნისს ერთმანეთს ებრძოდნენ შოტლანდიის და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელები. პატარა ეკვინიდან მაცქერალი ჭეშმარიტ სიამოვნებას განვიცდიდი: თამაში იყო ფიცხელი და თითქმის თანაბარი, შედეგიც თანაბარი დარჩა: ორ-ორი გოლი.

ფრანგული გაზეთის, „ფიგაროს“ კორესპონდენტი საბჭოთა ფეხბურთელებს იხსენიებდა „ტრე



სლავებად“(ნამდვილ სლავებად), მაშინ, როცა თერთმეტ ფეხბურთელიდან, საბჭოთა ნაკრებში
თამაშობდნენ: ოთხი ქართველი: ჩივაძე(კაპიტანი), შენგელია, სულაქველიძე და დარსაძე,
ერთი სომეხი და ერთი თათარი და, რომ ორი ბურთიდან, ორივე ქართველმა ჩივაძემ და შენ-
გელიამ გაიტანეს მოწინააღმდეგის კარებში. მეყვსეულად გამახსენდა დიდი ილის „იანიჩარი“:

„...შენოღა იგი ჭაბუკი ცხენზედა ვით ალვა რჯული,
მაგრამ მე მის მჭერეტელს ნაღვლით ამერია სული, გული...
ვისთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუბველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!...“

ვაგლახ, 122 წლის წინად თქმული ეს გულთამხილველი სიტყვები რა შთამბეჭდავად ეხმიანე-
ბა ქართველი კაცის დღევანდელ ყოფასაც!

გულბათ გულბათიშვილი

„ და თ ა თ უ თ ა შ ხ ი ა ს “ შ ე ს ა ხ ე ბ

(ამ წლის 4 თებერვალს რადიო „თავისუფლებამ“ სამშობლოში გადასცა დილოგი დავით თა-
ბორიძესა და ნუგზარ შარიას შორის, ჭაბუა ამირეჯიბის რომანის, „დათა თუთაშხიას“ შექმნის
პროცესის თაობაზე. ვფიქრობთ ეს საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისათვის, მით უმეტეს,
რომ „დათა თუთაშხია“ დიდი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. „თ.ტ.“)

„ჭაბუა ამირეჯიბის რომანმა „დათა თუთაშხიამ“ ოკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა:
ეს რომანი თვით ავტორმა თარგმნა რუსულად, გამოიცა აგრეთვე გერმანულ, შვედურ, დანიურ,
ესპანურ, ბულგარულ, პოლანურ და სხვა ენებზე; განხორციელდა შვიდსერიანი ეკრანიზაცია,
1979 წელს და კანში 1980 წელს—სატელევიზიო ფილმების ფესტივალებზე— ეს ფილმი 80-ზე მეტ
ქვეყნის კინო-ტელევიზიის კომპანიაში შეისყიდა. ეს კი, უდავოა, დიდი წარმატებაა, რასაც სუ-
ლითა და გულით ველოციან ჩვენს აწ საერთოდ აღიარებულ მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს.

მაგრამ, აქ, ამჯერად, ვგულისხმობთ არა ამ უთუოდ დიდ ლიტერატურულ ტილოსა და მისი
ავტორის შესახებ საუბარი, არამედ იმ ორივე ფაქტის აღწერა, რომელიც მომიტხრო ნუგზარ
შარიამ და, რაც, ვფიქრობ, საყურადღებო შეიძლება იყოს. ჩემთან ერთად ახლა სტუდიოშია
ნუგზარ შარია. ბატონო ნუგზარ, თუ შეიძლება ჩვენს მსმენელებს მოუთხროთ იმ ორო ფაქტის
შესახებ, რომელიც ეხება „დათა თუთაშხიას“, ასე ვთქვათ, შექმნის პროცესს?

ნუგზარ შარია: „დათა თუთაშხიას“ შექმნაზე, ჭაბუა ამირეჯიბი მუშაობდა მრავალი წლების
მანძილზე. ამ 8-9 წლის წინად, როდესაც მე ვცხოვრობდი ნიუ-იორკში, ჩემთან ერთად რადი-
ო-თავისუფლების განყოფილებაში მუშაობდა რომან ბრახმანი. ის ადრე საბჭოთა კავშირში,
1950-54 წლებში, სიონიზმის ბრალდებით, ათ წლიან პატიმრობის სასჯელს იხდიდა ტიშუეტის
საპატიმრო ბანაკში. მისი სიტყვით, იმავე საპატიმროში სასჯელს იხდიდა ანტი-საბჭოთა პრო-
პაგანდის ბრალდებით ჭაბუა ამირეჯიბი. ისინი იქ დამეგობრდნენ. რომან ბრახმანის სიტყვით,
რომელიც დღესაც ცხოვრობს ამერიკის შ.შ. ჭაბუა ამირეჯიბი საპატიმრო ბანაკში მუშაობდა
„დათა თუთაშხიაზე“. რ. ბრახმანი ბევრჯერ შეეცადა ამერიკიდან დაკავშირებოდა ამირეჯიბს,
მაგრამ უშედეგოდ.

1966 წლის ნოემბერში მე დავამთავრე ფილმის გადაღება ტაშკენტში, მეორე დღეს ვბრუნ-
დებოდი თბილისში. კარგად მახსოვს, ჩემთან სასტუმროში მოვიდა ჭაღარა ადამიანი, დაახლოე-
ბით 65 წლისა და გამომეცნაურა; მისი გვარი იყო სეგედი და მითხრა, რომ ის პატიმრობის
ვადს იხდიდა ტიშუეტის ბანაკში ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად. მან მითხრა თქვენ ქართველი
ბრძანდებით და ხომ არ იცნობთ ჭაბუა ამირეჯიბსო. მე ვუპასუხე, რომ ჭაბუას ძალიან კარ-
გად ვიცნობ-მეთქი. მაშინ, მან მითხვა ამირეჯიბისათვის გადამეცა, რომ იგი, ე.ი. სეგედი
პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ გადასახლებაში დატოვეს შუა აზიაში. სეგედმა გა-
მომიწოდა თავისი მესამართი და მითხვა იგი გადამეცა ამირეჯიბისათვის.

1967 წლის იანვარში ამირეჯიბს შეეხვედი ბაკურიანის სიბზოზიუმზე და გადავეცი სეგედის
დანახარები. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან მითხრა, რომ ამ სეგედმა პატიმრობაში
ყოფნისას ჩემი წიგნისათვის მომცა ბევრი მასალები.

ჩემი ვარაუდით, ეს სეგედი შეუძლებელია იყოს „ღათა თუთაშხიას“ პერსონაჟი. გედი, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ამირეჯიბის ბევრი მასალები მიაწოდა მისი რომანის ერთი მთავარი პერსონაჟის, გრაფ სეგედის შესახებ. ნათელია, რომ საბჭოთა პრესაში ცნობები იმის შესახებ, რომ ამირეჯიბი „ღათა თუთაშხიას“ შექმნაზე საპატიმრო ბანაკში მუშაობდა შეუძლებელია. ცხადია ორი ფაქტი: პირველი ის, რომ ნიუ-იორკში მცხოვრები ამირეჯიბის პატიმრობის მეგობარი რომან ბრახმანი აღასტურებს, რომ ჭაბუა წიგნზე მუშაობდა საპატიმრო ბანაკში, მეორე ის, რომ აღამიანი გვარად სეგედი ჩემთან მოვიდა სასტუმროში, ტაშკენტში და მთხოვა იგი დამეკავებინებინა ამირეჯიბთან“

ნუგზარ შარია და დავით თაბორიძე

 სამგლოვიარო განცხადებები

ჩემო სიყრმის მეგობარო საშა!

გიცნობდა მთელი უცხოეთის ქართველობა. დიახ, იცნობდნენ ჩვენს ბაღურს, როგორც საუკეთესო სმენის და სიმღერების ოსტატს, მუდამ მზიარულს, მოსწრებულ ენის პატრონს, დიხ მამულიშვილს, გმირ შეფიცულთა რიგებში, საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლს. ეს ყველა საკმარისი არ არის. მას სხვა უფრო წარჩინებული და არაჩვეულებრივი წარსული აქვს. მე ვიცნობდი მას და მივლს მის ოჯახს ბავშვობიდანვე. ის უფროსი შვილი იყო უაღრესი პატრიოტის, შაქრო ბაღურაშვილის. სწავლობდა თელავის სასულიერო სემინარიაში, ბავშვობიდანვე ეტყობოდა, სიღნიჯესთან ერთად, სიმკვირცხლე და ნიჭი.



როცა ქაქუცა რაზმს ჰქმნიდა, მისთვის საჭირო იყო ერთგული, თავდადებული და სანდო მეომრები. ამიტომაც მან მიმართა სანდო ხალხს. ქაქუცა კარგად იცნობდა შაქრო ბაღურაშვილს როგორც სანდოს და დიდ პატრიოტს. მიმართა მასაც, მისთვის მიეცა ერთი სანდო ვაჟყავი. არ გასულა სულ ორი თუ სამი დღე, რომ შაქრო ეახლა ქაქუცას ერთი მთლად ახალგაზრდას თანხლებით და მოახსენა: ბატონო ქაქუცე, დღეს შენ შეუდექი დიდ და არაჩვეულებრივ საქმეს, ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ საქართველოს გასანთავისუფლებლად. დღეს შენ გიჭირავს საქართველოს თავისუფლების დროშა, ალაში. მთხოვე თქვენთვის ამერიჩია და გამოიმეგზავნა სანდო და ერთგული მეომარი. მოსაძებნად შორს არ წაესულვარ, მოგვარე ჩემი ღვიძლი და საყვარელი უფროსი ვაჟი, იმსახურე, ასწავლე ბრძოლა საქართველოსთვის, მომირთმევი შენთვისა და საქართველოსთვის საჩუქრადო. გაოცებული შეპყურებდა ქაქუცა ამ უაღრეს პატრიოტ მამას, „გი მაგრამ, ჯერ კიდევ ბავშვი ჩანს, რამდენი წლისა ხარ ახალგაზრდავ.“ „ჩვიდმეტის ბატონო“, ამყად მიუგო, ერთი ნაბიჯით წინ წარსდგა, მისმა ლამაზმა ბრდღვილა თვალებმა უცნაურად გაიღვეს, „ვიცი თოფის სროლა და ბრძოლა ერისთვის, მისახურეთ“, თქვა. და მამის ნაჩუქარი კარაბინა მზარზე გადაადებული გაისწორა. „შენი სახელი“, შეეკითხა ქაქუცა და ხელი გაუწოდა. „ალექსანდრე ბატონო, საშას მეძახიან“ და ცალ მუხლზე დაჩოქილმა ბელადს ხელი გაუწოდა... სიხარულის ცრემლებით გამოეთხოვენ მამაშვილი ერთმანეთს.

ასეთი მოქმედება ბევრი არ არის ისტორიაში. მაგონდება უკავის თხუთხულება—„თორნიკე ერისთავი“, როდესაც თორნიკეს ეახლება მოხუცებულებსიგან დავრდომილი პაპა, რომელსაც ორი ვაჟყავი ამოდგომია გვერდში, ეხმარებიან სიარულში. „ჰა ბატონო,“ წარმოთქვამს მოხუცი,



„აი ორი ჩემი შვილი, ორივე ვაჟკაცი, მათ მეტი მე არაფერი გამაჩნია, მომირთმევეს“ უწინ თვის, იმსახურე, აბრძოლე მტერთან, ნუ დაინანებ.“

საშა რჩება ქაქუცას შეფიცულთა რაზმში. იმსახურებს ყველას სიყვარულს თავისი თავდადებული ბრძოლებით და მხიარულებით. იტანს დიდ ვაჭირვებას... ერთ დღეს იკარგება მისი კვალი. ფშავ-ხევსურეთში საქმეზე გაგზავნილს, თოვლ-ზვავების გამო ეკვრება უკან დასაბრუნებელი გზა. ერთი წელი ინახავს თავს ფშაველებში. შემდეგ მის ამბავს იგებენ რაზმელები, მონახავენ და ისევ უბრუნდება თავის საყვარელ ბელადს და შეფიცულებს. სამი წლის ბევრი უბედურებისა და ტანჯვის შემდეგ მას წილად ხვდება გადმოხვეწილთა ბედი.

მამა მისი შაქროც მის გამო იტანს ბევრ დევნას და პატიმრობას ხელისუფლათაგან. ციხეში მას აძღვევენ წინადადებას: „მოგვიყვანე შენი შვილი და გაძღვეთ სიტყვას, რომ გაგანთავისუფლებთ ციხიდან და არც შენს შვილს ვაენებთ არაფერსო.“ შაქრომ შეხედა მათ და უპასუხა: „რას ლაპარაკობთ, ალბათ ვადაირიეთ, ჩემი უფროსი შვილი მოგგვართო? მეორეც მეზრდება და ვუციდ მის წლოვანებას, რომ იგიც ვავგზავნო ქაქუცასთანო.“ ბევრი აწამეს იგი და ბოლოს სული დალია პატიმრობაში. აი იო ოჯახს ეკუთვნოდა ალექსანდრე ბაღურაშვილი.

მშვიდობით ჩემო სიყრმის მეგობარო, ერთგულო ძმავო საშა. შენ პირნათლად შეასრულე შენი ვალი და ალბათ იმ ქვეყანას ხელზე გაშლილნი დაგხვდებიან საქართველოსთვის დაღუპულნი გმირნი, და მამაშვილურად ჩაგიკარავენ გულში. ერთი სინანული დამჩჩა, რომ პირადათ ვერ მივატოვილე შენს უკანასკნელ ბინაზე და უკანასკნელად ვერ ვეამბოროე შენს გაცეხულს გვამს.

ელიზბარ მაყაშვილი

ილია ჯაბადარი


წელს, 3 ავგისტოს საღამოს, თითქოს იძინებდა, მისი თანამეცხედრის მკვავებში, თავის ბინაზე, მიიცვალა უვადმყოფოდ ილია ჯაბადარი.

ბატონ ილიას კარგად იცნობდენ ემიგრაციაში და თვით სამშობლოშიც. მიუხედავად უტყობოთა ხანგრძლივი ცხოვრებისა ის იყო ნამდვილი კახელი სახითაც, მეტყველებითაც და ტემპერამენტითაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მე ის გავიცანი, ილია ჯაბადარის ბევრი არ ემადლიერებოდა ემიგრაციაში, მის მიერ აღებული პოზიციის გამო, მაგრამ უნდა ვთქვათ დღეს, როცა ის სამუდამოდ ვაგვმორდა, რომ მას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის არ უღალატნია, სამშობლოს მტრების მხარეზე არ გადასულა. ილია როგორც იმპრესარიო ხშირად მოგზაურობდა სამშობლოში და იქ ჰქონდა კავშირი თეატრალურ წრეებთან. ამის გამო მისთვის საქირი იყო შორის ყოფილიყო პოლიტიკური საქმიანობიდან, მაგრამ სამშობლოსთან ურთიერთობაში მას თავი ღირსეულად ეკავა და შეძლო იქიდან ხანგამოშვებით ჩამოეყვანა მომღერლები თუ ცეკვისა და სიმღერების ანსამბლები.

ილიას მიზნად ჰქონდა დასახული სამშობლოში დაემკვიდრებია მისი საყვარელი და საამაყო ძმის, კომპოზიტორ ირაკლი ჯაბადარის მუსიკა და ნეშტი. ეს მისია მან შეასრულა და ამით მისი მადლიერი უნდა იყოს ყველა ქართველი.

ომის შემდეგ, ილიამ პარიზში ჩამოაყალიბა ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლი. შალვა შენგელიას უღროოდ გარდაცვალების გამო გუნდის მოშუადება ვეღარ მოხერხდა, მაგრამ პარიზში და ევროპის ზოგიერთა სხვა ქალაქებამაც პირველად ნახეს ქართული ცეკვები ჯაბადარის ბალეტის სახით და მოისმინეს





წელს, 23 აგვისტოს, სოფელ ბიეფში(ღუბის დეპ. საფრანგეთი), სადაც ის ოჯახით მცხოვრებელია, წლებში ცხოვრობდა, გარდაიცვალა ილია სალუქვაძე. განსვენებული იყო 81 წლის, შეგნებული და ურყევი სოციალისტ-დემოკრატი, სამშობლო დატოვა 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ, დასახლდა ქ. სოშიში სადაც ის სიკვდილამდე აქტიურად მოღვაწეობდა ადგილობრივ ქართულ საზოგადოებაში.

თავისუფლების ტრიბუნა თანაგრძობას უხვადებს მის უნუგეშო ცოლსა და შვილს.

წელს, 15 სექტემბერს, პარიზში, ღრმა მოხუცებაში გარდაიცვალა ქალბატონი ირენ ანთაძე, ფილოლოგის ასული. განსვენებული დაიბადა რუსი მოხელის ოჯახში ქუთაისში და საქართველოს ის თვლიდა თავის სამშობლოდ, პარიზში ის შეეუღლა აწ განსვენებულ ევსევი ანთაძეს, და სიკვდილამდე დარჩა ჩვენი ეკლესიის სამრევლოსა და საზოგადოების ერთგულ და საყვარელ წევრად. საუბრო იყოს ხსენება მისი.

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ა

(შედგენილი გაზეთ „კომუნისტის“ მიხედვით)

ავი ტაროსი: ავი და ბოროტი ამინდი იყო წელს თითქმის მთელ საქართველოში. მარტის ბოლოს და აპრილის პირველ რიცხვებში კოკისპირულად წვიმდა დასავლეთ საქართველოში, რასაც მოჰყვა ძლიერი წყალდიდობა, რის შედეგადაც განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდნენ საჩხერის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ოჩამჩირეს რაიონები და ქალაქები: ქუთაისი, წყალტუბო, ჭიათურა. დაიბორა სოფლები, შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა, წაილეკა საავტომობილო გზები, დაზიანდა ელექტრო გადაცემის და კავშირგაბმულობის ხაზები, შეწყდა მიმოსვლა რიკოთის უღელტეხილზე და სხვა. აქარის მალაშთიან რაიონებში მეწყერის შედეგად საფრთხეში აღმოჩნდა რიგი სოფლები, დაზიანდნენ როგორც საზოგადოებრივი ისე კერძო ნაგებობები, გზები და ხიდები.

28 აპრილის დამით თბილისს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმა და სეტყვა, ღვარცოფებმა ძლიერ დააზარალეს ღვინაქალაქის რიგი რაიონები. დაზიანდნენ სკოლები, პოლიკლინიკები, დაიბორა საწარმო-დაწესებულებების და საცხოვრებელი ბინების სარდაფები, პირველი სართულები, მიწისქვეშა გადასასვლელები, სასტუმროები, სადგურები, ელექტრო ქვე-სადგურები, მწყობრიდან გამოვიდა სატელეფონო კავშირი და ქუჩების განათება, ძლიერ შემცირდა სასმელი წყლის მიწოდება, ბევრ რაიონში შეწყდა ელექტრო მომარაგება და სხვა...

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დღეს, საქართველოს პარტკომდევანელობა ზეიმობდა ქ. თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოვებას. მაშინ როცა ამ ამბავს გაზეთ „კომუნისტმა“ მთელი პირველი ორი გვერდი დაუთმო, თბილისის ტრაგედიის ის ამცნობს სულ მოკლე „საქინფორმის“ ოფიციალური კომუნიკეთი. ასეთივე გაუგონარი გულცივობა და სიძუნწვა სამშობლოს სხვა კუთხეებში მომხდარ სტიქიურ უბედურებების ცნობებში, მკითხველი მას გეგულობს რამდენიმე დღის დაგვიანებით, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან. რას ადგენს ეს უკანასკნელი? დაიძლოს სტიქიური უბედურება, შესრულდეს სახელმწიფო გეგმები! არც ერთი სიტყვა დაზარალებულთა ანაზღაურებისათვის, არავითარი ნიშანი საკავშირო სოლიდარობის!

მაისის მეორე ნახევარში თავსხმა წვიმებმა, ქრიშხალმა და ძლიერმა სეტყვამ დააზარალა მთელი აღმოსავლეთ საქართველო. სეტყვამ განსაკუთრებით გააჩანავა ვენახის ზერები, ხილის ბაღები და ხორბლის ყანები.

ქართული ზღაპრები გერმანულად: გასულ წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, რომლის თარგმანი შესრულებულია ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, იენის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰაინც ფენრიხის მიერ. წიგნი შეიცავს 363 გვერდს და მასში შეტანილია 52 ზღაპარი. წიგნს ერთობ კომენტარები, ცნობები სიუჟეტების შესახებ, ტერმინების განმარტება და ვრცელი ბიბლიოგრაფია ქართ. ზღაპრების გამოცემათა.

ახალი პლანეტა: ლადო გუდიაშვილი: ცნობილია გერმანელმა ასტრონომმა—რიჰარდ ვეტემშაუერი მის მიერ ახლად აღმოჩენილ მცირე პლანეტას ლადო გუდიაშვილის სახელი მიაკუთვნა. ვეტემშაუერი დასტურებულიქმნა ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის მიერ. თავის მიძღვნაში, აღმოჩენილი შეცნეირი წერს: „ამ პლანეტას სახელი მივანიჭე დიდი მხატვრის და ჩემი ძვირფასი მეგობრის ლადო გუდიაშვილის(1896 - 1980) ხსოვნის უკვდავსაყოფად. მის შემოქმედებაში ადრე გამოვლინდა ინდივიდუალური სტილი, რომელშიც ძველი ქართული ფრესკების გავლენა იგრძნობა. იგი ყუველივე მშვენიერის თყყყანისმცემელი და პოეზიის შეუპოვარი მიძიებული იყო, მონადლე-ბული ჰქონდა გამომხატველობის ფანტასტიური ნიჭი, რამის შემდგომში საყოველთაო აღიარება მოუტანა. მისი ნახატები და ფერწერა თავისი არსით ჩვეულებრივ ფილოსოფიური ან ალეგორიულია, ბევრი სურათი საქართველოს ბოზოქარ იასტორიასთან არის დაკავშირებული. ლადო გუდიაშვილი მეოცე საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია და სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.“

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ 1976 წლის 24 ოქტომბერს, ბატონმა ვეტემმა მის მაშინ ახლად აღმოჩენილ პლანეტას მცხეთა უწოდა სახელად, რომ ის ქართველების სიძეა, რომ ის ბევრ სხვა ენათა შორის საუცხოოდ ფლობს მაღლიან ქართულსაც, და რომ ის საქართველოს დიდი მეგობარია, ამას უთქმელადაც მიხვდებით.

საქართველოს ჰადრაკის წლევეანდელი ჩემპიონები: მაისის ბოლოს დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ჰადრაკში. ქალთა შორის პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს თბილისელმა ც. კახაბრიშვილმა და ქუთათურმა ე. ფახიროვამ. ორივე გამოცხადებულია ჩემპიონად. ვაჟთა შორის, უცილოდ პირველ ადგილზე გამოვიდა 18 წლის ჰაბუკი— გაია გიორგაძე.

—ქართული პროზის ოცტომეული: „საბჭოთა საქართველოს გამომცემლობა“ ამზადებს „ქართული პროზის ბიბლიოთეკის“ გამოცემას 20 ტომად. მალე გამოვა პირველი სერია, მეხუთე-მეთერთმეტე საუკუნეების ძეგლები, მეორე ტომში შევა ამირანდარჯიანის და ვისრამიანის და ა.შ. თანამედროვე მწერლებამდე..

—ვეფხისტყაოსანი იტალიურად: რომის გამომცემლობა „სალვატორე შაშინი“ წელს გამოსცა იტალიურად ვეფხისტყაოსანი, რომლის თარგმანი ეკუთვნით ცნობილ მწერალს და კრიტიკოსს მარინო ბიკის და ფილოლოგს, იტალიის რადიოს ლიტერატურულ თანამშრომელს პაოლო ანჯოლეტის. წიგნს წამდვარებული აქვს მარინო ბიკის წინასიტყვაობა „დანტე და რუსთაველი“-ს სათაურით, რომელშიც გაანალიზებულია იტალიელი და ქართველი გენიოსების უანრობრივი და სტილური სიახლოვე.

გარდაიცვალა მწერალი ალექსანდრე ქუთათელი: როგორც პოეტი და მწერალი, ალექსანდრე ქუთათელი თავიდანვე ჩაღდა საბჭოთა რეჟიმის სამსახურში. ოციან წლების ბოლოს მან სახელი გაითქვა ოხტომიანი რომანით „პირისპირ“, რომელშიც გამახსრებულია დამოუკიდებელი საქართველო და გაიდელელებული მისი მტრები ბოლშევიკები. ალექსანდრე ქუთათელი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა 19 მაისს.

—შრომის ზაფხული 82“: სასკოლო არდადეგების მოახლოებასთან დაკავშირებით, საბჭოთა საქართველოს პარტხელმძღვანელობამ შეადგინა გეგმები მოსწავლე-სტუდენტ ახალგაზრდობის დასარაზმად, რომ წარგზავნოს შრომის ობიექტებზე. გაზუთი „კომუნისტი“ (1.6.82.) იტყობინება, რომ საზაფხულო არდადეგების დროს 15.700 ქალიშვილი და ჰაბუკი, .ე.ი. საქ. ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლების სტუდენტი, მივიღინდება სამუშაოდ სოფლებში და ქალაქებში. აქედან 3.250 გაიგზავნება არაშავიწინადადაიანი ზონისა და იმიერპოლარეთის მხარეში. სტუდენტთა შრომითი ბრიგადები გაიგზავნება რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კურსკისა და ჩიტის ოლქებში.

—პატარაობის დაღუპვა: ხუთ იენისის საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე. უბედური შემთხვევის ცნობა მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოცხადდა და არაფერი არ არის ნათქვამი გამომწვევ მიზეზებზე. მის ადგილას დაინშნა ყოფილი თანამემწე: დიმიტრი ლევანის ძე ქართველიშვილი.

—არქეოლოგია: ქ. საჩხერის მახლობლად, სოფელ საირხეში 15 წლის წინად მიუყვლევიით ანტი-



კური ქალაქისთვის და სამარხისთვის და მის შემდეგ მხოლოდ წელს გაუგრძელებითი ეტიკური ოლოგიური ძიება, რის შედეგადაც ნაპოვნია ოქტომბერდღის ძვირფასი ნიმუშები, მისი და რკინის იარაღები. არქეოლოგთა მიხედვით, ქალაქი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

პეტრე ჰაბუციანის გარდაცვალება: 20 აგვისტოს, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი მხარეთმცოდნე, პეტრე ჰაბუციანი. 1919 წლიდან, როცა მან იურიევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაამთავრა, პეტრე ჰაბუციანი თავს დასტრიალებდა ქუთაისს და მის შემოგარენს. მას უნდა ვუმახლოდეთ ახალი ქვის ხანის ადამიანის ნამოსახლარის აღმოჩენას თეთრი მიწის გორაკზე ქუთაისში, იზვიით კარსტულ გამოქვაბულის აღმოჩენას სათაფლიას მაღლობზე და იქვე დინოზავრების ნაკვალევის აღმოჩენას, კირქვის შრეზე, ეს უკანასკნელი განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩენაა და იგი სპეციალურ ლიტერატურაში შესულია პეტრე ჰაბუციანის სახელით.

—საქართველოს დღეები საფრანგეთში: 5 ნოემბრის ვაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილის მიხედვით: „საფრანგეთში საბჭოთა კავშირის დღეები დაიწყო იმით, რომ პარიზში „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოებაში გაიხსნა გამოფენა, „ქართული ხელოვნება და ხალხური ტრადიციები.“ გამოფენაზე წარმოდგენილია ძველ ქართულ ოსტატთა ნაკეთობანი, ეროვნული ტანსაცმელი, საოჯახო საგნები, აგრეთვე თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. წლის უკანასკნელ სამ თვეში პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში მოეწყოება ძველი ქართული მინიატურების, თანამედროვე ხალხური ოსტატების ნაკეთობათა, ნორჩი მხატვრის, რუსულან ფეტვიაშვილის ნახატების, ქართველ გრაფიკისა და ფოტოგრაფიის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. დეკემბერში ქალთა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, მათა ჩიბურდანიძე შეხვედრა ფრანგ მოჭადრაკეებს და ჩაატარებს ერთდროულ სეანსებს. ხოლო, ნოემბერსა და დეკემბერში საგასტროლოდ ჩამოვა საქართველოს სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი.

საფრანგეთის პარლამენტარები საქართველოში: საფრანგეთის ეროვნული საკრებულოს საგარეო საქმეთა კომისია, ბატონ მორის ფორის მეთაურობით, ოქტომბრის პირველ რიცხვებში სტუმრად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, რომლის დროსაც ის სამი დღით ეწვია საქართველოს. 12 ოქტომბრის ვაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილია ბატონ მორის ფორისა და ბატონ ლუი ოდრიუს განცხადებები „საქინფორმის“ კორესპონდენტისადმი. ბატონმა მორის ფორმა სხვათა შორის ბრძანა: „საქართველოში ჩამოსვლა სსრ კავშირში საფრანგეთის დელეგაციის ყოფნის პროგრამაში ჩვენი თხოვნით შეიტანეს. ყოველ ჩვენგანს უნდოდა ჩამოსულიყო თქვენს რესპუბლიკაში, რომელზეც ბევრი რამ ვგსმენოდა. მინდა დელეგაციის ყველა წევრის სახელით მაღლობა მოვასხნო რესპუბლიკის ყველა მშრომელს გულთბად მიღებისათვის. თუმცა, მართალი ვიხსრათ, მაინც და მაინც არ გაგვიკვირებია ასეთი მასპინძლობა — საქართველო ხომ განთქმულია თავისი სტუმართმოყვარეობით. თქვენს ხალხს არ ავიწყდება თავისი სახელოვანი წარსული, იგი თვალისჩინებით უფრთხილდება თავისთავადს ეროვნულ კულტურას, დედაენას, წმიდად იცავს საუყუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციებს...“

მხურვალე მაღლობას ვწირავთ ბატონ მ. ფორს განსაკუთრებით ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვების წარმოთქმისათვის, რომლებიც, უეჭველად, კრემლის ხაზინებს არ ესიაიმოვნებოდათ. ქართველი ხალხისთვის, რომელიც ესოდენ მსხვერპლს იღებს, სწორედ იმის გამო, რასაც ბატონი ფორი უწონებს, ეს სიტყვები მეტად ძვირფასი და გამამხნეველებია. ქართველ ხალხს კიდევ ერთი თვისება აქვს: მან იცის სიკეთის დახსომება.

გრიგოლ წერეთელი

უკანასკნელ წუთში შევიტყვეთ ანტუან კომპანიონის გარდაცვალება პარიზის საავადმყოფოში, 20 ოქტომბერს. მამით ფრანგი, დედით ქართველი, დაბადებული და გაზრდილი საქართველოში, ანტუან კომპანიონი ენით, კულტურით, სულით საფრანგეთისა და საქართველოს ლიდერი შვილი იყო. ბედმა საშინელი გამოცდა არგუნა: რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში მიჯაჭვული იყო ლოგინად, მგარამ აზრი მისი ფხიზელი დარჩა ბოლომდე და მორალი დაუთრგუნველი. საუკუნო იყოს ხსენება მისი!



„ჩასაფიქრებელის“ კომენტარი

ხარ თუ არა დემოკრატი?—აი უდიდესი საკითხი მე-20-ე საუკუნის აღმამისა.

ამ წლის დამდეგს მივიღე თხელი წიგნი დავით თაბორიძის(ი-კ): „ჩასაფიქრებელი“. ამ წიგნმა ჭკუმაირიად ჩაგვაფიქრა და აქ გვსურს მისი შედეგები მოვთხროთ მკითხველებს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრები პირადადაც შემიძლო გამეზიარებია ჩემ მეგობარ თაბორიძისათვის, მაგრამ აღძრული საკითხი უაღრესად აქტუალურია, პოლიტიკურია და საზოგადოებრივი, და ამიტომ მსაჯულიც საზოგადოება უნდა იყოს.

დავიწყეთ მთავარიდან, მთავარი „ჩასაფიქრებელში“ გახლავთ ის, რომ: „აიტი, ფარნავაზი, მირიანი, წმინდა ნინო, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ერეკლე მეორე, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ყორღანია ქართველი ერის სიმბოლოდ ქვეყელი პირები არიან და ერის სიმბოლოდ ქვეყელი პირების აუგად სხენება დასაგმობიაო“, გვეუბნება ავტორი. სანამ ძირითად „დაგმობის“ კითხვას გავარჩევდე, საჭიროა მეორე ხარისხოვანი შემჩნევების გაკეთება: **1.** მითიური და ისტორიული პირების ერთ რკალში მოქცევა არ არის მართებული, ისე, როგორც წმინდანებისა და ერისკაცებისა. **2.** რას ნიშნავს სიტყვა „აუგად“? საბას მიხედვით „აუგი“ ნიშნავს „სიტყვიანს“. ეს განმარტება დღევანდელ ქართულზე ორგვარად შეიძლება გავიგოთ: უშევარის საჩხევებით ლანძღვა-ვინება, ან ნაკლავანებათა აღნიშვნა, ე.ი. კრიტიკა. თუ დავით თაბორიძე „აუგად სხენებაში“ გულისხმობს პირველ აზრს, მაშინ, თავისთავად ცხადია, გამოჩენილ ისტორიულ პირთა(მე ვანგებ არ ვხმარობ გამოთქმას:„ერის სიმბოლოდ ქვეულს“, რადგანაც ეს აქ შეუფერებლად მიმანჩნია სრულიად.) ლანძღვა-ვინება საკადრისი და მოსაწონი არ არის, მაგრამ „ჩასაფიქრებლის“ კითხვა ჩვენ გვარწმუნებს, რომ მის ავტორს სურს ჩვენ ყველამ დავგმოთ მის მიერ ზემოდ ჩამოთვლილ მითიურ თუ ისტორიულ პირთა კრიტიკა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ მას ვერ დავეთანხმებით. კრიტიკისაგან თავს ვერ დაიფარავს ვერც ერთი სახელმწიფო გინდ საზოგადო მოღვაწე, რა გინდ დიდი არ იყოს იგი. არც უნდა დაიფაროს, რადგანაც ბოლოს და ბოლოს კრიტიკა ემსახურება სიმართლის დადგენას, თვით საკრიტიკო პირის უკედ გაგებას. მეფეები და პრეზიდენტები, თუშეა ერის სახელთ ლაპარაკობდენ და მოქმედებდენ, სიცოცხლეშივე არ უფიქრან დაზღვეული კრიტიკისაგან, ხოლო სიკვდილის შემდეგ ისინი ისტორიის საგნები გახდენ, მათზე მსჯელობს ისტორია და მომავალშიაც იმსჯელებს. თვით პატარა კახიც, ერეკლე მეორე, ვერ აცდა განქიქებას და წინააღმდეგობასაც კი, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ. თუმცა თაბორიძეს ის ერის სიმბოლოდ ყავს გამოცხადებული, მაინც არავის დაუგმა და არც დავგმობს ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმისათვის, რომ ის „ბედი ქართლისაში“ პატარა კახის პოლიტიკას აკრიტიკებს.

კრიტიკის თავისუფლება, მისი ნებაზრთვა და გარანტია არის დემოკრატიის მთავარი მოთხოვნა. კრიტიკის თავისუფლება, სინონიმი დემოკრატიის ბატონობის. ყველა ვინც ამა თუ იმ მიტივით მოითხოვს კრიტიკის „ოლაგმვას“, კრიტიკის თავისუფლების შეზღუდვას, შეგნებულად თუ უნებურად აკეთებს ტირანიის საქმეს. რადგანაც, მხოლოდ ტირანიის ინტერესია კრიტიკის გახედნა, უღამის ამოდება.

არ უნდა დავგავიწყდეს, რომ თუ ქართული ემიგრაცია ეროვნულია, საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ ის იბრძვის დემოკრატიის და თავისუფლების გაშლილი დროში. ერის და პიროვნების თავისუფლება ერთი და იგივე დედის ორი ძეძუა, რომლებითაც უნდა იკვებებოდეს ჩვენი ერის განთავისუფლების ბრძოლა.

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ჩვენი ერი ცხოვრობდა მეფეების და მთავრების აბსოლუტურ ძალაუფლების რეჟიმებში. მხოლოდ დამოუკიდებლობის სამი წელი იცხოვრა მან დემოკრატიული წესით. სამი წელი სავსე საგარეო ომებით და ბოლშევიკური შეთქმულებებით, რომლებმაც ხელი შეუშალეს დემოკრატიის გაფურჩქნასა და აყვავებას. შემდეგ კი საბჭოთა რუსეთმა თავს მოგახვანია ჯერ არ ნახული პოლიტიკური და ეკონომიური ტირანია. თუ ჩვენი ხალხი იბრძვის ამ ტირანიის წინააღმდეგ, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მას სწორად ესმოდას დემოკრატიის საფუძვლებს. ამის მაგალითია საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფია. აღბათ რუსული აბსოლუტური ცენტრალიზმის გავლენით, ქართველი ხალხის ისტორია ისეა გადმოცემული, რომ მეფეები, რომლებიც იმარჯვებდენ და ამყარებდენ განუკითხავ თვითმპყრობელობას იყვენ დიდი პატრიოტები და დიდი პროგრესისტები, ხოლო ყველა ისინი, ვინც მათ



მეტოქეობას, ანდა სულ ცოტა, მონურად არ ემორჩილებოდნენ, რეაქციონერებად და ლაღატეხბადაც კი არიან გამოყვანილი.

სამშობლოში გაბატონებული ეს ანტი-დემოკრატიული განწყობილება, ხშირად ემიგრაციაშიაც ყონავს შეუმჩნეველად და გვწამლავს, რასაც დაუზოგავად უნდა ვამხილებდეთ და ვებრძოდეთ. თუ ჩვენ დავგებთ კრიტიკა, თუნდაც მკაცრი და დაუზოგავი, მაშინ რაღათღა განცხსხვადებოთ ელდარდ შვეარდნაძისაგან, რომელიც საჯაროდ და რიხით აცხადებს:

„სოციალისტური პრინციპების დამკვიდრება სულაც არ ნიშნავს, თითქოს ვიღაცას უფლება ჰქონდეს საჯაროდ ილაპარაკოს ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება, ცილი დასწამოს და ჩირქი მოსახოს ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის წმინდააწმინდაა.“ („კომუნისტი“ 7.7.1981. მოხსენება იდეოლოგიურ მუშაობა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე)

დაიას ჰუმანიტი (და არა საბჭოური) დემოკრატიის დანიშნულებაა კრიტიკის თავისუფლების დაცვა და მფარველობა. კრიტიკისა, ბატონებო, და არა ცილისწამების, რადგანაც, დემოკრატია თუ სიტყვისა და წერის თავისუფლებას იცავს, ის ასევე იცავს და უნდა იცავდეს საზოგადო მოღვაწეებს და საერთოდ ყველა პირს ცილისწამებისაგან. ამისთვის არსებობენ კანონები და სასამართლოები.

ჩვენ აგრეთვე ვერ დავეთანხმებით დ. თაბორძეს, როცა ის აცხადებს: „ერი არასოდეს არ ცდება... ყველა ერს ყავს მთავრობა, რომლის ღირსი ის არისო.“ და ვინც ამას იწამებს უეჭველად პოლიტიკურ ჩიხში მოექცევა. განვიხილოთ დაწვრილებით.

ერი მისი შეილებიდან შედგება. თუ ერის შემადგენელი ერთეულები შეიძლება შეცდეს, რატომ არ შეიძლება შეცდეს მისი უმრავლესობა? ცხადია, რომ შეიძლება და ამის მაგალითები უამრავია. მაგალითად ოციან წლებში იტალიელები შეცდნენ, როცა ხელისუფლება ფაშისტებს ჩააბარეს, ოცდაათიან წლებში იგივე დემარტათ გერმანელებს ნაციონალ-სოციალისტების არჩევით. ისინი იქნებ ამ შეცდომებს გამოასწორებდნენ, რომ მათთვის თავისუფლება არ წაერთმიათ, მაგრამ თ ვთქვათ, რომ იტალიელებს და გერმანელებს ყავდათ მთავრობა, „რომელთა ღირსი ისინი იყვენ“, არც სამართლიანი იქნება და, არც მართალი. ესაა ავიდოთ დემოკრატიული საფრანგეთის მაგალითი: სულ ცოტა ხნის წინად საფრანგეთში ჩატარდა ერთი მეორის შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტის და ეროვნული საკრებულოს წევრების არჩევნები. გაიმარჯვეს სოციალისტებმა და საერთოდ შემარცხნენ პარტიებმა. პრეზიდენტის არჩევნების მეორე დღეს შემარჯვენათ დიდი გაზეთი „ფიგარო“ თავის მოწინავეში წერდა: „ჩვენი მოვალეობაა, არა გამხიარულება—ჩვენ ძველებურად ვფიქრობთ, რომ ფრანგებმა მძიმე შეცდომა ჩაიდინეს, რომლის ფასსაც ისინი მალე გაიგებენ—არამედ დავემორჩილოთ ამომრჩეველთა არჩევანს, ესაა დემოკრატიული წესრიგი, და პარტიც ვცუთ ბატონ ფრანსუა მიტერანს, როგორც კაცს, რომელიც ხალხის ნდობით უფლებამოსილი იქნა სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობაზე.“ დამარცხებულ ბანაკის ყველა წარმომადგენელმა სხვადასხვა ფორმაში, ასეთივე შინაარსის განცხადებები გააკეთეს. ყველა ამბობდა ფრანგი ერი შეცდაო, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია, რომ ის ამით ფრანგის ერს შეურაცხყოფას აყენებდა. ასე იქცევიან ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. დამარცხებული პარტიები ემორჩილებიან უმრავლესობის მიერ არჩეულ მთავრობას, მაგრამ ისინი კრიტიკას და პოლიტიკურ ბრძოლავ ხელს როდი იღებენ, რადგანაც იმედოვნებენ, რომ მომავალში უმცირესობიდან უმრავლესობად გადაიქცევიან. დავით თაბორძის მსჯელობას თუ ვაყვეთ, მაშინ „ალტერნანსა“ (მთავრობაში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ცვლებადობა) შეუძლებელი გახდებოდა, რადგანაც: თუ „ერი არ ცდება“, გამოსასწორებელიც აღარავფერი ექნება.

რაც შეეხება ჩვენს დამოუკიდებლობის ხანას, მისი მთავრობის დაცვა სულ სხვა გვარად უნდა დასაბუთდეს, ვიდრე ამას თაბორძიე გვთავაზობს. თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებით, რომელშიც მრავალი პარტია მონაწილეობდა, ამომრჩეველთა 80%-ზე მეტმა ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და, რომ ამ პარტიის ხელისუფლება იყო კანონიერი, არ შეუძლია უარყოფს არც ერთ კეთილ ნების ადამიანს. მაგრამ, ოპოზიციის მამინაც და ახლაც აქვს სრული უფლება თქვას, რომ ქართველი ხალხი მაშინ შეცდა თავის არჩევაში. საქართველოს გარედან ძალმომრეობა რომ არ ყოფილიყო, რამდენიმე წლის შემდეგ ქართველ ხალხს იქნებ მართლაც შეეცვალა თავისი არჩევანი, მაგრამ იგი დაიპყრო უცხო ძალამ, გარეკა ქართველი ხალხის რჩეულები და ამავე ძალამ ქართველ ხალხს წაართვა არჩევის უფლება. ვის აირჩევს ძალმომრეობისაგან განთავისუფლებული ქართველი ხალხი, ეს ჩვენ არ ვიცით და არც



შეადგენს ჩვენი მოღვაწეობის დედაარსს. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ დედამამუშობლს, სუფილი არჩევის აღდგენა-მოპოვებაში. თავისუფალი არჩევა კი გულისხმობს სიტყვის, წერის, კრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციების, პოლიტიკურ-კულტურულ-საწმინდობრივ, და ბოლოს, კრიტიკის თავისუფლებას. ბრძოლას კრიტიკის თავისუფლებისათვის ენიჭება გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნულს ბრძოლაში. არც ერის და არც ადამიანის უფლებები არ შეიძლება გახორციელდეს კრიტიკის სრული თავისუფლების გარეშე. კრიტიკის თავისუფლება არა მარტო კანონით უნდა იყოს დაცული, არამედ აგრეთვე ხალხის შეგნებით. ჩვენ თვითონ უნდა შევიგნოთ და განვიმსჭვალთ კრიტიკის შეუზღუდველობის საჭიროების და აუცილებლობის რწმენით. მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ და არ უნდა ვღიზიანდებოდეთ მაშინაც კი, როცა უსამართლოდ და უსაფუძვლოდ გვაკრიტიკებენ. ყოველ კრიტიკას და კრიტიკის პასუხს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, მნიშვნელობა და განმავლობა, როცა ის მოკლებულია პირად, ეწირო ჯგუფურ ან პარტიულ ინტერესებს და ემსახურება სიმართლესა და კეთილშობილებას.

გიორგი წერეთელი
1981 წლის სექტემბერი.

ს ა მ ო ც ი წ ლ ი ს ე მ ი გ რ ა ც ი ა

(ჩვენი ეროვნული ემიგრაცია თავის დასაწყისს იღებს ჩვენი სამშობლოს დაპყრობის პირველ დღეებიდანვე, მაგრამ ქართული საზოგადოება ოფიციალურად პარიზში გაფორმდა 1922 წელს. სამოცი წლის შეგრულებასთან დაკავშირებით, თავისუფლების ტრიბუნა სამოვრეებით დაუთმობს ადგილს მისი პირველი თაობის მოგონებებს. ამჯერად მკითხველებს ვთავაზობთ ქალბატონ ლუბა აბდუჭელიშვილის მოგონებებს.)

პირველი წლები ჩვენი ემიგრანტული ცხოვრებისა პარიზში

ის აღარ ვართ, რაც ვიყავით; დავიღალეთ და მოვხუცდით, თან უღმობელმა სიკვდილმა დაგვჩაგრა და გავგანადგურა. ვინც კი გადარჩა, მატერიალურად უკედ არის, ვინც წინაა, ამ დიდებულ საფრანგეთის წყალობით, სადაც თავი შეეფარეთ და, რომელსაც ჩვენს მეორე სამშობლოდ ვთვლით.

პირველი წლები ჩვენი ემიგრაციაში ცხოვრებისა უსათუოდ ძალიან ძნელი იყო ჩვენთვის. შორს სამშობლოდან, ოჯახიდან და ნათესავებიდან, უპატრონონი, ცხოვრებისათვის გამოუცდელი და მოუშვადებელი, ხმელი პურიც არ გვქონდა საკმაოდ დღეში. ცოტა იყო ქართული ოჯახი, რომელსაც შეეძლო ჩვენი მოვლა-პატრონობა. სამაგიეროდ, ყველა ვიყავით ახალგაზრდა და ღრმა სურვილით აღჭურვილი, საქართველო სახელისათვის რამე ვნება არ მიგვეყენებია. თან იმედიც გვქონდა, რომ მალე დავბრუნდებოდით ჩვენს სამშობლოში.

შალვა და მე ბერლინიდან რომ ჩამოვედით, გვეწოა „ბედნიერება“ და განსვენებულ გვეგნი გეგმეკორის საშუალებით მოვიწყვეთ თოფისა და ტყვიის ქარხანაში, ქ. ისილი-მულინოვი, ქარხანას მგონია სახელი ერქვა უაველო. ჩამოსვლისას ავიღეთ ერთი ოთახი და სათითოს ხელა პატარა სამზარეულო პატარა „პოლიტო“ როყეს ქუჩაზე, მონპარნასზე. ჩვენს სასტუმროს გვერდში იყო მეორე, უკეთესი, სასტუმრო, სადაც ცხოვრობდნენ შალვასთან ერთად გადმოსახლებული ქართველები, ან თავის ნებით ჩამოსულნი.

ჩვენი ქარხანა არ იყო ახლოს. ალიონზე ვდგებოდით, ვიღებდით ჯერ მეტროს და მერე ტრამვაის. ომის შემდეგ საფრანგეთს მოაწვა აუარებელი ლტოლვილები, სხვადასხვა ეროვნების მუშები. ცხოვრება იყო ძნელი, ნამდვილი „ჯუნგლის“ კანონი იყო. ვინც უფრო ღონიერი იყო ის შევარდებოდა მეტროში და ტრამვაიაში. მე რამდენჯერ მომგლიჯეს ტრამვაიაზე ასვლის დროს და დამავდეს მიწაზე. ცუდად ვავხდი და ორჯერ სახლში მომიყვანეს, რომ ქარხანაში არ მოვლოვინებულყავით(თეხს მოველოდი). მშეიერნი, მწყურვარდნი და გაყინულნი, მეტროში და მის კულუარებში ვთბებოდით მოგზაურობის დროს. ძალიან მომწონდა კედელზე გაკრული რეკლამა, სადაც ბედნიერი სახით და თეთრი კბილებით ზანგი ამბობს: *Il y a bon Banania*. იმ დროს ისე შენატრებოდა იმ ოხერი ბანანიას გაშინჯვა, მარა სად იყო ნანა! სამუშაოდან დაბრუნებულებს, კარის წინ გვიციდნენ ქართველები: ზოგს ჩაი უნდოდა, ზოგს ცხვირიდან სისხლი მო-

დიოდა და შველას მთხოვდა. ზოგს მუწუცი აწუხებდა და მთხოვდა ხახვის შუწვას მეს დასე-
მწიფებლად. მეზობელ ოტელის ქართველები აგროვებდნენ ცარიელ კამაშბერის კოლუფებში, მდ-
ციცხლს მინთებდნენ; იქაურობა აყროლებული იყო საშინელი ხახვის და კამაშბერის სუნით. მდ-
ლობა დმერთს, ჩვენი ბინა იყო დაბლა, ეზოში.

ვასო ნოღია, ვალკო ჯუღელი და ცენტრამე თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდნენ ზამთარში
წაბლის შესაწავად. ოთხი თვე ვიცხოვრეთ ასე პარიზში, მერე კი ჩემი ბიძის, ელჩი გარშა
აღმზიბაის საუკეთესო მეგობარმა, ალი ბეი მარდან ტობჩიბაშმა გვირჩია ვაღმოსვლა სენ-კლუში,
სადაც თვითონ ცხოვრობდა. მისი ქალიშვილი, სარა, იყო ჩემი საუკეთესო მეგობარი ბაქოდან,
სადაც ვიცხოვრე თითქმის ერთი წელიწადი ჩემს ბიძის ოჯახში. აქვე ჩემი ბიძის სახლში გავი-
ცანი კოლია ქარცივაძე, რომელიც მერე თითქმის ორი თვე თბილისში ჩვენთან იმალებოდა, როცა
მე უკვე შალვაზე ვიყავი გათხოვილი და ცხოვრობდით ვერის დაღმართზე №3-ში. სახლი ეკუთ-
ვნოდა ოსიბეგს, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა ფილ თოდუამ შეისყიდა იგი, სადაც თვითონ ცხოვ-
რობდა და ჩვენც იქ გადავადგივანა. ძალიან მიყვარდა ეს სახლი. შიგ ცხოვრობდა მამაჩემის კლა-
სიკური გიმნაზიის ამხანაგი, თვალის ექიმი თოფურაძე, სახლის ახლო აბანოსთან, მეორე ამხანა-
გი ექიმი ჯაფარიძე და ბათუმში შატილოვი, იყო აგრეთვე დიომიდე თოფურაძე. მამა რომ ჩამოდი-
ოდა სოფლიდან ყველას უყრიდა თავს. რა ბედნიერი ვიყავი მათი ყურისგდებით!

მარდან ბეი ტობჩიბაში იყო იშვიათი ჭკუიანი და განათლებული პიროვნება. ძალიან უყვარდა
ქართველებს. ის ქართველებთან ერთად იჯდა რუსეთში ვიბორგის ციხეში, საღდანაც ერთად ვამო-
უშვებს ვიბორგის მონოკლებმა. მერე იგი გახდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი. თუ ლიუდვიკ მე-14-ს
ჰქონდა უფლება ეთქვა: „საფრანგეთი მე ვარ“, ალი ბეის ჰქონდა უფრო მეტად. მან ჩამოაყალი-
ბა მისი ერის ფიზიონომია და ძალიან ჭკუიანურად უძღვებოდა თავის ქვეყანას. ტობჩიბაში და-
საფლავებულია სენკლუში, შალვას გვერდით.

სენკლუში დავსახლდით და ვანვარკობთ მატარებლით სიარული ქარხანაში. ჩვენი სამუშაო
იყო ძალიან ძნელი და საშინო, ვაღრძობთ ტყვიის მასალას დიდ სპეციალურ ბუხარში. საწყა-
ლი შალვა ვაწილებული იყო როგორც ყაყაჩო. დღეში გვალევივებდნენ თითოს ორ ლიტრა რძეს.
იმ რძემ, მე მგონია, გადაარჩინა თეზი მუცელში. ამისთანა პირობებით ვაკეთებული ფულით,
შაფათ-კვირას თავს ვუყრიდით ყველას ვისაც უნდოდა ჩვენთან მოსვლა, ვაკეთებდით ქართულ
საქმელებს და ვცდილობდით თბილი ქართული ატმოსფეროში ცოტათი მაინც შეგვემსუბუქებია
ცხოვრების სიმწარე. ბევრი ხანი არ არის, ბავარტ წუღაძემ, ჩვენ საყვარელ ვანიჩკა და ქეთო
ასათიანის სახლში, ვგვლაბარაკა თეზიკოს და მე, თუ როგორ თითზე თვალდაკვირანად
დღეებს, რომ ჩვენთან მოსულიყვენ. ძალიან ბედნიერად ჩავრიცხე ჩემი თავი, თუ ჩვენი ოჯახი
გამოადგათ ჩვენს საყვარელ ქართველებს. უფრო გვიან კი, თვით ბავარტის ოჯახი, ნასკიდაშვილე-
ბის და გერასიმე ბოლქვაძის ოჯახებიც თამაშობდნენ ამისთანა როლს. მათთან სულ იყო სტუმრი-
ანობა და გაულის მოფხანა დარღებისგან, როგორც ჩემი საყვარელი ანთაძეების რესტორანში. წე-
რის ნიჭი რომ მქონდეს, დიდი წიგნი უნდა დაიწეროს, თუ რა როლს თამაშობს, ამ ჩვენი მო-
ხუცებულობის დროს ანთაძეების რესტორანი. ეს კუთხე ჩვენთვის ნამდვილი ეროვნული აუცილე-
ბლობა არის. მე პირადად ძალიან მიყვარს კვირაობით იქ რომ მივდივარ და მათ საუცხოო თფილ
ატმოსფერას ვიზიარებ.

პირველ წლებში, ჩვენი პარიზში ცხოვრებისა, არავითარი მატერიალური და სამედიცინო დახ-
მარება არ არსებობდა. იყო ექიმ მენჩიკოვის სახელობის ორგანიზაცია, სადაც ყველა ვამოჩენილი
ექიმები მუშაობდნენ. ეს ძველი რუსის ექიმები საუცხოო ხალხი იყვნენ. არა ფლის მოყვარე,
იდეალისტები და იშვიათი გულკეთონის. ნამდვილი ძველი შესანიშნავი პლეადა რუსის ექიმებისა,
აღჭურვილი დახმარების სურვილით. განსვენებულ აკაკი ჩხენკელის და ევგენი გავაშკორის დახ-
მარებით, თუ ვინმეს ოპერაციას ვაუკეთებდნენ, შალვას ისინი მოყავდა სახლში და ვუვლიდით,
როგორც საკუთარ ოჯახის წევრებს. (ნიკო ნასიძე, გერასიმე ბოლქვაძე, აკაკი ასათიანი, დათი-
კო შორგოლიანი, გერონტი ცეცხლაძე, და რამდენი ვინ ჩამოვთვალა!) ყველაზე უფრო სასაცილო
იყო დათიკო ბუჩიკიძე, ერთობ საყვარელი ყველისთვის, მორბედული, ოპერაციის შემდეგ დასუ-
ტებული, ძალზე გამხდარი მოვიყვანეთ სახლში. ყოველ დილას, ყავის წინ ვაძივდებოდა ფაფას ბევ-
რი კარაქით შიგ, საწყალს, კარაქი თურმე ძულდა, მაგრამ უარის თქმას არ მიბედავდა და
სულ გული ერეოდა. ჩემმა ფაფამ და მოვლამ ჩვენი დათიკო ფეხზე დააყენა და ამით ჩემი პრო-
გრამა შევასრულე. ეს ამბავი მისმა ოჯახმა საქართველოში რომ იყავი იქ დამახვედრა, მიეწე-

რა ოჯახში. ყველაფერს ამას ვაკეთებდით იმ დროს, როდესაც ჩვენ თვითონ ბატონ და ქალ-ბატონ სოლნიეს ძველ ტანისამოსში დავდიოდით. ქალბატონი სოლნიე ახლაც ცოცხალია და მკურნალობს ვემგობრობთ. გულწრფელად უნდა ვღიარო, იმ დროს უფრო ბედნიერი ვიყავით, ვიდრე ახლა, რადგანაც ჭირში და ლხინში ერთად ვიყავით ყველანი. პოლიტიკური შეჯახება, პარტიებს შორის ყოველთვის იყო (საჭიროც არის), მაგრამ ეს რჩებოდა კრების ზალაში, გარედ კი ყველანი თბილად და კარგად ვიყავით, ერთმანეთში დავდიოდით და ერთმანეთი გვიყვარდა. ერთხელ შალვა კრებას თავმჯდომარეობდა და რაღაც ამეყვინა რეზო გაბაშვილს. რეზომ ხმამაღლა დაუთხა: „შალვა, ვირის წიხლი მეტკინება, მარა არ მეწყინება.“ კრების მერე მივიდა გადაკონა შალვა და მე დამაბრალა: ლუბას გვერდში ვიჯექი, მარიამ ლოლობერიძეს მიცა კამფეტი და მე არაო.

თანდათან ჩვენი მდგომარეობა გამოიცვალა. ადამიანმა იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოს ცხოვრებაში. ჩვენი ვიღის პატრონს, რომელიც ჩემთვის როგორც დედა ისეთი იყო, ასტივდა სიბრძნის კბილი. ძალიან ცუდად იყო. მოვეუარე და მოვარჩინე. ერთხელ მომიკიდა ხელი და წამიყვანა ფრანგ კბილის ექიმ ქალთან. ის ერთადერთი ექიმი იყო იმ დროს სენკლუში. უნდა გითხრათ, სენკლუ იყო პატარა ძალიან ლამაზი, მაღალი და მდიდარი ქალაქი. სახლები ავეჯით ჭირავებოდნენ. პარიზელები სააგარაკოდ მოდიოდნენ ა. ქ. ქალები არ მუშაობდნენ და მამაკაცები დილით როტქლის მატარებლით მიდიოდნენ პარიზში. სულ დასახლებული იყო არისტოკრატებით, დიდი ბურჟუებით და არტისტებით. ჩემმა დედობილამ გააცნო ჩემი თავი მაღამ ზაველის(კბილის ექიმს) და თხოვა ჩემი აყვანა დამხმარეთ. ამასობა მამაჩემის ლოცვა-კურთხევა გამომადგა: თვითონ ქალი ახალი დაბრუნებული იყო აპერაციის შემდეგ თავის ბინაში, სადაც ჰქონდა კაბინეტი და ნააპერაციებს არ ჰქონდა უფლება ემუშავნა ორი თვე. მაშინათვე ამიყვანა, გააცნო ჩემი თავი ყველა მის კლიენტს და ტაქტიკად თვლის მადევენება შორიახლს. რომ დაარწმუნდა გამოვდგებოდი, დამინანა დიდი ჯამაგირი, მომალყრა მთელი მისი კლიენტურა და თვითონ სულ გაიწთავისუფლა თავი. სხვათა შორის, ჩემი პატრონი იშვიათი გულის ელზასელი ქალი იყო, სულ უბრალო ოჯახიდან, მაგრამ გათხოვილი დიდ ინგლისელ ლორდზე, რომლის მამიდები იყვნენ დედოფალ ვიქტორიას ფრელინები. მუშაობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლებსთვის ესამოყვებია. იშვიათი მოსიყვარულე იყო მშობლების და მათი ღვაწლის დამფასებელი. ქმარს არ უყვარდა ქალის მშობლები, სამაგიეროდ, ცოლმა დასაჯა მისი ლორდი ქმარი: ერთ და იგივე აკლდაშეში ჩასვენა ქმარი და მშობლები *L'île d'Yeu*-ში, სადაც მარშალი პეტენი განისვენებს.

სამუშაო ბევრი მქონდა, ჯამაგირი მშვენიერი. ქალს შვილი არ ჰყავდა, მაგრამ გადარეული იყო თეზიკოზე. ცოლქმარი სულ ხელით ატარებდნენ. სადაც ამოგითხა ბავშვს, რომ ინგლისელებმა დასწვეს **ჟან და რაიო**, ლორდმა ნახა გულამოსკენილი ბიჭი მის კაბინეტში, მოეფერა და უთხრა, ეს ფრანგების მოგონილიაო.

ეს სენკლუ გახდა ჩემთვის ნამდვილი ჩემი სოფელი **კიწია**, სამეგრელოში. ვავიციანთ მცხოვრებლებს. ეინტერესობათ ჩვენი გეოგრაფია, ისტორია. ვავაყენებთ საქართველოს მდგომარეობა და ნელნელა ობლობიდან გამოვედით. ჩემი პატრონი არ მიშლიდა სრულებით ხელს მისი მასლით მემუშავა ქართველებისათვის, ეს კი ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

ნელნელა ვაჩნენ ახალი ქართული კერები: ნასყიდაშვილის, წულაძის, ჯაფარიძის და სხვები. საღამოობით, მუშაობის შემდეგ, ვადიოდით კონვენსიონზე, სადაც ცხოვრობდნენ გაბაშვილი, გვარჯალაძე, ბერიძე, ბოლქვაძე, წულაძე, ნასყიდაშვილები. ბავშვებს ვურიგებდით პატარა საჩუქრებს, რომ ფრანგი მემობელი ბავშვების წინაშე კომპლექსი არ ჰქონებოდათ. ემიგრანტმა მშობლებმა ბავშვები ყველა საუკეთესოდ აღზარდეს. ჩვენ, მშობლებს ყველაფერი გვაკლდა, მაგრამ შვილებისათვის არაფერი დაგვიკლია. ყველამ კარგი სწავლა-განათლება მიიღო და კარგად არიან მოწყობილი. იმედი, ახალი თაობა დააფასებს ამას და ჩვენ მოხუცებულებსთვის ყურადღებას და სითბოს არ დაიზარებს.

დღეს არის **1981 წლის 15 დეკემბერი**, მალე შობა-ახალწელიწადი კარზე მოგადგება. ბევრი რამე მახსენდება... სასადილო ოთახი და ზალა შეერთებულია, ორიოცი კაცისთვის სუფრა გაშლილია. მაგიდაზე ასულა დალაქი ჩაჩავა, ერთ ხელში უჭირავს გოჭის თავი, მერე ხელში თეზიკის ხელი ჩიჩლაკით: „შემოვდგი ფეხი, გილოცავთ, გწყლობდეთ წმინდა ბასილი, იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით ავსილი.“ ჩემმა ბიძაშვილმა, კაკო ალშიბაიამ ერთი ხელით გულში ჩაიკრა თეზი და მერე ხელით კონიაკის ბოთლს ცლიდა. „ბიძია კაკო არა! მოკვდები,“



წელს, ხეთშაბათს, 21 ოქტომბერს, პარიზის ქართულ ეკლესიაში გაიმართა პანაშვიდი, ლეიტენანტ-კოლონელ დიმიტრი (ბაზორკა) გიორგის ძე ამილახვარის გმირულად დაღუპვის 40 წლისთავის აღსანიშნავად, რომელსაც დაესწრო მრავალრიცხოვანი ფრანგულ-ქართული საზოგადოება, მათ შორის, თავისუფალი საფრანგეთის პირველი დივიზიის ყოფილ წევრთა საზოგადოების და „განთავისუფლების“ საპატიო წოდების წევრთა საზოგადოების წარმომადგენლები, უცხოურ ლეგიონის დროშით.

ამ დღესთან დაკავშირებით, მკითხველებს მოგვარნებთ განსვენებულის ცხოვრების უმთავრეს მომენტებს:

დაიბადა 1906 წელს, თერგის ოლქში (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ა.ს.ს.რ.) სოფ. ბაზორკინოში, რის გამოც მშობლებმა შეიღს ზედმეტ სახელად ბაზორკა შეარქვეს და ეს სახელი მას დარჩა ბოლომდე.

ბაზორკამ ბავშვობა გაატარა საქართველოში, რომელიც მშობლებთან ერთად დატოვა საბჭ. რუსეთის მიერ მისი და-



კრობის შემდეგ. 1922 წლიდან ამილახვარის ოჯახი დასახლდა საფრანგეთში. აქ, 1926 წელს, ოცი წლის ჰაბუშკა დაამთავრა სენ-სირის განთქმული სამხედრო სასწავლებელი და გაიგზავნა აფრიკაში, საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში, სადაც მან თავი ისახელა ჯერ კიდევ 1940 წლის მაის-ივნისში, ნარვიკის ბრძოლებში.

საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ამილახვარი გადადის ლონდონში გენერალ დე გოლთან და ჩაირიცხება „თავისუფალ საფრანგეთის“ პირველ სამხედრო ძალებში, მიიღებს მონაწილეობას ერიტრეის კამპანიაში და განსაკუთრებით თავს ისახელებს ქ. მასაუის აღებისას, სადაც მოულოდნელი შეტევის შედეგად ხელი იგდებს იტალიელთა რამდენიმე საეცადრო ნაღმოსანს და მრავალ ტყვეს (1941 წ. 7 აპრილი). იგი მონაწილეობდა აგრეთვე სირიის კამპანიაში და დამასკოს აღებაში. ვიშის მთავრობამ დიმიტრი ამილახვარს სიკეთვე მიუსაჯა.

მიიღო რა ლეიტენანტ-კოლონელის წოდება, ბ. ამილახვარი ინიშნება ლეგიონის ნახევარბრიგადის მეთაურად, გენერალ კენიგის ბრიგადის შემადგენლობაში მისმა ნაწილმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია გენერალ რომელის არმიას და დიდათ დააბრკოლა მისი წინსვლა 15 დღიან ბრძოლაში (1942 წ. 26 მაისი - 10 ივნისი), რომლის შემდეგაც გენ. დე გოლმა ის დააჯილდოვა „განთავისუფლების ჯვარით“. (ჩვენს სურათზე აღბეჭდილია ეს ისტორიული მომენტი).

1942 წლის 24 ოქტომბერს, ელა-ალამენის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ბაზორკა ამილახვარი და დაკრძალულია იქვე ლიბის უდაბნოში.



მორის როსტან

დ ი მ ი ტ რ ი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი

ქვეშარტება ხშირად ზღაპრად გარდისახება, ჩვეულებრივი გადიქცევა უკვდავ ქმნილებად. ქართველთ თავადო, შენ ეს კარგად მოგეხსენება, შენი ცხოვრება იყო ამის დადასტურება.

ახალგაზრობა, სახელი და დიდი გმირობა, მსხვერპლი პირადი ვალდებულები ცხარე ბრძოლისა იყო ისეთი, როგორც ამას ითხოვს პირობა ლეგენდური და საბარაკო ვეჟაკობისა.

საბედისწერო ბრძოლის ცეცხლში, მზეც რომ კრთებოდა, ორი მიიღე ნათელ შუბლში ტყვიის ჭრილობა.

სიცოცხლის ძაფის გასაწყვეტად ერთიკეპაროდა, მაგრამ ლეგენდას თითქოს ასე მოუხდებოდა.

იქ, უდაბნოში, სად სიცოცხლე შენი დამთავრდა, სად ღღეს, შენს საქმეთ მოგვაგონებს ჯვარი პატარა, შენ დამწუხრებულ ჯარისკაცებს ეჩვენებოდი, ორი ჭრილობით, მამაცურად ორჯერ კვდებოდი: თითქოს სწირავდი ერთ სიცოცხლეს მოშობილურ მხარეს

და მეორეს კი, შემფარველსა შენსა საფრანგეთს.

თარგმან 1968 წელს, აწ განსვენებულ კუკუ-რი თოხაძის თხოვნით, პერევისელმა.

პირველი წლები ჩვენი ემიგრანტული ცხოვრებისა პარიზში (გაგრძელება 33 გვერდიდან)

ენგერწებოდა ბავშვი. ბევრი ქეიფისა და სიმღერის შემდეგ, სუფრა გაიტანეს სახლის წინ, ფერ-დობზე და ახლა იქ გაჩაღდა ქეიფი საუცხოო სიმღერებით. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ არის ჩაქსოვილი ეს სურათი და მისი მოგონება. დათიკო ფერაძეს ღორის თავი ეკირა ხელში და ისე ცეკვავდა. ქუჩა გაივსო ხალხით, უყურებენ ცეკვას და ისმენენ სიმღერებს. მესმის ლაპარაკობენ: „ესენი არ არიან თეთრი რუსები, ესენი არიან ქართველები, ყველა ლამაზი, მომღერალი და მოცეკვავე. მათი თანამემამულე არის აქაური კბილის ექიმი და ესენი მისი სტუმრები არიანო.“ რა ბედნიერი ვიყავით ყველანი მაშინ!

დიდი ბოლიში, რომ ასე დაგდალეთ ჩემი ძველი ამბებით, მაგრამ ამ 86 წლის ბებია ლუბამ მშვენიერად გული მოიფხანა და ხანდისხან ესეც საჭიროა, როგორც ჩემთვის, ისე სხვისთვისაც.

ლუბა აბღუშელი

60 წლის ემიგრანტების 2 ლექსი

1.

ა ღ ი ა რ ე ბ ა

ვუძღენი სამშობლოს სახელოვან შვილს ალექსანდრე სულხანიშვილს

სამოსლით ვიფართ ცოდვიან ტანსა. ცდილობთ წაებამით ადამიანსა; მაგრამ, ვერა ვძლეეთ თავს შურიანსა და ვპარბობთ ხშირად გველს შხამიანსა.

*

ფიცი ვაგტებთ ჩვენს სისხლ-ხორც ერთან, მამა-პაპასთან და თვითონ ღმერთთან. ვბოვეთ. საერთო სატანა-სულთან და მეგობრულად ვართ ჩვენ წყეულთან.

*

კაცნი ვუსწორდით გრძნობით ცხოველებს. ვერ ვცნობთ მოყვარულს, ხშირად ვერც მშობლებს და ვწირავთ მსხვერპლად საკუთარ დაძმებს ჩვენს მუღმივ მტრებსა და იმით მთავრებს.

ტირილით მივდევთ სხვისა ცხედრებსა, აღარ ვაკუთხებთ საკუთარ მკვდრებსა. როდესაც გვაღვა წევას ჩვენს ყანებსა, ვუვდებთ ჩვენ არხსა მტრის მამულებსა.

*

ცდილობთ სხვას დავდოთ კუთვნილი ბრალი. არ გვესურს სიმართლეს ვუსწოროთ თვალთ. აღარ გვწამს ღმერთი, არც სამართალი, ჩავაქრეთ ჩვენში რწმენა მხურვალთ.

*

ვეძებთ სულ სხვაგან ჩვენს მოსისხლე მტერს, სახეს ვარიდებთ კრიალა სარკეს. არ გვესურს შეხედოთ იმ ნაცნობ სახეს, რჯულით და მოღმერთ ბაზრად მოვაქრეს.



მიეც შეკითხვა საკუთარ თავსა:
როდის რა არგე მოდემას და გვარსა?
და თუ ვერ მიცემ ამ კითხვას პასუხს,
ნუ მიიბარებ შენს ვალსა წარსულს.

*

არ მოგვიდგება ჩვენ სიხარული,
არც შევება-ზავი, არც სიყვარული,
თუ არ ვიცანით დანაშაული
ყველამ პირადი და ეროვნული.

*

თქმულა: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.
თავი დავძლიოთ ამ ძილსა სამეკდროს.

გახვდეთ წარსულს—ნათელსა და სწორს
და ერს მივხედოთ, ჩვენს ლამაზსა საეროებს.

*

ოდეს შევხვდავთ თვალში ერთმანეთს
და არ შეგვრცხვება ვლუქპიროთ სარკეს,
მაშინ ვახსენოთ პირნათლად ღმერთი
და ჩვენი ერი, ის ერთადერთი.

*

და იმ უმცირესთ ჩვენგვ ნაწილსა,
რომელთაც შერჩათ მირონი შუბლსა,
მე შევითავაზებ ძმურ სიყვარულსა,
სალამს ქართულსა, გულიდან თქმულსა.

ბახტრიონელი

2. მ ა რ თ ა ლ ი ს ი ზ მ ა რ ი

სამშობლოს ვიყავ სიზმარში,
მშობლების სანახავდა;
მივდივარ ფეხპაკეტითა,
ოთახში შესაბარადა.

შევაღ, რას ვნახავ ოთახში?
ყველანი დახოცილები.
სულ ერთად იყვნენ მძინარნი,
მშობლებთან მათი შვილები.
სატირლად მარტო მე ვიყავ,
კრემლები მედგა გუბეთა.
მე იმათ დასამარხადა
ფულიც არ მქონდა უბეთა.

ყველანი ეგრე დავმარხე,
არ იყო მათთვის ფიცარი.
მე კი ვიწვოდი დარღისგან,
გულს მერსო დიდი ისარი.
მობრუნდა დედა შავბნელი,
სიტყვა ვადმომცა მგრძნობია.
იმ სიტყვის შემდეგ სიცოცხლეს,
სიკვდილი ათჯერ სჯობია!
შვილო, შენ ყოფა-ქცევამა
ოჯახი შევად შექმნაო:
ყველა მიწაში ჩაგვყარე,
მარტოკა დარჩი შენდაო.

ასე მშობლების დამარხვა
გლახა შვილების ბრაღია.
თქვა და უეცრად გაბრუნდა,
სამარეს მიმავალია.

შეგვრთი და გამომეღვიძა,
ხელშიდა შემრჩა საბანი,
პირისახე მქონდა სველი,
ცრემლებით იყო ნაბანი.
ალარც ფხიზელსა მომეშვა
ეს დიდი მწუხარებაო,
დაჭრილ ვეფხვივით ვკენესოდი:
ველარა გნახამ დედავო!

დიმიტრი მახარაშვილი

ორი წერილი გრიგოლ რობაქიძის შესახებ

(ეს წერილები კერძოა, მათ ავტორებს ისინი დასაბუქდად არ დაუწერიათ და მით უფრო სინტე-
რესონია საერთოდ ქართული საზოგადოებისათვის, რადგანაც წერილის ავტორები ეკუთვნებიან იმ თა-
ობას, რომელსაც სამშობლოში ღღემდე საშუალება არ ჰქონდა გრ. რობაქიძის თხზულებათა წაკი-
თხვისი. ამ წერილებს ვბეჭდავთ გრ. რობაქიძის გარდაცვალების 20 წლისთავის აღსანიშნავად.)

პატივცემულო ბატონო გიორგი!

დღეს, ზუსტად დღეს მივიღე „თავისუფლების ტრიბუნის“ 35-ე ნომერი... ძლიერ გამახარა გრ. რო-
ბაქიძეზე დაწერილიმა ცნობებმა, უმეტესად კი, მისმა ნაწარმოებებმა. საუცხოო რამ არის! მის
მხატვრულ სტილზე, შემოძლია ასეთი რამ ვთქვა(ეს არის ნაუცბადეგად შექმნილი შეხედულება):
ჩემთვის ეს არის სავსებით უცხო და ახალი მანერა ქართული სიტყვაკაზმული მეტყველებისა.
პირდაპირ გასაოცარია! რობაქიძის ზუსტი და ლაკონური ფრაზა, სასწაულებრივად ტევალი და
ყოვლისმომცველია. რატომღაც ასე მგონია მისი ნაწარმოებების კითხვისას(ენგადი, იმამ შამილი),
თითქო მარულაში ვიღებდი მონაწილეობას და ყვილით, ყუიანით მივჭროდი დაუსრულებლივ და
ერთი სული მქონდა, როდის მივატანდი ჰელომდე. რობაქიძის ეს ორი ნოველა სავსეა ჰეროიზმით,
სიღამაზისადმი დაუსრულებელი სწრაფვით, და, რაც მთავარია, მიუხედავთ ავტორის ფანტაზიისა,
რემელიც შეიძლება ადამიანს ერთი შეხედვით, არაბუნებრივად და არანაშრომლად მოეჩვენოს,
გრწმუნდებით, აქ არ არის არავითარი ხელოვნურობა, მიმი და პრანჭიობა. არა, აქ მკლავდებდა
ქართული სულის სიამაყე, ძარღვის ძლიერი და ჯიშიანი ფეთქება, სიჭარბულით გახვლებული სის-
ხლის დაუდგრომელი დუღილი.

აქ არის მხოლოდ წინ და წინ, კიდევ და კიდევ, რაღაც სატანურ-მისტიური და მიფიქსირებული რიტმი და ტემპერამენტი. ამ ორ ნოველაში ცოცხლად ისმის კაეიდან ამდგარი ცენტრის ხმა. ამავე დროს, აქ ბევრზე ბევრია სილალე და დარდიმანდობა, პირველყოფილი ბავშვური უხაკ-ველვა და სინატიფე. აქ თითქმის ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას თან ახლავს, მოდი ასე ვთქვათ, ოქროსა და ბრძმედში გაგარვალბულ ფოლადის სიმტიციე და ნაქედობა, და არც თივთიკით ლბილი და ფაფუკი ტონალობაა მისთვის უცხო. მე პირდაპირ ვიტყვი: **გავოცდი, გავხედი ამ ნაწარმოებათა კითხვის დროს.**

მაგრამ, ერთიც უნდა ვთქვა: ჩემის აზრით, ხალხის მეტყველებესთან რომაქიძის წერის მანერა მოშორებით უნდა იდგეს შედარებით. ეს ენა არ არის ქართველ ხალხის არც ლიტერატურული და არც სასაუბრო ენა. აქ უფრო შეგნებულ თეატრალობა უნდა ბატონობდეს, თუმცა ვხედნით ერთგვარ მსგავსებას ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიის და შალვა დიმიანის სტილთან. არ ვიცი, ეს ხომ ჩემი პირველადი დაკვირვებაა. დიდებულია გრიგოლ რომაქიძე, დიდებული!

ახლა ლექსები: მე პირადად არავითარ მსგავსებას არ ვხედავ რომაქიძის პოეზიასა და „ცისფერყანწულებს“ პოეზიას შორის, თუმცა ჩხიკვაძელობის მოყვარულს შეუძლია ათასგვარი პარალელების გავლება. რომაქიძე აქაც, ლექსშიც, ისეთივე ნოყიერ და ძარღვიან, ე.წ. ფესვ-ჯიშინ სიტყვებით ლექსაობს, როგორც მის ზემოთ დასახელებულ ნოველებში. საოცარია პირდაპირ, საოცარი! გრიგოლ რომაქიძე ცეცხლია და თუ კაცი მას მაგრად არ დახვდი შეიძლება გავიძღე კიდევ!..

დავით აჯიაშვილი
კირიით ათა. 25.02.1982.

ძვირფასო ბატონო გიორგი,

...მწუხარ, რომ არ მიგიღიათ წინა წერილი. მაინც ისევ რომაქიძეზე ორიოდ სიტყვა: განუ-საზღვრელია ამ ტიტანით განცილილი შთაბეჭდილება: ამგვარი ყოველმხრივი ერუდიცია, თემათა და უანრთა ნაირფერობა, აზრის სიღრმე, გადმოცემული ღვთაებრივი ამეტყველებული მწყაზარის ქართული-გერავის დატოვებს მოუხიბლავს. მეტად ძლიერია ყოველი ნაწარმოების შემბოჰავი ძალა, ისევ და ისევ ლამაზი ენის წყალობით, რომელთა ფონზე სულ სხვა შუქითაა მოსილი „ენგადი“ (საოცარია, აქაც არის ასეთი სახელები—ენ გედი, მესხა, შატილა და ღმერთმა იცის კიდევ რა, თუმცა ენგადს არაფერი აქვს მათთან საერთო), მისით განცილილი ესთეტიკური სიამოვნება. მის ფონზე ოდნავ ხუნდებო, თითქოს, „იმამ შამილი“. მიზუნეს მალე მივაგენი: არ შეიძლება ორივე ნაწარმოების წაკითხვა ერთ დღეს! იმდენად დამატყვევა მისმა სტილმა, რომ ვკითხულობდი აბზაც-აბზაც, გყოფდი ლექსის სტროფებად, რომ უფრო სრულად აღმეკვა წანაკითხის სიღრმე თუ ენის სიმშენიერე, რომელიც წმინდა ლოცვად ჩამეცმოდა ყურთ. რაა გასაკვირი, ვინც ღვთისმეტყველების საფუძვლებს დაუფლება და ზეგარდმო ნიჭითაც არის დაჯილდოვებული ზენაარისაგან, ასეთია მისი ენაც და აზრთა მდინარეებაც: ზეამაღლებული! (სამწუხაროდ, ჩემი თაობა დავს მისგან შორს. ეს იქნება, ამიტომ, კიდევ ერთი მიზონი რეალიზიის საწყისებისაკენ შემობრუნება, მაგრამ ეს თავისუფალი უნდა იქნეს ფანატიზმის ლოგმებისაგან; უნდა იყოს გააზრებული, რომ ეგებ ისევ რჯულმა და რწმენამ მოუღენინოს შვევა კაცთა მოდგმას, ხვალინდელი დღის შიშით შეპყრობილ ადამიანებს; ჩაუნერგოს მათ მშვიდობისა და ბედნიერი მომავლის იმედი).

არანაკლები ინტერესით ვკითხულობ მის ფილოსოფიურ ნაკალმევსაც, განსაკუთრებით მის მსჯელობას პოეტიკასა და სიტყვათა კონის შესახებ..

როზა აბნერაშვილი
ბათ იამი. 5 ივლისი 1982 წ.

გსარგებლობთ შემთხვევით კითხველებს ვაუწყით გრიგოლ რომაქიძის დის, ქალ. ლიდა რომაქიძის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი, ამ წლის ზაფხულში თბილისში. „თ.ტ.“

ჩ ვ ე ნ ი . ფ ო ნ დ ი (ფ რ ა ნ გ უ ლ ფ რ ა ნ კ ე ბ შ ი)



ვახტანგ საყვარელიძე-დიმი ცხონდიას და ლადო შარაბიძის ხსოვნისათვის			
ვალიკო ჩუბინიძე-ჩემი შვილის, თინას ხსოვნისათვის, დაბადებიდან 61 წლისთავე			200-
პავლე ვაშაძე-	200-	ნამო გოგუაძე-	100-
მართა სტურუა-	50-	ქრისტეფორე იმნაიშვილი-	100-
ქეთევან ბელი-	50-	რუბენ გვეტაძე	100-
გიორგი ჯაყელი	161-	სერგო ღონღუა	200-
ირაკლი ითხმეზური	200-	კვიროსი ჩხაიძე	100-
დავით თორაძე	500-	აკაკი ბარკალაია	200-
დავით ბებიაშვილი	647-	ნიკოლა ანთაძე	100-
ვიქტორ ინაშვილი	100-	ალექსანდრე კარგარეთელი	100-
სანდრო ფანჩულიძე	100-	გერასიმე ბოლქვაძე	250-
მიშა გაფრინდაშვილი	200-	ნიკო ბედელაძე	100-
დიმიტრი გოგიშვილი	110-	ანემარი და დავით ვაშაძე	600-
ნიკო ურუშაძე	200-	მეგობარი ისრაელიდან	50-
ჟანეტა და მიშა გოგორიშვილი	300-	რაფიელ ჯაში	200-
დავით ბებიაშვილი	645-	გრიგოლ წერეთელი	100-
ირაკლი ჯაფარიძე	200-		

			2 823
	3.663		3.663

			6.486

ჯამი

6.486

ა მ ბ ა ვ ი , რ ო მ ე ლ ი ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ც უ ლ ა დ დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი ყ ო ა ნ უ ბ ა დ რ ი ქ ე ლ ი ძ ის თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი

გასული წლის იანვარში, მალტის კუნძულზე მყოფ საბჭოთა გემიდან გაიქცა და ამერიკის შ.შ. საელჩოში თავი შეაფარა ექიმმა ბადრი ქელიძემ. მიუხედავად საბჭოთა წარმომადგენლობის ყოველმხრივი ზემოქმედებისა, ბ. ბადრიძე უარი თქვა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე, ითხოვა და კიდევაც მიიღო უფლება პოლიტიკური თავშესაფარისა ამერიკის შ. შტატებში. ამ ამბის შესახებ მივიღეთ ბ. ირაკლი მენთეშაშვილის წერილი, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენ მკითხველებს:



„ამ წერილის გამოგზავნა მეტად დავვიანებული არის, მაგრამ, როგორც ქვემოთ შეიტყობ, გარემოების ბრალია და არა ჩემი(ბ. ირაკლიმ მძიმე ავადმყოფობა გაიარა: თ.ტ.)

ექიმ ბადრი ქელიძემ, რომელიც გემზე მუშაობდა, მალტის კუნძულზე ყოფნის დროს(1981 წ. იანვარი) ბრმა ნაწლავის ტკივილი მოიგონა. დააწინეს საავადმყოფოში. ოპერაციის მეორე დღეს გაიპარა საავადმყოფოდან, მოკაყული მივიდა ა.შ. შტაწების საელჩოში და მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. მოგახსენებთ, მალტის პრემიერ მინისტრი მინტოვი საბჭოების სიმპატიების მქონეა,

ირაკლი მენთეშაშვილის ბედნიერი ოჯახი. მარცხნიდან მარჯვნივ: ქეთევანი, მამა-ირაკლი, ბადრი ქელიძე, თამარი(სიძე-დედოფალი), ქალ. მენთეშაშვილი, კვიციროსი ვაეიშვილები: ნოდარი და ანტონიო.

მონდრომა ბადრი გადაეცა საბჭოთა წარმომადგენლებისათვის. 105 დღის განმავლობაში ამერიკის საელჩოში ყოფნის შემდეგ, მრავალი დაკითხვებისა და გადაჭრით უარისა დაბრუნებულ შემდეგ, საბჭოთა „სამთხოვენი“, ბადრი ჭელიძე ამერიკელებმა ჯერ გერმანიაში გადააფრინეს, იქიდან ნიუ-იორკში ჩამოვიდა 24 ივნისს. მეორე დღეს, რამოდენიმე სხვა ქართველთან ერთად, ბადრი მივიწვიე ჩემს ბინაზე. ჩემს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად თამარიმ და ბადრიმ მაშინ გაიცინეს ერთმანეთი. ერთმანეთს მოკლე ხანში დაუახლოვედნ, 17 აგვისტოს, 1981 წ. სამოქალაქო წესით შეირთეს ერთმანეთი. ბადრის მხრიდან მეჯვარე იყო ბატ. პეტრე ხველიძე... ქორწილი წელს, 16. მაისს გადავიხადეთ, მამა ილიას ნიუ-იორკში სტუმრობის დროს*.

ჩვენთვის უცნობია მოტივები, რამაც ბატონ ბადრი ჭელიძეს სამშობლო მიატოვებინა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველების გამოქცევა სამშობლოდან არ არის სასარგებლო საქართველოსთვის და, მაშასადამე, არც სასურველი, მაგრამ, როცა ქართველი კაცის სიცოცხლე საფრთხეშია, მაშინ არც უაზრო თავის შეწირვაა გონიერება და პატრიოტიზმი. თუ ჩვენ არავის ამ ვაგულთანე სამშობლოს მიტოვებაში, არც ხელის კვრის უფლება გვაქვს. პირიქით, ჩვენ მათ გულლიად და ხელგაშლილად უნდა შევხედოთ და პირველი ნაბიჯები ემიგრანტობის ეკლიან გზაზე უნდა გავუღვიწყოთ. ბატონ ბადრის ასეთები აღარ სჭირდება, მას ლამაზი და სათნო მეთუღვე უშოვნია და დარსებული მოყვრებიც. ვულოცავთ მშვიდობით თავის დაღწევას „კ.გ.ბ.“-ს კლანჭებიდან, სრულ ოჯახურ ბედნიერებას თამართან ერთად და უცხოეთიდანაც სამშობლოსთვის ზრუნვას.

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დ ა წ ი გ ნ ე ბ ი

(28 ნომრის (1980 წ. მარტი) შემდეგ ეს რუბრიკა აღარ დაბეჭდილა ჩვენს ჟურნალში, ყოველთვის შემდეგისთვის ვვებდით, რადგანაც ვერიდებოდით ჟურნალის მოცულობის გაზრდას, ამ ხნის განმავლობაში კი ბევრი ისეთი წიგნები გამოიცა, რომლებზედაც საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველთა ყურადღების გამახვილება. სამწუხაროდ ჩვენდა, აქაც უნდა დავგმავთ დღევანდელი განმარტებებით.)

ქალ. გოტიეს სადოქტორო დისერტაცია: პირველ რიგში მკითხველთა ყურადღება გვიანდა მივაქციოთ ქალ. დომინიკ გოტიეზე, რომელმაც წელს 8 ივნისს, სორბონის უნივერსიტეტის ადმოსავლეთის ენების და ცივილიზაციების ინსტიტუტში, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Structures narratives et articulations symboliques dans le Vepxist'q'aoساني de Chota Rustaveli, Poeme epique georgien du 13-ieme Siecle.“ (შოთა რუსთაველის „გ.ტ.“-ს თხრობითი აბეჭდვობა(აღნაგობა) და სიმბოლური გამოთქმები)

ჟურნალის წევრები იყვნენ: ქართ. ენის და ცივილიზაციის პროფესორი, ბ. გიორგი შარაშიძე, სომხური ენის პროფესორი, სომხურ და ქართულ ენების კონფერანსიე პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში, ბ. ჟან-პიერ მაჰე და ქ. ტურის უნივერსიტეტის საშუალო საუკუნოების ლიტერატურის პროფესორი, ბ. ჟოელ სენ-გრივალდი.

რემინგტონზე დაბეჭდილი სადოქტორო თეზა 21X29,5 სმ. ფორმატის 260 გვ. შეიცავს. იქ სათანადო სახუთებით ახსნილია ვ.ტ.-ს ავტორის ვინაობა, პოემის ორიგინალობა, შინაარსი, პარალელები დანტე ალიგიერთან, მთელი პოემის და მისი ცალკეული ეპიზოდების სიმეტრიულობა, პოემის აღნაგობა, ინდო-ევროპული სამი ფუნქციის თეორია, მასთან ვ-ტ.-ს დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე დასკვნა: ფრიდონა პირველი ფუნქციის გმირი, ტარიელი მესამე ფუნქციის, ავთანდილი კი, მესამე ფუნქციის. ამ სანი ფუნქციის თეორიით აღვიღად იხსნება ვ.ტ.-ს შესავალში ნათქვამი: „ეხე ამავაე პარასულდ... რომელიც გულისხმობს არა პოემის შინაარსს, არამედ ინდო-ევროპულ სამ ფუნქციის თეორიას, რომელიც ინდო-ევროპულ ირანელებში ცოცხლობდა რუსთაველის დროს... ამავე დროს ქ. გოტიე იზიარებს პროფ. გ. შარაშიძის აზრს შესახებ იმისა, რომ ვ.ტ.-ში იგრძნობა ქართულ კერბთაყვანისმცემლობასთან კავშირ-უერთიერთობა.

ქ. დომინიკ გოტიე გიორგი შარაშიძის მოწაფეა ქართულ ენაში. ბერძნულისა და ლათინურის პედაგოგი, ფრანგული ხომ მისი დედაენაა, ის კარგად ფლობს იტალიურ და გერმანულ ენებს და, ამრიგად, ქალბატონი გოტიე, რომელიც დღევანდელი ელიგულაშვილია, ძვირფასი შენაძენია, როგორც რუსთველოლოგიის, ისე საერთოდ ქართველოლოგიისათვის. ვულოცავთ წარმატებას და შემდეგში კიდევ უფრო მეტს მოველოთ მისგან.




Helene Carrere d'Encausse: „Le pouvoir confisqué“ (ჩამორთმეული ხელისუფლება) ჟენევი ქალ. ელენეს კარგად იცნობს ჩვენი მეორეხელი. ფრანგულმა გამომცემლობამ *ფლამარჩონი* 1980 წელს გამოსცა ეს მისი 300 გვერდიანი სერიოზული ნარკვევი საბჭოთა ხელისუფლებაზე. ავტორს გამოყენებული და დამუშავებული აქვს მდიდარი მასალები და მათი ანალიზით აკეთებს ფრთხილ მეცნიერულ დასკვნებს. თვით სათაური უჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს ჩამოართვა ძალაუფლება და თვით მიისაკუთრა. საკითხია თუ როგორ ახერხებს ის მის შენარჩუნებას და სწორედ ამ საკითხში გვგზნობს „ჩამორთმეული ხელისუფლება“. ამრიგად, ქალბატონი კარერ დანკოსი უკვე ავტორია ერთი ათეული კაპიტალური შრომის, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის შესასწავლად დასაწყისიდან დღემდე.

-Kalistrat Salia: „Histoire de la Nation Georgienne“. გასულ წელს ბ. კალისტრატე სალიამ ცალკე წიგნად გამოსცა, ადრე „ქართველოლოგიის“ კრებულში დაბეჭდილი, „ქართველი ერის ისტორია“, ფრანგულად. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ მაშინ ბ. კალისტრატეს დღევუწინათ დასასრული, სადაც განგებ ბუნდოვნად იყო დატოვებული საქართველოს „გასაბჭოება“. 1972 წლიდან მოყოლებული, ბ. კალისტრატემ არ ინება თავის კრებულში სადავო საკითხზე აზრის გამოთქმა, ხოლო ამ ცალკე წიგნში მას ის გაუსწორებია: „საქ. გასაბჭოვდა 1921 წელს, თებერვალში, რუსეთის წითელი არმიის მიერო.“ რაც წიგნს მისაღებად ხდის. წიგნი კარგ ქალღღებად დაბეჭდილი, კარგადაა გაფორმებული, შეიძლება სპეციალისტებმა აქაიქ უზუსტობა აღმოაჩინონ, მაგრამ, ჩვენ გგონია, რომ ის დღესდღეობა ქართულ ისტორიოგრაფიის დონეზე და კარგ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიულ დინტერესებულ ფრანგ მკითხველს. რაც შეეხება წიგნის დამატებას „საქ. ლიტერატურა დასაბამიდან ჩვენ დრომდე“, მე უკვე ვრცლად ვამოვთქვი ჩემი აზრი „თ.ტ.“ №23. 1978 წ. ნომერი და სრულიად გრჩები იმ აზრზე. ვსარგებლობთ შემთხვევით მკითხველთ ვაუწყეთ კრებულ „ზედი ქართლისას“ მე-40-ე ტომის გამოსვლა, ბევრი საინტერესო სტატია-ნარკვევებით. ორივე წიგნის შექმნა შეიძლება: *Bedi Kartlisa. 8, Rue Berlioz, 75116. Paris.*

→დავით თაბორიძე იგივე **კარლო ინასარიძე** ამ უკანასკნელ წლებში დიდი შემოქმედებით აქტივობა გამოიჩინა და ზედიზედ გამოსცა საკუთარი შრომით მთელი რიგი წიგნებისა. პირველი რიგში აღენიშნათ: „აქ იყო კართაგენი“, „ჩასაფიქრებელი“ და „ასლიდან ალგორიამდე.“ პირველ წიგნში, კართაგენში გატარებულ დღეებთან დაკავშირებით, ავტორს აღწერილი აქვს დღევანდელი ტუნისის ცხოვრება, კართაგენის ასოციაციებთან. აქვე ავტორი გაცნობს თავისი ბიოგრაფიის ზოგიერთ მომენტებს და სხვა...ყველაფერი საინტერესოდ იკითხება. „ჩასაფიქრებელს“ ჩვენ ვრცლად ვიხილავთ აქვე. რაც შეეხება „ასლიდან ალგორიამდე“, ის ჩვენ მიგვაჩინა მეტად სერიოზულ და საყურადღებო ნარკვევად. როგორც განმარტებაში ვითხულობთ, ამ ნარკვევის საბაზი გამხდარა პოეტ სევერიანე ურუშაძის ლექსები და დავით კაკაბაძის სურათები. კმევის საბაზი გამხდარა პოეტ სევერიანე ურუშაძის ლექსები და დავით კაკაბაძის სურათები. კ. ინასარიძეს უხვად მოუტარებია მაგალითები ხელოვნების მსოფლიო და ქართველ წარმომადგენლებს და ამტკიცებს, რომ საჭიროა ექსპერიმენტების თავისუფლება, რათა ხელოვნება წინ მიდიოდეს და ვითარდებოდეს.

ამას უნდა დამატოს ბ. ინასარიძის მიერ გამოცემული წიგნები: „ქართული ლიტერატურა“ რა“ გერმანულად, რომელშიც შეტანილია ქ. რუთ ნოიკომის წერილი „ქართული ლიტერატურა“ და ქართული პოეზიისა და მწერლობის წარმომადგენლების შედეგები, მოკლე ისტორიები: „საქართველოსი და ქართული ეკლესიის და ბოლოს სურათები: მეფე ფარნავაზის, წმიდა ნინოსი, მეფე მირიანის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ნოე ჟორდანიასი, გელათის ტაძრის და

სხვა. 1981 წელს კარლო ინასარიძემ გამოსცა ავრთვე „გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელშიც მან თავი მოუყარა ყველა მნიშვნელოვან გამონათქვამებს რობაქიძის შესახებ. კ. ინასარიძემვე, 1979 წელს, გამოსცა „საქართველო“, რომელშიც წარმოდგენილია ყოფილ ქართ. ლეგიონის გაზეთ „საქართველოდან“ გამოკრებილი 74 ლექსი და ერთი მოთხრობა. ბოლოს, კარლო ინასარიძეს უნდა ვუმადლოდეთ რადიო „თავისუფლების“ კრებულთა ხუთი ტომის გამოცემას, რომლებშიც შესულია რეპორტაჟები და ინტერვიუები ევროპასა და ამერიკაში ვაფანტულ ემიგრანტებზე, რომლებიც საუკეთესო მასალები იქნებიან ქართ. ემიგრაციის ისტორიისათვის.



შეფიცულების მოგონებები : წელს შეუსრულდა 60 წლისთავი, ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით შექმნილ სახელოვან შეფიცულთა რაზმს. თითქოს წინაგანსწორი სხვით ამ ისტორიულ თარიღს შეეგება 3 შეფიცულის მოგონებათა წიგნი: გასულ წელს, 200 გვერდიანი მოგონებების წიგნი გამოსცა შეფიცულმა ალექსანდრე სულხანიშვილმა, სათაურით: „ჩემი მოგონებები“ და ქვესათაურით: „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე.“ ბ. სულხანიშვილი, როგორც თავდაცვ ბრძანებს, თავის თვლით ნახულ ცოცხალ ამბებს მოგვითხრობს და ამიტომ მისი მოგონებების წიგნი ძვირფასი შენაძენია მეზობელი საქართველოს ისტორიისათვის. ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი მისგან შემთავაზებული ხალას ოქროდ მივიღოთ. ვისაც ამ საინტერესო წიგნის შექმნა სურს პირადად უნდა მიმართოს ავტორს: *Sulkan Alexander. 145 Terra Vista. San Francisco, Calif. 94115. U.S.A.*

გასული წლის ბოლოს, ლევილი, ბ. ილია თაყაიშვილმა გამოსცა, მეორე შეფიცულის, ბ. ალექსანდრე კარგარეთელის „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, ბ. ელიზბარ მაყაშვილის წინასიტყვაობით. ავტორს საკუთარი მოგონებების გარდა თავის წიგნში შეუტანია ქაქუცას წერილები, ქაქუცასადმი მიძღვნილი საყურადღებო ნეკროლოგები, ლექსები, რაზმელთა სრული სია და ზოგიერთ მათგანის სურათები. მთელი წიგნი შედგენილია ბელადისადმი დიდი სიყვარულით. ამ საინტერესო წიგნის შექმნა შეიძლება პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში. მთელი შემოსავალი, ბ. კარგარეთელმა გადასცა სიმონიკა ბერეჟიანის ლექსების გამოსაცემ ფონდში.

წელს კი ჟურნალმა „ივერიამ“ №25 გამოაქვეყნა აწ განსვენებულ შეფიცულის, ბ. ალექსანდრე ბაღვაშვილის „ჩემი თავგადასავალი“. სამივე წიგნი ერთმანეთს ავსებს და გვაცდევს სრულ სურათს შეფიცულზე და მათ ბელადზე.

სიმონ ბერეჟიანი: „ლექსები“. ამ ზაფხულში, გიორგი ყიფიანის რედაქტორობით გამოიცა განსვენებულ პოეტ სიმონიკა ბერეჟიანის ლექსების სრული კრებული. წიგნი ღამაზადაა გაფორმებული, კარგ ჭაღალზე დაბეჭდილი, ბერეჟიანის პოეზიას ყველა იცნობს ემიგრაციაში და აქ ზედმეტია მასზე ლაპარაკი. ვისაც არა აქვს ეს წიგნი, უშუალოდ უნდა გამოიწეროს ბ. ყიფიანთან ლეველში.

ახალი აღთქმა და ფსალმუნები; ცხოვრება იესო ქრისტესი; წელს, ბიბლიის ინსტიტუტმა სტოკჰოლმში გამოსცა თანამედროვე ქართულზე თარგმნილი „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“ და „ცხოვრება იესო ქრისტესი“ დასურათებული. კარგი ქართულით, კარგ ჭაღალზე გამოცემული, ღამაზად გაფორმებული და მშვენიერ ყვებში ჩასმული, ორივე წიგნი ნამდვილი ოჯახის სამკაულია და ისინი ყველას უნდა ედგას სასტუმალთან. როგორც წიგნზე აწერია: „მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ და მიიღონ ორივე წიგნი. მისამართი: *Institute for Bible Translation. Box 20100. S-10460 Stokholm. Suede.*

ჯგარი ვაზისა 1981 წელი: ჩვენამდე მოაღწია საქართველოს საპატრიარქოს პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს, „ჯგარი ვაზისა“-ს 1981 წლის ნომერი. ტირაჟი: 1000 ცალი, თავისთავად მეტყველებს ჩვენი ეკლესიის სავალალო მდგომარეობაზე. 55 გვერდიან ჟურნალში ნაირნაირი მასალებია: საადღვომო ეპისტოლე, ილია მეორეს ვიზიტები, ქადაგებანი, სამშვიდობო მიმართვები, პოეზია და სხვა. კათალიკოს ილია მე-2-ს საადღვომო ეპისტოლეში სხვათა შორის ნათქვამია: „ქორწინება და შვილიერება ღვთით დადგენილი მისტიერია. ესაა ახალი ცხოვრება. ქორწინების შემდეგ ადამიანი სრულიად იცვლება, უფრო მეტად ვითარდება მისი პიროვნება, ახლებურად ხედავს, ახლებურად შეიცნობს ცხოვრებას, თითქოს-და, ხელახლა დაიბადა მშვენიერ სამყაროში... ეს ორთა სისრულე უფრო ღრმავდება ბავშვების დაბადებით...“ ქორწინებისა და მრავალშვილიანობისადმი მოწოდება განსაკუთრებით გამაზვიებელია ილია მეორეს „სამოთხე ეპისტოლე“-ში, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ბავშვები-ეს არის მომავალი ჩვენი ერისა, მატარებელი მისი სულიერი და კულტურული ფასეულობისა, ერისა, რომელსაც გააჩნია დიდი ქრისტიანული ტრადიციები და ისტორია... მე მოგიწოდებთ თქვენ, ჩემო სულიერო შვილებო, ნუ მიმართავთ აბორტს, ნუ ჩაიდენთ ამ საზარელ ცოდვას...ნუ შევაზინებთ შვილების სიმარტყვე, ღმერთი მოგცემთ თქვენ ძალასა და შესაძლებლობას გაზარდოთ ისინი ჩვენი ერისათვის ...“

ნ. 17/84



კავკასიონი : გასულ წელს გამოვიდა ლიტერატურულ-ისტორიულ კრებულს „კავკასიონის“ 20-ე ნომერი, რომლის შინაარსი მრავალფეროვანი და საინტერესოა, გაფორმება კი, — ლამაზი. გიორგი ყვიდანის ლექსებთან ერთად, ჩვენი მიელი სარჩევი შეგვეძლო გადმოგვეწვია და ქეზით მოგვეხსენებია, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა და ვისაც ეს ნომერი არ მიუღია ვურჩევთ ნუ დააყოვნებს მიმართოს ბ. გიორგი ყვიდანს: **8, Rue J. Ferry. 91310 Leuville sur Orge par Montlhery.** გვაქვს მხოლოდ ერთი საყურადღებო შემჩნევა სარედაქციო კოლეგიისადმი: მიელი საუბრო განყოფილება: „ქართულთა ხელოვნება უცხოეთში“ და ზოგიერთი საყურადღებო მიმართვა-სტატია მხოლოდ ფრანგულ ენაზეა დაბეჭდილი. ორენოვანი გამოცემები არაფრით არაა გამართლებული. კავკასიონის ყველა მკითხველმა არ იცის ფრანგული, ხოლო პოლიტიკურად დასაგმობია, რადგანაც ძალიან უღვაწე მავალითს ვაძლევთ სამშობლოში. ცხადია, რომ საჭიროა ჩვენი ნააზრები გავაცნოთ ფრანგულენოვან მკითხველებს, მაგრამ ამისთვის ცალკე ან დამატების სახით უნდა იცემოდეს. ხარჯი ნაკლები იქნება, ნაყოფი კი მეტი.

სვერიაანე ურუშადის პოეზია. ჩვენმა ცნობილმა პოეტმა ს. ურუშადემ ამ უკანასკნელ ხანს გამოსცა ფრანგულ ენაზე ლექსების ორი წიგნი სახელწოდებით: **La gemme poetique** და **L'ame poetique.** პირველი წიგნი შეიცავს ფიქრებს შემოქმედებაზე და 35 ლექსს. მეორე წიგნი — 50 ლექსი. აქვე, შესავლის სახით, ავტორი გვთავაზობს ზოგიერთ წერილების შინაარსს, რომელიც ცნობილ ფრანგ მოღვაწეებს მისთვის მიუწერიათ, ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებულ პოეზიის წიგნების შესახებ. ფრანგული პოეზიის მოყვარულებს შეუძლიათ წიგნები შეიძინონ ავტორთან: **Sev. Ourouchadze. 29, Rue de Sevres, 75006 Paris.**

დ რ ო შ ა . სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ ისრაელში ადგილი აქვს დიდ ლიტერატურულ შემოქმედებით დღეიღოს ქართულ ენაზე. იცემა ბევრი წიგნები და პერიოდული გამოცემები. ამჯერად თქვენი ყურადღება მიიწვი მივაქციო ყოველთვიურ მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადო-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალ „დროშას“, რომელიც რეგულარულად გამოდის 1980 წლის ივლისიდან და, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრებია: მწერალი, ჟურნალისტი აბრამ მამისთვალავი-რედაქტორი, აღმოსავლეთ მცოდნე, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი გერშონ წიწულავილი, არქიტექტორი დავით დავითაშვილი-მხატვარი, ჟურნალისტი თამარ კეზერაშვილი, ფილოლოგი ეთერ ფიჩხაძე, ინჟინერი ლევი ვოლანი, ინჟინერი ხაიმ ხუბელაშვილი-გამოცემის პ. მგებელი და დირექტორი. შინაარსი ნაირნაირი და საინტერესოა, გაფორმება მოხდენილი და მიმზიდველი. მსურველებმა უნდა მიმართონ: თელ-ავივი, როტშილდის ბულვარი, 56.

ლიტერატურული აღმანახი. იერუსალიმი 1981. ეს საინტერესო ქართულენოვანი კრებული გამოცემულია საქართველოდან გამოსულ მწერალთა კავშირის მიერ, მისი მთავარი რედაქტორია შალომ დავითაშვილი (ბატონი შალომი მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეა), რედაქტორი კი მწერალი და ჟურნალისტი აბრამ მამისთვალავია. აღმანახში შესულია რჩეული ლექსები, მოთხრობები, გამოკვლევები, როგორც ორიგინალური, ისე თარგმანები. თარგმნილებიდან აღსანიშნავია შუა საუკუნეების ებრაულ-ქრისტიანული პოეზია ჰაღევის და იბნ გაბიროლისა. უნდა გულწრფელად ვთქვათ: ამ ლიტ. აღმანახში წარმოდგენილი ნაწარმოებები ერთი, ფორმით და შინაარსით მაღალ დონეზე დგას ყველა და მათ შორის უკეთესის ვამორჩევა ვაგვიპირდება. ჩვენი მაინც, იქნებ იმიტომ, რომ ის ჩვენი თანამშრომელიცაა, გამოვარჩევთ პოეტ დავით აჯიაშვილის ლექსებს. აქ ის წარმოდგენილია 15 ლექსით და ისინი მოწმობენ მისი ავტორის სრულ პოეტურ სიმწიფეს და უზალო ტრფილს საქართველოსადმი, ქართული ენისადმი და ქართული კულტურისადმი.
